პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 26 ნოემბერი 1927წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 268 (2013)

დღიური

— ამხ. რიკოვი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
— ხელმოწერილია პოლონეთ-გერმანიის შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო მუშების შესახებ.
— იტალიასა და ალბანეთს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის შესახებ.
— ინგლისელების ინტრიგები საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ შანხაიში.
— სტუდენტების მასიური დაპატიმრებანი ჩინეთში.
— ამხ. კოლონტაიმ ნორვეგიის მეფეს ჩააბარა რწმუნების სიგელი.

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

დიდი კამპანიის წინ

ჩვენ ვლაპარაკობთ საბჭოების გადარჩევაზე. კერძოდ ამიერ-კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც საბჭოების სულ ახალი არჩევნები ჩატარდება მიმდინარე წლის დეკემბრიდან 1928 წლის თებერვლამდე. მაშასადამე, საარჩევნო კამპანია ამ თავითვე უნდა დაიწყოს.

რას უნდა მიექცეს ყურადღება ამ კამპანიის დროს? საბჭოების გადარჩევის პირველი პერიოდი იქნება ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველ მასებისადმი. ჩვენ ფართოდ უნდა გადავშალოთ მათ წინაშე საბჭოების მიერ შესრულებული მუშაობა როგორც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ისე უფრო ადგილობრივად. მიღწევები უეჭველად დიდია სამეურნეო-კულტურულ მშენებლობის, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების, მშრომელ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების, სოციალიზმის წარმატების დარგში. ამავე დროს იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ საბჭოების საქმიანობას ბევრი ნაკლიც ახლდა და გასაკეთებელი უამრავი რამაა. მასსები ჯეროვნად უნდა გაეცნონ საბჭოების მოღვაწეობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. ეს ამოცანა გადაჭრილი იქნება ამომწურავი და მიუდგომელი ანგარიშების წარდგენით ამომრჩეველთა წინაშე და უმთავრესად კი მათი აქტიური მონაწილეობით ამ ანგარიშების განხილვაში. საანგარიშო კრებებზე უნდა მოვიზიდოთ მასსების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა და ყოველი ზომა მივიღოთ მათი ნებისყოფისა და შეხედულებების სრული გამოსააშკარავებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად ერთი მხრით ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეების, მეორე მხრით მშრომელ ქალების უფრო მეტი რაოდენობით და აქტივობით ჩაბმას არჩევნებში რა თქმა უნდა, ჩვენი ლოზუნგი —საშუალო გლეხობასთან, სოფლის ამ ცენტრალურ ფიგურასთან —მტკიცე კავშირის შენარჩუნება— ძალაში რჩება დღესაც. ეს კავშირი უნდა განვამტკიცოთ, და ამან გამოხატულება უნდა ჰპოვოს მომავალ არჩევნებშიც. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება არამც თუ არ ეწინააღმდეგება ღარიბ გლეხობის როლისათვის ხაზის გასმას საბჭოებსა და მათ არჩევნებში, არამედ გულისხმობს. საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცება და მისი ჩამოშორება კულაკისაგან წარმატებით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სოფლის ღარიბ ფენებს დავირაზმავთ და გავაძლიერებთ საბჭოებში მათ ხვედრითი წონას. ღარიბ-საშუალო გლეხობის გაერთიანებული ფრონტი კულაკური ელემენტების წინააღმდეგ— უკანასკნელთა დამარცხების სრული საწინდარია.

თავისთავად ცხადია, ამ მთლიანი ფრონტის იდეამ ოდნავადაც არ უნდა დაჩრდილოს ღარიბ გლეხობის საკუთარი სახე, პოლიტიკურად არ უნდა გათქვიფოს ის საშუალო გლეხობაში. პირიქით, ხელმძღვანელი როლი ამ ბლოკში უნდა ეკუთვნოდეს ღარიბ გლეხობას. ამისათვის აუცილებელია მისი ორგანიზაციული დარაზმვა და პოლიტიკური შეგნების და საზოგადოებრივ აქტივობის აწევა. ღარიბ გლეხობის წარმომადგენლები მეტი რაოდენობით უნდა იქნენ გაყვანილი საბჭოებში და მათ აღმასრულებელ ორგანოებში; ამასთან უნდა შეიქმნეს პირობები, რათა ისინი იქ პასიური ელემენტები კი არ იყვნენ, არამედ აქტიურ როლს თამაშობდნენ. ღარიბ გლეხთა აქტივის კადრის შექმნა, გაფართოება და მისი წამოყენება სოფლის სხვადასხვა საპასუხისმგებლო ორგანოებზე—აი, საითკენ უნდა მივმართოთ მუშაობა.

ეჭვი არ არის, რომ კულაკები, როგორც წინადაც, ეხლაც შეეცდებიან საბჭოებში გაძვრენას, ან „თავის კაცების“ გაყვანას. აგრეთვე უნდა მოველოდეთ, რომ მენშევიკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები, რომელნიც აქა-იქ მიმალული არიან, მოინდომებენ საარჩევნო კამპანიის გამოყენებას თავისი კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის. ისინი ალბად ვერ გაბედავენ აშკარად გამოსვლას და „ხალხის მეგობრების“ ქურქში გაეხვევიან, რომ ამ გზით თვალი აუხვიონ მასსებს და ისინი მოატყუონ. სასტიკად უნდა იქნეს დაცული არსებული ინსტრუქცია კულაკურ და ყველა სხვა არამშრომელ ელემენტებისათვის საარჩევნო უფლების წართმევის შესახებ. ამავე დროს შეუბრალებლად უნდა ვამხილოთ მენშევიკურ წრეების დემაგოგია, თუ მას ექნა ადგილი. ამომრჩეველი მასები მათ კარგად გაუსინჯავენ კბილებს და ერთხელ კიდევ გადაისვრიან სანაგვე ყუთში.

დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს საბჭოების ახალი შემადგენლობის შერჩევა. მათში ქალაქად უფრო უნდა გავადიდოთ მუშების, დაზგის მუშების, ხოლო სოფლად კი, როგორც ვსთქვით, ღარიბ გლეხობის რიცხვი. საბჭოებში უნდა მოხვდენ მშრომელ მასების ისეთი მოწინავე ელემენტები, რომელთაც საზოგადოებრივი მუშაობით დაამტკიცეს თავისი მაღალი შეგნება და ერთგულება მშრომელთა საქმისადმი, ისეთი ელემენტები, რომელნიც დგანან ჩვენი ეხლანდელი ამოცანების შეგნების დონეზე და რომელთაც უნარიც შესწევთ მათი წარმატებითი გადაჭრისათვის.

ეს ამოცანები ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული საანგარიშო მოხსენებებში და მათ გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და აპარატის გაუმჯობესება. მომჭირნეობის დაცვა და ხარჯების შემცირება. თვითღირებულების დაკლება და მრავალი სხვა—აი, რა საკითხების გარშემო უნდა დავირაზმოთ მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი არჩევნების დროს. ამავე დროს ცხადია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ადგილობრივი საჭიროებების აღნუსხვას და მათ დასაკმაყოფილებლად ზომების გამომუშავებას.

საარჩევნო კამპანიის წარმატება, იგულისხმება, დამოკიდებულია სწორ პარტხელმძღვანელობაზე. პარტორგანიზაციები არჩევნებს უნდა ხელმძღვანელობდენ თავიდან ბოლომდე. არ უნდა იქნეს ადგილი გადახრას, არც ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის თუ გინდ ოდნავ შეზღუდვის მხრივ, არც ხელმძღვანელობის შესუსტების მხრივ. სწორი პარტხელმძღვანელობა არჩევნებზე ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ მთელი მშრომელი მასსა პარტიას უჭერს მხარს; ეს ხელმძღვანელობა ამასთან უფრო გაზრდის პარტიის ავტორიტეტს მშრომელებზე.

საბჭოების საარჩევნო კამპანია კარზეა მომდგარი და მის ჩასატარებლად მზადებას, ვიმეორებთ, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ. შეუდგეთ ისე, როგორც ამას მოითხოვს არჩევნების უდიდესი მნიშვნელობა პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცებასა და სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის.

დისკუსიის მიმდინარეობა

ახლოვდება პარტიის მე-15 ყრილობა. ჩვენი ქვეყნის ყველა ლენინური ორგანიზაციები ემზადებიან ყრილობისათვის, გაცხოველებით იხილავენ პარტიის პოლიტიკის უმთავრეს საკითხებს, ცეკას თეზისებს და ტროცკისტების კონტრთეზისებს. პარტიული მასების აქტიობა ყრილობის წინ მეტად ძლიერია. ბოლშევიკების მთელი მილიონიანი კოლექტივი —ჩვენი ქვეყნის ავანგარდის ავანგარდი ათვალიერებს განვლილ გზას და ფხიზლად უკვირდება წინ გადაშლილ პერსპექტივებს.

მენშევიკი ტროცკისტები სავსებით განადგურდენ; ასეთია დისკუსიის უკვე განვლილი ეტაპების შედეგი. ტროცკისტების იმედი, რომ ყრილობის წინა დისკუსია დაეხმარებოდა მათ იმაში, რომ პარტია აეცდინათ ოქტომბრის გზიდან, სავსებით გაცრუვდა. მათი იმედი, რომ ფართოდ გაშლილი დისკუსიის პირობებში შესძლებდენ მცირეოდენი „მასების“ დაპყრობას მაინც, სრულიად გაიფანტა. მათი იდუმალი იმედი, რომ „განდგომილთა შარავანდედი“ და წარსული, მხოლოდ წარსული დამსახურებანი აიძულებს პარტიულ მასებს გაამართლონ მათი ანტისაბჭოთა გამოსვლები, სავსებით გაცრუვდა: მუშა-ბოლშევიკები უაღრესი პროლეტარული აღშფოთებით შეხვდენ მეორე საოპერეტო პარტიის გმირებს. მუშა-ბოლშევიკებმა ტროცკისტებს პროლეტარული პრესით გასცეს. მათ სავსებით გამოაშკარავეს ტროცკისტების ლიკვიდატორული არსება, მათ მოსპეს ისინი პოლიტიკურად.

610.000 ბოლშევიკი ემხრობა ლენინურ ცეკას და მხოლოდ 3.500 კაცი ემხრობა წვრილ-ბურჟუაზიულ ოპოზიციას. ეს არის პარტიის სრული გამარჯვება და ტროცკისტული ჯგუფის გადაჭრით დამარცხება.

პარტიის უდიდესი, ყველაზე უფრო სახელოვანი ორგანიზაციების კონფერენციებზე, როგორც მაგალითად, მოსკოვის და ლენინგრადის პარტკონფერენცია,—ოპოზიციამ ვერცერთი ხმა ვერ იშოვა. მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო კომუნისტებმა ჯეროვანად შეაფასეს ჩვენი დროის მენშევიკები.

„ჩვენი რევოლიუციის ძირითად საკითხებში: ხელისუფლების ხასიათს, სახელმწიფოს, პარტიის და სხ. შესახებ. ოპოზიცია სავსებით და მთლიანად გადავიდა მენშევიზმის პოზიციაზე“ —აცხადებს მოსკოვის პარტკონფერენცია.

„უთანხმოება პარტიისა და ტროცკისტული ოპოზიციის შორის არ ამოიწურება ტაქტიკური პრობლემებით და წარმოადგენს პროგრამულ უთანხმოებას“—აცხადებენ ლენინგრადის მოწინავე ბოლშევიკები და ამასთანავე გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მე-15 პარტყრილობა მთელი პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ერთსულოვანი მხარის დაჭერით გასწმენდავს პარტიას ახალი მენშევიკებისაგან და განამტკიცებს პარტიის ლენინურ მთლიანობას.

ორმა პარტიამ არ უნდა იარსებოს ჩვენს ქვეყანაში—ასეთია პარტიის შეურყეველი და ნათლად გამოხატული ნებასურვილი. ამიტომ მოსკოვის კონფერენციას იმედი აქვს, რომ „მე-15 ყრილობა იტყვის, რომ შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან ტროცკისტულ ოპოზიციაში ყოფნა“.

ამავე დროს 50.000 ახალმა მუშამ შეიტანა განცხადება საკავშირო კომპარტიაში (ბ) შესვლის შესახებ. ყოფილი „ბელადების“ დეზერტირობაზე საპასუხოდ ათეული ათასობით ახალი პროლეტარები იჭერენ მათ ადგილს ბოლშევიკურ რიგებში. განა ეს არ მოწმობს ტროცკისტული ბელადების სკანდალურ გაკოტრებას, რომელნიც ტრაბახობდენ, რომ თითქოს ისინი იყვნენ „პროლეტარული კადრის“ წარმომადგენელნი და მოჰქონდათ თავი „მუშათა უაღრესი მოყვარეობით“. განა ეს არ არის პარტიის წინააღმდეგ ამხედრებული ოპოზიციონური მალბრუკების დამტვრეული ვარცლი“? მენშევიკ - ტროცკისტებმა აბსოლიუტური მარცხი განიცადეს პროლეტარულ უჯრედებში: 610.000 ლენინელმა მისცა ხმა 3 ნახ. ათას ტროცკისტის წინააღმდეგ. ოპოზიციის დამარცხება საბჭოთა კავშირის უდიდეს ორგანიზაციებში და ახალი 50.000 მოწინავე პროლეტარის შესვლა არა „მეორე“ ტროცკისტულ პარტიაში, არამედ მთლიან, ერთად ერთ ლენინურ საკავშირო კომპარტიაში (ბ)—აი, როგორი ბალანსით მიდის პარტია თავის მე-15 ყრილობაზე.

პარტიისა და ცეკას გამარჯვებამ არაოდეს არ უნდა გააკვიროს პროლეტარული დიქტატურის მომხრენი. ეს არის ლენინიზმის გამარჯვება ტროცკიზმზე, ეს არის ენერგიის გამარჯვება მერყეობაზე, ბრძოლისადმი მისწრაფების გამარჯვება პარაჟენცობაზე, მტკიცე ხაზის გამარჯვება პოლიტიკურ ნაცარქექიობაზე, ბოლშევიკური შეგნების გამარჯვება რევიზიონისტულ დაბნეულობაზე, მშვიდობიანი პროლეტარული სიმტკიცის გამარჯვება მყვირალათა ისტერიკაზე. ეს, მოკლედ რომ ვსთქვათ, არის პროლეტარული ხაზის გამარჯვება წვრილ-ბურჟუაზიულ ქანაობაზე.

ეხლა, როცა მთელმა პროლეტარულმა პარტიამ განმანადგურებელი პასუხი გასცა „ტერმიდორით“ შეპყრობილ „ბელადებს“, როცა ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის მტრებისათვის სასურველი „ხვრელის“ გარღვევა პროლეტარული დიქტატურის მტკიცე ციხე-სიმაგრეში ვერ მოახერხეს, ეხლა პარტია მე-15 ყრილობის საზღვართან სულ უფრო და უფრო მეტ სურვილს და ნებისყოფას იჩენს, რომ მთლიანად გადავიდეს საქმიანი მუშაობის, ამხანაგური საქმიანი კრიტიკის და თვითკრიტიკის ნიადაგზე და ახალი ძალებით და გაათკეცებული ენერგიით შეუდგეს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადალახვას.

სიძნელენი კი საკმაოდ ბევრი გვაქვს. უგუნურება იქნებოდა ფიქრი იმისა, რომ ჩვენს შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც ამავე დროს გარსშემორტყმულია მტრებით, თითქოს არ არსებობდეს სიძნელენი დიადი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ჩვენ ახალ ტეხნიკურ ნიადაგზე უნდა გარდავქმნათ სოციალისტური მრეწველობა. ჩვენ გარდატეხა უნდა შევქმნათ მუშაობის ტემპში. უნდა ვსძლიოთ მიმდინარე კონიუნქტურის სიძნელენი. კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ კავშირი გლეხობის ძირითად მასებთან. გეგმიანად და სისტემატიურად უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა პროლეტარულ დიქტატურისადმი მტრულად განწყობილ სოციალურ-კლასობრივ ელემენტებთან. უნდა აღმოვფხვრათ ბიუროკრატიული დამახინჯებანი. კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი ამოცანები და სიძნელეები გვაქვს, რომელნიც უნდა ვსძლიოთ. მაგრამ ეს არის ზრდის სიძნელენი, შეტევის სიძნელენი, რომელსაც აუცილებლად გადალახავს ბრძოლებში გამობრძმედილი ჩვენი პარტია.

შემჭიდროებული, მთლიანი, დისციპლინით აღჭურვილი, მენშევიკურ-ტროცკისტული სიბინძურისაგან გაწმენდილი ჩვენი საკავშირო კომპარტია მტკიცედ მიდის მე-15 ყრილობაზე.

„პრავდა“, 25 ნოემბერი.

პოლონეთი ემზადება ლიტვის დასაპყრობლად

პილსუდსკის თათბირი ჰქონდა ლიტვის წინააღმდეგ გაერთიანებულ მოქმედების შესახებ

ჩინეთის გლეხების ახალი აჯანყება რეაქციის წინააღმდეგ

აჯანყებულებმა აიღეს ქალაქ ციოსანი; ქალაქ პაკაო ალყაშემორტყმულია აჯანყებულების მიერ

პოლონეთი ლიტვის წინააღმდეგ

პოლონეთის პრესის გამოხმაურება

ვარშავა, 24 ნოემბერი. პოლონეთის გაზეთებში გადაბეჭდილია „იზვესტია“-ს წერილი პოლონეთის მზადების შესახებ ლიტვის დასაპყრობად. პოლონეთის პრესა აცხადებს, რომ საბჭოთა პრესა უსაფუძვლოდ ქმნის პანიკას. პოლონეთის სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა“ სწერს:

„იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვარშავაში ხაზს უსვამს თავისი მთავრობის მშვიდობიან ზრახვებს, მთავრობის ოფიციალური ორგანო „იზვესტია“ პოლონეთს ბრალს სდებს ლიტვის დაპყრობისათვის მზადებაში. საჭიროა, დაბოლოს, იმის გაგება, რომ პოლონეთ- ლიტვის კონფლიქტის დამაკმაყოფილებლად გადაჭრა შესაძლოა არა მარტო შეტაკებებით პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე“.

„რეჩ პოსპოლიტა“ სწერს:

„მეტად სასურველი იქნებოდა, რომ პოლონეთის მთავრობას ოფიციალური პასუხი გაეცა იმ ხმებზე, რომლებსაც ავრცელებს საბჭოთა პროპაგანდა. ერთის მხრივ ჩვენ ვართ მოწამენი სამშვიდობო დუეტის, რომელსაც ასრულებენ ბერლინში შტრეზემანი და იაცკოვსკი და ბოგომოლოვის კამპანია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის კულტურულ დაახლოების სასარგებლოდ, ხოლო მეორეს მხრივ ჩვენ გვაქვს ორივე სახელმწიფოს, (ე. ი. გერმანიის და საბჭ. კავშირის) მთლიანი დიპლომატიური ფრონტი პოლონეთის წინააღმდეგ. ამიტომ პოლონეთის დიპლომატიის მხრივ საჭიროა ენერგიული წინააღმდგობა“. (ადს)

ლიტვის ოფიციოზის აზრი

კოვნო, 24 ნომბერი. „ისტურევს მინოს“ იუწყება, რომ პლეჩკაიტისს და მის თანამოაზრეებს ამ დღეებში ვილნოში თათბირი ჰქონდათ ლიტვიდან პოლონეთში გაქცეულ მემულეებთან. **თათბირზე ირჩეოდა საკითხი ლიტვის წინააღმდეგ გაერთიანებულ მოქმედების შესახებ.** თათბირზე მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება იმ ჯგუფებს შორის, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მოლაპარაკებაში.

„ლეტუვა“ მოწინავეში „ხმები პოლონეთის გეგმების შესახებ ლიტვის წინააღმდეგ“ სწერს:

„მოდის ცნობები პლეჩკაიტისის მიერ ვილნოში რაღაც ახალ „ლიტვის“ ორგანიზაციის მოწყობის შესახებ. **ეს მუშაობა პოლონეთს ხელს შეუწყობს განახორციელოს პოლიტიკურ ემიგრანტების დახმარებით გეგმა ლიტვის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის შესახებ.** (ადს)

პოლონეთი ემზადება

ვარშავა, 24 ნოემბერი. 23 ნოემბერს ვილნოში შესდგა მთელი რიგი თათბირები, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღეს პილსუდსკიმ, ზალესკიმ, კნოლმა, პატეკმა, ლუკაშევიჩმა, გოლუვკომ, გენშტაბის მეორე განყოფილების უფროსმა შეტცელმა და პილსუდსკის ადიუტანტმა პოდპოლკოვნიკმა პარისტორმა.

„გლოს პრავდი“ იუწყება, რომ ამ თათბირებზე განხილულ იქნა საკითხი იმ მემორანდუმის შესახებ, რომლითაც ვოლდემარასმა მიმართა ერთა ლიგის.

ზალესკი და კნოლი ვარშავაში გაემგზავრენ.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პილსუდსკი განიხილავს საკითხს იმ ლიტველი ემიგრანტების ბედის შესახებ, რომელნიც დიდი რაოდენობით გადადიან პოლონეთის საზღვარზე. „ამ ჟამად,—ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, —პოლონეთში ლიტვიდან ჩამოდიან მუშები, ინტელიგენტები, პოლიციელები და ჯარისკაცები, რომელნიც გამორბიან ლიტვაში გაბატონებული საშინელი ტერორისაგან“. (ადს)

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 24 ნოემბერი. როგორც „კელნიშე ცეიტუნგი“ იუწყება, **პოლონეთ ლიტვის კონფლიქტმა უაღრეს გამწვავებამდე მიაღწია.** პილსუდსკის გამგზავრება ვილნოში ვიცე-პრემიერის ბართელის თანხლებით და გენ. ჟელიგოვსკის, გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის, პოლონეთის ელჩის (მოსკოვში) პატეკის, პოლონეთის ელჩის (რიგაში) ლუკასევიჩის, გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორის გოლუვკოს გამგზავრება ვილნოში მოხდა ისე, რომ მთავრობამ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გამოაქვეყნა, ამასთანავე მთელი ვარშავის პრესა და პოლონეთის დეპეშათა სააგენტო სდუმდა ამ გამგზავრების შესახებ. „კელნიშე ცეიტუნგი“-ს სიტყვით, **თათბირს ვილნოში და ვარშავაში სთვლიან, როგორც „უკანასკნელ გაფრთხილებას“ ლიტვის მიმართ.**

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ვარშავის პოლიტიკურ წრეებში, რასაკვირველია, გადაჭრით უარყოფენ, რომ მოსალოდნელია სამხედრო მოქმედების დაწყება.

დასასრულ გაზეთი სწერს, რომ პილსუდსკის პიროვნება მეტად ძლიერი ფაქტორია ეხლანდელ გართულებულ მდგომარეობაში, რომელიც დიდ მღელვარებას იწვევს. (ადს).

გლეხთა აჯანყება ჩინეთში

მოღალატეები თათბირობენ

შანხაი, 24 ნოემბერი. ჩინეთის პრესის ცნობით, გომინდანის სხვადასხვა ფრაქციებს შორის მოლაპარაკების შემდეგ, შემუშავებულ იქნა პლატფორმა, რომლის საფუძველზე მოწვეულ უნდა იქნეს გომინდანის ცეკას მეოთხე პლენუმი. ამ პლატფორმის უმნიშვნელოვანეს მუხლს წარმოადგენს ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ. პლენუმმა უნდა შეიმუშაოს კომუნიზმთან ბრძოლის კონკრეტიული მეთოდები. ვან-ძინ-ვეის ინიციატივით მიღებულია ამ მუხლის დამატება, რომელიც საჭიროდ სთვლის გომინდანის გაწმენდას არა მარტო კომუნისტებისაგან, არამედ აგრეთვე „კომუნისტურ პრინციპებისა“ და ბრძოლის კომუნისტურ თეორიებისაგან. პლენუმმა უნდა შექმნას „მტკიცე პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლება, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ბელადების პირადი მისწრაფებანი და შეხედულებანი“.

ჩან-კაი-შის, ლი-ტი-სინის და ვან-ძინ-ვეის ინიციატივით ჩან-კაი-შის ბინაზე მოწვეულ იქნა პირველი ოფიციალური წინასწარი სხდომა. (ადს).

გლეხების აჯანყებები

შანხაი, 24 ნოემბერი. ჩინეთის პრესის ცნობით, სვატოუს რაიონში დაიწყო გლეხების აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები. ლუფინის რაიონში გლეხებმა, ისარგებლეს რა სამხედრო მოქმედებით კანტონის სხვადასხვა გენერლებს შორის, **ხელში ჩაიგდეს ქალაქი ძოსიანი.**

გლეხთა აჯანყება დაიწყო აგრეთვე ქალაქ ფუჩოუს მიდამოებში. 204 ნოემბერს გლეხები მიუახლოვდენ ქალაქის კედლებს. სამხედრო საბჭომ აჯანყების ჩასაქრობათ გაგზავნა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები. (ადს).

სტუდენტების დაპატიმრება

შანხაი, 24 ნოემბ. ხანჩოუში (ჩე-ძიანის პროვინცია) აღმოაჩინეს კომუნისტების არალეგალური ბინა, სადაც იპოვეს პარტიის წევრების სია. მოხდა მრავალი დაპატიმრებები, განსაკუთრებით სტუდენტობას შორის.

ნანკინში გომინდანის პოლიტიკურ სკოლის სტუდენტებმა ალყა შემოარტყეს გომინდანის ქალაქის კომიტეტის შენობას და ჩალეწეს ფანჯრის მინები. ამასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია რამოდენიმე სტუდენტი.

უკანასკნელ დღეებში **შანხაიში,** გაფიცვებთან დაკავშირებით, **მოხდა მრავალი დაპატიმრებები** გაფიცვების ხელმძღვანელთა და აგიტატორებს შორის. (ადს).

კამპანია საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ

შანხაი, 24 ნოემბერი. ინგლისის ორგანომ შანხაიში „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“-მა და შანხაის ფაშისტების ხელმძღვანელებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმაში 7 ნოემბერს, კვლავ დაიწყეს გაფართოებული კამპანია საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ. ეს წრეები კვლავ ავრცელებენ ყოველგვარ ცილისწამებას და პროვოკაციულ ხმებს იმ მიზნით, რომ აამხედრონ საერთაშორისო უბნის მოსახლეობა და მიაღწიონ საკონსულოს განდევნას საერთაშორისო უბნის ფარგლებიდან. „ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“-მა იაპონურ ორგანო „შანხაი მაინიჩ“-ში მოათავსა ცნობა, რომ ვითომც საბჭოთა კონსული შანხაიში კოზლოვსკი ვლადივოსტოკში გაემგზავრა იმ მიზნით, რომ იქიდან ჩამოეყვანა 50 შეიარაღებული მეზღვაური საკონსულოს დასაცავად და თითქოს ეს მეზღვაურები ამ დღეებში ჩამოვლენ შანხაიში. დღეს მთელი პრესა აქვეყნებს ფაშისტების მოწოდებას, რომ მოაწერონ ხელი პეტიციას, რომელიც მიმართავს უცხოეთის კონსულებს, მუნიციპალურ საბჭოს და ჩინეთის ხელისუფლებას და სთხოვს მიიღონ ზომები „წითელი საკონსულოს მახინაციების“ წინააღმდეგ. პეტიცია საკონსულოს სდებს ბრალს იმაში, რომ თითქოს იგი მხარს უჭერს უკანონო გამოსვლებს, გაფიცვებს, მკვლელობას და საყოველთაო ქაოსს.

ამის გამო პეტიცია მოითხოვს საკონსულოს დაუყოვნებლივ განდევნას, ვინაიდან როცა „შეიარაღებული ძალები“ ჩამოვლენ ვლადივოსტოკიდან, მაშინ გაძნელდება მისი განდევნა საერთაშორისო უბნის ტერიტორიიდან“.

„ნორდ ჩაინა დეილი ნიუს“ დღევანდელ მოწინავე წერილში აღიარებს, რომ ხმები, ვითომც ვლადივოსტოკიდან ჩამოვლენ მეზღვაურები, ძალიან საეჭვოა. მაგრამ ამასთანავე აუცილებლად სცნობს მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული ჩინეთის სუვერენულ უფლებათა დარღვევა საბჭოთა კავშირის მიერ. **ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს გაუგონარი კამპანია წინასწარ განზრახვით არის დაწყებული საკონსულო კორპუსის სხდომის წინ,** რომელიც სპეციალურად არის მოწვეული 7 და 8 ნოემბრის მომხდარი ამბების განსახილველად. რაც შეეხება ხმებს, რომ თითქოს ვლადივოსტოკიდან ჩამოვლენ შეიარაღებული რაზმები საკონსულოს დასაცავად ახალი ბანდიტური თავდასხმისაგან, საბჭოთა კავშირმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მისცა რწმუნება, რათა ოფიციალურად უარჰყოს ეს ცნობა. (ადს).

ინდოეთის უფლებების აბუჩად აგდება

ლონდონი, 24 ნოემბერი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის პლენუმმა, განიხილა რა ინდოეთის პრაქტიკული საკონსტიტუციო რეფორმის შემოწმებისა და კავშირის საკითხი, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ მთავრობა არ შეეცდება ინდოეთის ხალხის წარმომადგენელთა თანამშრომლობა უზრუნველეყო მანამ, სანამ წამოაყენებდა წინადადებას კომისიის დანიშვნის შესახებ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ხმა მისცა 9 კაცმა. **ეს რეზოლიუცია წარმოადგენს კომპრომისს, რომელიც ხელოვნურად უვლის გვერდს ინდოეთის მოთხოვნილებას,** რომ ბრიტანეთის მთავრობის მიერ დანიშნულ ოფიციალურ კომისიაში მას უნდა მიეცეს პირდაპირი წარმომადგენლობა. (ადს).

გენსაბჭო უკან იხევს

ლონდონი, 24 ნოემბერი. ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ — განიხილა ინგლისის მეზღვაურთა და ცეცხლფარეშთა კავშირის (რეაქციონური) უარი იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რომელიც გენსაბჭომ წარუდგინა მას, ეგრედწოდებულ. ანტიპოლიტიკური კავშირებისათვის დახმარების შეწყვეტის შესახებ და დაადგინა, იმოქმედოს პროფკავშირთა კონგრესის წესდების თანახმად. ეს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ეს საქმე განუხილველად დარჩება იმ ხანამდე, სანამ მას არ მოაგვარებს პროფკავშირთა მორიგი ყრილობა მომავალ წელში. გენსაბჭოს არ აქვს საკმაო ძალა, რომ შეაჩეროს მეზღვაურთა კავშირის მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს მუშათა მოძრაობას. (ადს).

საბჭოთა მუშაკების გამგზავრება სკანდინავიის კონფერენციაზე

მოსკოვი, 25 ნოემბერი. სტოკჰოლმში გაემგზავრა საბჭოთა კომუნალური მუშაკების დელეგაცია შვეციის, ნორვეგიის და დანიის კომუნალური მუშაკების კონფერენციაზე დასასწრებლათ, რომელიც გაიხსნება 27 ნოემბერს. კონფერენციის შეკრების მიზანს შეადგენს სკანდინავიის და საბჭოთა კავშირის კომუნალური მუშაკთა შორის მთლიანობის დამყარება. (ადს).

იტალია-ალბანეთის ხელშეკრულება

რომი, 24 ნოემბერი. იტალია-ალბანეთის ხელშეკრულება თავდაცვითი კავშირის შესახებ დადებულია 20 წლის ვადით.

ხელშეკრულების მესამე მუხლში ნათქვამია: „თუ ერთი მხარე დადგება ომის საფრთხის წინაშე, რომელიც მის მიერ არ ყოფილა გამოწვეული, მეორე მხარე ვალდებულია გამოიყენოს ნამდვილი საშუალება... (გამოტოვებულია) არამედ სამართლიანი დაკმაყოფილება.

მეოთხე მუხლში ნათქვამია:

„როცა ყველა საშუალებანი შერიგებისათვის უშედეგო გამოდგება, ერთი მხარე ვალდებულია გაიზიაროს მეორე მხარის ბედი.—მოკავშირეს მისცეს ყველა სამხედრო, საფინანსო და სხვა რესურსები“.

მეხუთე მუხლში ნათქვამია, რომ ორივე მხარე კისრულობს მე-4 მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევათა დროს საერთო შეთანხმების გარეშე არ დაიწყონ მოლაპარაკება ზავისა ან სამხედრო მოქმედების შესახებ.

ხელშეკრულებას თან ახლავს ორი დამატება. ერთში ნათქვამია, რომ თუ ერთ-ერთ მხარეს თავს დაესხმიან,—რის გამოც იგი იძულებული გახდება თავის მოკავშირეს სთხოვოს სამხედრო დახმარება,—მოკავშირე ძალების მთავარსარდლობა ალბანეთში დაეკისრება ალბანეთის სამხედრო ძალების მთავარსარდალს, ხოლო იტალიაში—იტალიის ძალების მთავარსარდალს. (ადს).

საფრანგეთის მშრომელთა ბლოკის პროგრამა

პარიზი, 24 ნოემბერი. საფრანგეთის კომპარტიის სამდივნომ სოციალისტურ პარტიას მიმართა წინადადებით, რომ ბურჟუაზიულ ბლოკს პარლამენტის მომავალ არჩევნებში დაუპირდაპირდეს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა ბლოკი შემდეგი მინიმუმ პროგრამის საფუძველზე: 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნება, წინააღმდეგობის გაწევა სამუშაო ხელფასის შემცირების ყოველგვარი ცდისათვის, სამხედრო ვალების გაუქმება, ბანკების ნაციონალიზაცია, კაპიტალის დაბეგვრა, ბრძოლა იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დაცვა, საგანგებო კანონების გაუქმება კოლონიებში, ყველა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება. მათ შორის მეზღვაურთა და ჯარისკაცთა განთავისუფლება, საძაგელი კანონების გაუქმება, რომელნიც მიმართული არიან მუშათა კლასის წინააღმდეგ და მთლიანი ფრონტის შექმნა წარმოებებში. კომუნისტური პარტია პირველი კენჭის ყრის დროს აყენებს ყველა საარჩევნო ოლქების კანდიდატებს და იძლევა წინადადებას ყველა საარჩევნო ოლქებისათვის პირველ კენჭის ყრამდე გადაწყდეს, რომ სოციალისტების და კომუნისტების კანდიდატები საჭიროების მიხედვით ერთი მეორეს უთმობენ ხმებს მშრომელთა ბლოკის განსახორციელებლად ექსპლოატატორთა ბლოკის წინააღმდეგ (ადს).

განიარაღების საკითხი თემთა პალატაში

ლონდონი, 24 ნოემბერი. რეიტერი იუწყება, რომ თემთა პალატის სხდომაზე მაკდონალდმა გახსნა კამათი განიარაღების შესახებ. მან შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ სამთა კონფერენცია საზღვაო განიარაღების შესახებ საკმაოდ არ იყო მომზადებული; რეზოლიუცია მწუხარებას გამოსთქვამს აგრეთვე იმის გამო, რომ ერთა ლიგასთან არსებული განიარაღების კომისიის მუშაობა ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს და რომ ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა არბიტრაჟის პრინციპის მიღებაზე და საერთაშორისო უშიშროების გეგმის გატარებაზე ერთა ლიგის გარანტიით. შემდეგ გამოვიდა ჩემბერლენი და ლოიდ ჯორჯი.

კონსერვატიული პარტიის წევრმა დეფკარუერმა შეიტანა შესწორება და განაცხადა: „თუ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს სურთ დიდი ფლოტი ყავდეს, დეე, ყავდეს. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი თავი და ვაჭრობა ყოველგვარი მოსალოდნელი საფრთხისაგან და მოვსპოთ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მხრივ თავდასხმის შესაძლებლობა.

შემდეგ საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა საზღვაო მინისტრმა ბრიჯმენმა.

მუშათა პარტიის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 316 ხმით წინააღმდეგ 105 ხმისა. კონსერვატორების შესწორება, რომელიც იწონებს მთავრობის პოლიტიკას, მიღებულ იქნა 283 ხმით წინააღმდეგ 66 ხმისა (ადს).

განიარაღების კონფერენციის წინ

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 24 ნოემბერი. ოფიციოზ „დეიჩე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენტ“ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიასთან დაკავშირებით ილაშქრებს საფრანგეთის პრესის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობს პირველ რიგში წამოაყენოს უშიშროების საკითხი და დაიწყოს დისკუსია განიარაღების შესახებ.

გერმანიის ოფიციოზი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ცდები არ ეთანხმება ერთა ლიგის უკანასკნელ პლენუმის რეზოლიუციას და რომ საფრანგეთის პრესა შეეცდება აღადგინოს უკვე დამარხული იდეა. (ადს).

გარბიან ლიგიდან

პარიზი, 24 ნოემბერი. დებრუკერმა, რომელიც რჩება ბელგიის წარმომადგენლად ერთა ლიგაში, ბელგიის მთავრობას მიმართა განცხადებით, რომ ის თავიდან იხსნის განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის წევრის რწმუნებებს, ვინაიდან მისი შეხედულებები განიარაღების საკითხში ეწინააღმდეგება ბელგიის ახალი მთავრობის თვალსაზრისს. (ადს).

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. რიკოვის მოხსენება უკრაინის პარტ. ყრილობაზე

ბოლდუინის ერთი სიტყვის გამო

ხარკოვი, 25 ნოემბერი. ერთ - ერთ მიტინგზე ოპოზიციის წარმომადგენელი ცეკას უსაყვედურებდა იმას, რომ თითქოს იგი არის დამნაშავე ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესებისა და კერძოდ ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტაში. ოპოზიცია თავის ოფიციალურ დოკუმენტებში აცხადებს, რომ ბრძოლა მის წინააღმდეგ აუარესებს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას. ოპოზიციის ეს ბრალდება იმდენად უსუსურია, რომ არც კი მოითხოვს სერიოზულ უარყოფას. ოპოზიციის ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ საერთაშორისო ბურჟუაზია აფასებს როგორც საბჭოთა კავშირის დასუსტებას, რაც აძლიერებს მათ მტრულ აქტიობას.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენდამი მტრული განწყობილების გამოხატვისა და პროვოკაციის მრავალ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა ყველა ამ პროვოკაციების დაგვირგვინება იყო. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტას, მისი ორგანიზატორების აზრით, უნდა გამოეწვია საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური იზოლიაცია. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ინგლისის მთავრობამ ვერ განახორციელა საბჭოთა კავშირის გარემოცვისა და იზოლიაციის პოლიტიკა. ამჟამად არის მთელი რიგი ნიშნები იმისა, რომ თვით ინგლისის კონსერვატიული კაბინეტის წევრნი აღიარებენ ურთიერთობის შეწყვეტის პოლიტიკის შეცდომას.

ამასთან დაკავშირებით, მე მინდა ჩემი გამოსვლა ამ ყრილობაზე გამოვიყენო იმისათვის, რომ უპასუხო ინგლისის პრემიერ - მინისტრის ბოლდუინის სიტყვას, რომელიც „ტაიმს“-ში იყო გამოქვეყნებული 10 ნოემბერს. როგორც ვიცით, მოლაპარაკება მხარეებს შორის ხანდახან სწარმოებს არა მარტო პირდაპირი მოლაპარაკების გზით, არამედ სხვადასხვა არაპირდაპირი გზითაც. მე ამ განცხადებას ვაკეთებ იმიტომ, რომ მთელმა რუსმა კორესპონდენტებმა მომმართეს თხოვნით მიმეღო ისინი და მეთქვა რას ფიქრობს საბჭოთა მთავრობა, ვინაიდან საერთაშორისო პრესა, — იცნობს რა „არაპირდაპირი“ გზების ამ ჩვეულებებს, — სცნობს, რომ ბოლდუინის სიტყვა მიმართული იყო უმთავრესად საბჭოთა მთავრობისადმი.

ბოლდუინმა თავის სიტყვაში გამოსთქვა ორგვარი აზრი. ერთი, — რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტისათვის დამნაშავე ვართ ჩვენ და, მეორე, — რომ ინგლისის მთავრობა მზად არის აღადგინოს ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკასთან იმ პირობით, თუ საბჭოთა მთავრობა მისცემს გარანტიას იმისას, რომ არ ჩაერევა დიდ ბრიტანეთის შინაურ საქმეებში.

ჩვენ ამაზე უპასუხებთ შემდეგს:

პირველი, საბჭოთა მთავრობა სცნობს, რომ დანაშაულობა ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტისათვის ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის მთავრობას. ეს სჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ვინაიდან მას არ ჰქონდა საშუალება დოკუმენტებით დაემტკიცებინა თავისი პრეტენზიები, იგი ასეთი დოკუმენტების გამონახვას შეეცადა არკოსზე თავდასხმისა და ცეცხლგამძლე შკაფების გატეხვის საშუალებით. რათა ამ გზით ეპოვა მისთვის საჭირო დოკუმენტები. მე სავსებით დამტკიცებულად ვსთვლი იმ ფაქტს, რომ დიდ ბრიტანეთის მთავრობას საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისათვის ამგვარი დოკუმენტები არ წარმოუდგენია არც არკოსზე თავდასხმამდე და არც მის შემდეგ. ეს ფაქტი დღემდე არავის უარყვია.

ყოველივე ეს და ამაზე ადრე მომხდარი ფაქტები ამტკიცებენ, რომ კონსერვატიული მთავრობა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის თანავე სცდილობდა ურთიერთობის შეწყვეტას და შესწყვიტა კიდეც ეს ურთიერთობა ისე, რომ მას არ წამოუყენებია რაიმე გამამართლებელი მიზეზები და დასაბუთება.

მეორე, საბჭოთა მთავრობა არ აცხადებს უარს დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის განახლებაზე ბოლდუინის მიერ წამოყენებული პირობების საფუძველზე — ურთიერთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. ბოლდუინი არ ერევა ჩვენს საქმეში. რიკოვი არ ერევა დიდ ბრიტანეთის საქმეებში. (ტაში). მაგრამ ამასთანავე აუცილებელია, რომ ინგლისის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას არ დააკისრა პასუხისმგებლობა იმ ორგანიზაციების მოქმედებისათვის, რომელთა მუშაობის გამო იგი არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს, ისევე როგორც ინგლისის მთავრობა არ აგებს პასუხს და არ დათანხმდება აგოს პასუხი ყოველგვარ ბურჟუაზიული და „მუშათა“ ორგანიზაციების მოქმედებისათვის, —როგორც, მაგალითად, ამსტერდამის ინტერნაციონალი, მეორე ინტერნაციონალი; ნავთის სინდიკატები, საბანკო გაერთიანებანი, — იმ ორგანიზაციების, რომელნიც იმყოფებიან ბურჟუაზიული ქვეყნების დედა - ქალაქებში, მათ შორის ლონდონშიაც.

თქვენს ყურადღებას ბოლდუინის სიტყვაზე შევაჩერებ მცირე მიზეზის გამოც. როცა დიდ ბრიტანეთის მთავრობა კავშირს სწყვეტდა საბჭოთა რესპუბლიკებთან, იგი ფიქრობდა, რომ დააყენებდა მთელ ბურჟუაზიულ ევროპას ამ ფაქტის წინაშე, დაიმყარებდა თავის გავლენას და სხვა სახელმწიფოებსაც აიძულებდა ამ გზით წასულიყვნენ. მაგრამ ინგლისის მთავრობამ ვერ მიაღწია ამ მიზანს.

თუ ბოლდუინის ეს სიტყვა ნიშნავს იმას, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს შესცვალოს თავისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და აღადგინოს ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა, მაშინ საბჭოთა მთავრობა, რასაკვირველია, უარს არ იტყვის დაიწყოს მოლაპარაკება, თუმცა დღემდე დიდ ბრიტანეთის მთავრობას არ წამოუყენებია არც ოფიციალური, არც ოფიციოზური წინადადებანი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ. მაგრამ ადვილად შესაძლოა, რომ ბოლდუინის ეს სიტყვა,—რომელშიაც საშინლად არის დამახინჯებული საბჭოთა კავშირის ნამდვილი პოლიტიკა, მიმართული მშვიდობიანობის უზრუნველყოფისა და სხვა ქვეყნებთან ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებისაკენ,—რომ ეს სიტყვა წარმოთქმულია საარჩევნო კამპანიის გულისათვის. ინგლისში მალე დაიწყება თემთა პალატის არჩევნები. ინგლისის მუშები და ინგლისის ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელნიც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით, უკმაყოფილონი არიან კონსერვატიული მთავრობის ასეთი პოლიტიკით. ინგლისის მუშათა პარტია და ინგლისის ლიბერალები აშკარად გამოვიდენ და გამოდიან საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგ. ვინაიდან კონსერვატიულ მთავრობას დღემდე არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი ჩვენთან ურთიერთობის აღდგენისათვის, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლდუინის სიტყვას მიზნად ჰქონდა საარჩევნო კამპანიის ინტერესები. ინიციატივა ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეწყვეტისათვის სავსებით და მთლიანად ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტს. ამიტომ მანვე უნდა იკისროს ურთიერთობის განახლების ინიციატივაც (ტაში).

დამოკიდებულება საფრანგეთთან

მეორე დიდი ქვეყანა, რომელთანაც ვაწარმოეთ ხანგრძლივ მოლაპარაკებას—არის საფრანგეთი. თქვენ იცით, რომ საფრანგეთთან მოლაპარაკების დროს ჩვენ დავთანხმდით საფრანგეთის მთავრობის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად ყოველწლიურად გვეძლია 60 მილიონი ფრანკი, ე. ი. 20 მილიონი მან.; იმ პირობით, თუ საფრანგეთის მთავრობა მოგვცემდა კრედიტებს, რომელიც ამ თანხაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

ჩვენმა კონკრეტულმა წინადადებებმა საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაცია აიძულა საერთო მსჯელობიდან გადასულიყო საქმიან კონკრეტულ მოლაპარაკებაზე, რომელმაც გამოიწვია ის, რომ მათ არსებითად მიიღეს ჩვენი პირობები. ჩვენმა წინადადებებმა ამასთან ერთად გააძლიერა საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი წრეების მოქმედება იმ აქტიური ზეგავლენის წინააღმდეგ, რომელსაც ჩერჩილი და ჩემბერლენი სცდილობენ მოახდინონ საფრანგეთზე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტისათვის. მაგრამ ძალთა ურთიერთობა საფრანგეთში ისეთია, რომ ხელშეკრულების დადება საფრანგეთსა და ჩვენს შორის ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის პერიოდში ძალიან გაძნელებულია, ვინაიდან საფრანგეთის ბურჟუაზიის მემარჯვენე წრეები პოლიტიკურის მხრივ მჭიდროდ არიან დაკავშირებული ინგლისის კონსერვატორებთან. საფრანგეთის ბურჟუაზიის ეს მემარჯვენე წრეები არ არიან წინააღმდეგი იმისა, რომ საფრანგეთმა შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ვინაიდან მათ სურთ მხარი დაუჭირონ თავის ინგლისელ თანამოაზრეებს. ჩვენ განვაიარაღეთ ეს წრეები იმ მხრივ, რომ მათთვის შეუძლებელი გახდა ურთიერთობის შეწყვეტა ჩვენთან, ამიტომ ისინი ეძებენ ყოველგვარ საბაბს იმისათვის, რომ მოლაპარაკება არ დამთავრდეს. მათ საფრანგეთის ხალხის ზურგს უკან სურდათ მოლაპარაკების ჩაშლა. ამან გვაიძულა გამოგვექვეყნებია ჩვენი წინადადებანი.

ამ დროს მოხდა ის ამბები, რომლებმაც მიგვიყვანა ამხ. რაკოვსკის საფრანგეთიდან გამოწვევამდე. ამხ. რაკოვსკის გამოწვევის გამო ოპოზიცია ავრცელებს ცილისწამებას, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის მთავრობამ საკმაოდ არ დაიცვა თავისი ელჩი პარიზში.

რაკოვსკი და მასთან ერთად მთელი ოპოზიცია ფიქრობს, რომ ჩვენ ამ საკითხში შეცდომა ჩავიდინეთ. ისინი სწერენ, რომ უფრო სწორი იქნებოდა არ გამოგვეწვია რაკოვსკი პარიზიდან და გაგვეერთულებინა კონფლიქტი. პარტიის ცეკა ამ საკითხის გადაწყვეტის დროს გამოდიოდა იქიდან, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას უმთავრესი რამ, სახელდობრ, დიპლომატიური და აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნება საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის, რომ ელჩის პიროვნების საკითხს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ძირითად საკითხთან შედარებით (ტაში, ხმები: სწორია!“). ჩვენ რომ ფორმალური ნოტის მიღების შემდეგ უარი გვეთქვა რაკოვსკის გამოწვევაზე, რომ უარი გაგვეცხადებინა ამ ფორმალური მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ეს ძალიან გაამწვავებდა ჩვენს ურთიერთობას საფრანგეთთან.

ჩვენ არ შეგვეძლო დაჟინებით მოგვეთხოვა რაკოვსკის დატოვება პარიზში, ვინაიდან საერთაშორისო ტრადიციების მიხედვით ყოველ მთავრობას შეუძლია მოითხოვოს ამა თუ იმ ელჩის შეცვლა და ეს მოთხოვნილება, როგორც საერთო წესი დაკმაყოფილებულ უნდა იქნას. ეს უფლება აქვს აგრეთვე საბჭოთა მთავრობასაც.

ოპოზიცია ჩვენს მტრებს ეხმარება

დასასრულ მე მინდოდა ერთხელ კიდევ გამესვა ხაზი, რომ ბრძოლა ჩვენი პარტიის შიგნით, განსაკუთრებით პოლიტიკური დემონსტრაციები და ოპოზიციის აშკარა გამოსვლები პარტიის წინააღმდეგ, რასაკვირველია, უწყობს ხელს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესებას. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს თავდასხმა ჩვენს კავშირზე, არის პოლიტიკური სიძნელენი კავშირის შიგნით და პირველ რიგში ჩვენი პარტიის დასუსტება. თუ საერთაშორისო ბურჟუაზია დაინახავს, რომ ჩვენში სწარმოებს არა მარტო სიტყვიერი პოლემიკა, არამედ ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა, თუ იგი დაინახავს, რომ რომელიმე მცირეოდნად სერიოზული ჯგუფი, სცდილობს მთელი ჩვენი ქვეყანა ჩააბას ამ ბრძოლაში, მაშინ შანსები ჩვენს კავშირზე თავდასხმისათვის უეჭველად ძალიან გაიზრდება. ამით აიხსნება ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც საერთაშორისო ბურჟუაზია და ყველა ბურჟუაზიული მთავრობები აქცევენ ოპოზიციის ბრძოლას პარტიასთან. ბურჟუაზიამ იცის, რომ განხეთქილება საკავშირო კომპარტიაში (ბ) ნიშნავს განხეთქილებას ჩვენს ქვეყანაში. ამ ხვრელში მესამე ძალასთან ერთად ჩვენი ქვეყნის შიგნით შეიძლება გაძვრეს საერთაშორისო ინტერვენცია.

პარტიის, ჩვენი ქვეყნის და საერთაშორისო რევოლიუციის სასიხარულოთ დისკუსია არავითარ შანსებს არ აძლევს როგორც საერთაშორისო, ისე ჩვენს ბურჟუაზიას. ამჟამად გამოირკვა ოპოზიციის სრული გაკოტრება, ყველასათვის ნათლად გამოირკვა, რომ მას არავითარი გავლენა არ აქვს პარტიაში და არც მუშათა კლასში. პარტიის მე-15 ყრილობაზე ჩვენ აღარ მოგვიხდება რაიმე დაბრკოლებათა გადალახვა იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ოპოზიციის ანტიპარტიულ მოქმედებას (ტაში).

მთელი ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპია მშვიდობიანობის შენარჩუნება. მე მგონია, რომ სავსებით სწორად მოვიქეცით, როცა პრესტიჟის საკითხი, რომელსაც ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ სავსებით და მთლიანად დავუმორჩილეთ კლასობრივ და რევოლიუციონურ ინტერესებს. ამის შედეგით ჩვენს ქვეყანას ავაცილეთ სამხედრო შეტაკების საფრთხე. ჩვენი პრესტიჟი რამდენადმე დაეცა საერთაშორისო ბურჟუაზიისა და ყველა ქვეყნების მილიტარისტების თვალში, მაგრამ ეს პრესტიჟი საოცრად გაიზარდა საერთაშორისო პროლეტარიატისა და მთელი დედამიწის ჩაგრული ერების თვალში. (ტაში).

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

პატეკის განცხადება

ვარშავა, 25 ნოემბერი. პოლონელ ჟურნალისტებთან საუბარში ვილნოში პატეკმა განაცხადა: „მოსკოვში გაგზავნილია პოლონეთის სავაჭრო მრჩეველი ზმიგროდსკი საბჭოთა ბაზრის ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად, რომ გამორკვეულ იქნეს პოლონეთ-საბჭოთა მომავალი სავაჭრო ხელშეკრულების ძირითადი ბაზა. ერთ-ერთი ძნელი მომენტი ამ დარგში არის საკითხი გრძელვადიანი კრედიტების შესახებ, გრძელვადიანი კრედიტის გარეშე შეუძლებელია ვიფიქროთ სერიოზულ სავაჭრო ოპერაციებზე საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა მთავრობა ძალიან არის დაინტერესებული პოლონეთ-ლიტვის პრობლემით. ჩვენის მხრით შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ პოლონეთს არავითარი აგრესიული ზრახვები არ აქვს ლიტვის ტერიტორიისა და ლიტვის დამოუკიდებლობის მიმართ“ (ადს).

დემონსტრაცია ბოლდუინის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 ნოემბერი. ვინაიდან ბოლდუინმა არ მიიღო მუშაუმუშევართა დეპუტაცია 27 ნოემბერს მოსალოდნელია მასიური დემონსტრაცია ტრაფალგარსკვერში.

იტალია-ალბანეთის სამხედრო კავშირი

რომი, 24 ნოემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ ტირანში ხელმოწერილია ხელშეკრულება იტალიასა და ალბანეთის შორის თავდაცვის კავშირის შესახებ (ადს).

ახალი იერიშები ხელფასზე

ლონდონი, 24 ნოემბერი. ინგლისის აბრეშუმის მრეწველობაში გათავდა კოლექტიური შეთანხმების ვადა. ახალი შეთანხმების დადების შესახებ მოლაპარაკებისათვის მწარმოებლები წინასწარი პირობების სახით მოითხოვენ ხელფასის მნიშვნელოვანად შემცირებას. პროფკავშირები მიუთითებენ, რომ აუცილებელია დაიწყოს მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევა (ადს).

ვილნოს კონფერენცია ლიტველ ემიგრანტებზე

ვარშავა, 25 ნოემბერი. პილსუდსკის მომხრე „გლოს პრავდი“-ს სიტყვით, ვილნოს კონფერენციაზე გადაწყდა პოლონეთში მყოფ ლიტველ ემიგრანტებს მიეცეს თავშესაფარის უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; მეორეს მხრით, პოლონეთის ხელისუფლებამ თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ ემიგრანტებმა თავისი მოქმედებით არ გაართულონ ურთიერთობა პოლონეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქში მცხოვრებ ეროვნებათა შორის (ადს).

ბერლინის პარტაქტივი ოპოზიციის წინააღმდეგ

ბერლინი, 25 ნოემბერი. კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის აქტივის კრებამ 678 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 24 ხმისა მიიღო ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო კომიტეტის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვას პარტიიდან ვინკლერის და ვებერის ოპოზიციონურმა რეზოლიუციებმა მიიღეს: პირველმა—7 ხმა, მეორემ—1 ხმა. ვებერი და ვინკლერს პირველი კამათის დროს მიეცა საშუალება დაესაბუთებიათ თავისი თვალსაზრისი, ძველი გერმანელი კომუნისტის ლანგერის გამოსვლას (რომელიც პერსონალურად იქმ მოწვეული ძველი ბოლშევიკების საზოგადოების მიერ მოსკოვში ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულზე) მხურვალე ტაშით შეხვდნენ (ადს).

რეინ პრომის გარდაცვალება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. მოსკოვში ტვინის დამბლით გარდაიცვალა ამერიკელი ჟურნალისტი ქალი რეინ პრომი.

უკანასკნელი წლები მან გაატარა ჩინეთში სადაც ჩავიდა ამერიკიდან, როგორც კორესპონდენტი. რამოდენიმე ხნის შემდეგ იგი დაუახლოვდა მემარცხენე გომინდანელთა წრეებს და მთელი თავისი ძალ-ღონით ჩაება რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩინეთის ეროვნული განთავისუფლებისათვის. ჩინეთის ეროვნულ რევოლიუციონური მოძრაობის დამარცხების შემდეგ რეინ პრომი ევგენი ჩენთან და სუნ იატ-სენის ქვრივთან ერთად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. აქ იგი შეუდგა მუშაობას რუსეთის რევოლიუციის შესასწავლათ: მას განზრახული ჰქონდა ჩინეთისათვის დაეწერა წიგნი საბჭოთა კავშირის შესახებ. მან თან ჩამოიტანა მასალები ჩინეთის რევოლიუციის შესახებ და უნდოდა დაეწერა წიგნი ჩინეთში მომხდარი დიდი ამბების შესახებ, რომელთაც უშუალო მონაწილეც იგი იყო (ადს).

პოლონეთ-გერმანიის შეთანხმება

ვარშავა, 24 ნოემბერი. ვარშავაში ხელი მოაწერეს პოლონეთ-გერმანიის შეთანხმებას სასოფლო-სამეურნეო მუშების შესახებ (ადს).

ამსტერდამის ინტერნაციონალის სესია

ლონდონი, 24 ნოემბერი. პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის გამგეობის სესიაზე, რომელიც იანვარში შესდგება ბერლინში ინგლისის პროფკავშირთა გენსაბჭომ დელეგატად გაგზავნა ჯორჯ ხიკსი (ადს).

ვილნოს კონფერენციის შემდეგ

ვარშავა, 25 ნოემ. ხმები, რომ თითქოს პატეკი გაემგზავრა რიგაში, არ მართლდება, დღეს პილსუდსკი და პატეკი ვილნოდან დაბრუნდნენ ვარშავაში (ადს).

სოციალისტური მუნიციპალიტეტი ლოძში

ვარშავა, 25 ნოემბერი. ლოძში ქალაქის თვითმართველობა არჩეულ იქნა სოციალისტების შემადგენლობით, რომლის სათავეში სდგას პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პეპეესოველთა) დეპუტატი დემბსკი. არჩევნებში ბლოკი ქონდათ პოლონეთის სოციალისტურ პარტიას, გერმანელ სოციალ-დემოკრატებს და ბუნდოველებს (ადს).

ბარტუ ამნისტიის შესახებ

პარიზი, 24 ნოემბერი. სამოქალაქო კანონმდებლობის საპარლამენტო კომისიამ მოისმინა ბარტუს მოხსენება, რომელმაც შეიტანა წინადადება, რომ მიღებულ იქნას ზოგიერთი საკანონმდებლო აქტები ამნისტიის შესახებ. კომისიამ პრინციპიალურად მიიღო ამნისტია. კომისიამ ბარტუს დაავალა ორი კვირის შემდეგ წარმოადგინოს კანონპროექ. ტექსტი, როცა იუსტ. მინის. ბარტუმ გაიგო კომისიის ეს გადაწყვეტილება, განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგი არის პალატის დღის წესრიგში შეტანილ იქნას რაიმე წინადადება ამნისტიის საკითხზე და დასვა საკითხი ნდობის შესახებ (ადს).

„ლიუმანიტეს“ რედაქტორის დაპატიმრება

პარიზი, 25 ნოემბერი. „ლიუმანიტეს“ რედაქტორი გე დააპატიმრეს იმ ორდერის მიხედვით. რომელიც გაცემულ იქნა „დანაშაულის აღკვეთის ზომის“ წესით. მას ბრალად უყენებენ იმას რომ მან „ლიუმანიტეში“ დაბეჭდა წერილები. რომელნიც მიმართული იყო მალშუსკის საზღვაო ციხეში მყოფ მეზღვაურების დასაცავად. (ადს).

ბრძოლა განსიენელებსა და მუკდენელებს შორის

პეკინი, 25 ნოემბერი. განსიელების მოტოციკლების ჯგუფმა (3.000 კაცმა) ექვსი კვირის წინად დაიჭირა რკინის გზის სადგური და ქალაქი ჯო-ჯოუ (50 კილომეტრის მანძილზე პეკინიდან). სადგური მუკდენელებმა უკან დაიბრუნეს რამოდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ ქალაქი ჯო-ჯოუ, რომელიც კილომეტრის მანძილზე იმყოფება სადგურიდან, დღემდე განსიელების ხელში იმყოფება. უკანასკნელ დღეებში ქალაქს დაუშინეს ყუმბარები, რომელიც სავსე იყო მომწამლავი გაზებით. მუკდენელების უშედეგო შეტევა ქ. ჯო-ჯოუზე. აიხსნება დისციპლინის შესუსტებით მუკდენელებს შორის. გადმოცემა, რომ ქალ. ჯო-ჯოუს დამცველთა და მის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმებს შორის ხდება დაძმობილება (ადს).

ევანსის გამგზავრება ინდოეთში

ლონდონი, 24 ნოემბერი. ინგლისის სამხედრო მინისტრი ევანსი ინდოეთში გაემგზავრა. (ადს).

ამხ. კოლონტაი ნორვეგიაში

ოსლო, 24 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელმა ნორვეგიაში ამხ. კოლონტაიმ ჩააბარა მეფეს რწმუნების სიგელები. (ადს).

ამხ. იაგლოვს უარი უთხრეს ვიზაზე

ოსლო, 24 ნოემბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭოს გენერალურმა სამდივნომ მთავრობას პროტესტი განუცხადა ამხ. იაგლოვისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმის გამო და დაადგინა მოუწოდოს პროფკავშირებს ყველგან პროტესტის დემონსტრაციებისაკენ მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირეს, 24 ნოემბერი. ალიოხინ—კაპაბლანკას მატჩის მე-33 პარტია გადადებულია 25 ნოემბრამდე. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლისათვის

მოსკოვი, 25 ნოემბერი. შესდგა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი შვიდი საათის სამუშაო დღის გამტარებელი კომისიის პირველი სხდომა. კომისიამ დაადგინა, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა წარმოებებში მტკიცე გეგმიანი წესით უნდა იქნას გატარებული. საკავშირო პროფსაბჭოს კომისიის მუშაობა სშს საბჭოსთან და შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ კომისიასთან შეთანხმებით უნდა სწარმოებდეს. (ადს).

პროფინტერნის მიმართვა

მოსკოვი, 25 ნოემბერი. კოლორადოში მეშახტეთა დახვრეტის გამო პროფინტერნი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს განაცხადონ ენერგიული პროტესტი ხოცვა - ჟლეტის წინააღმდეგ (ადს)

ამხ. კრასინის ხსოვნის საღამო

მოსკოვი, 25 ნოემბერი. ამხ. კრასინის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის შესრულების გამო, გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის თანამშრომელთა პარტუჯრედმა და ადგილკომმა გამართა მოგონებათა საღამო. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ხინჩუკი. საღამო გაიხსნა სამგლოვიარო მარშით. მოგონებანი განსვენებულის შესახებ დამსწრეთ გაუზიარეს ამხ. ხინჩუკმა, ფრუმკინმა, სკობელევმა და სხ. (ადს).

გრიგალი შეწყდა

ნოვოროსიისკი, 25 ნოემბერი. გრიგალი შეწყდა. ნავთსადგურის საბუქსირო გემის საშუალებით იტალიური გემი „მაია“ ამოღებულია რიყედან და შეყვანილია ნავთსადგურში. ნავთსადგურის წყალქვეშმცურავები შეუდგნენ გემის შიგნითა ნაწილის დათვალიერებას. (ადს).

ლენინგრადის საოლქო აღმასკომი

ლენინგრადი, 25 ნოემბერი. დამთავრებულმა ლენინგრადის საოლქო ყრილობამ აირჩია აღმასკომი 157 კაცის შემადგენლობით, რომლის სათავეში იქნება ამხ. კამაროვი. აღმასკომში შევიდნენ აგრეთვე ამხ. კონდრატიევი, კიროვი, ანტიპოვი, ჯარის მეთაური კორკი, ფლოტის უფროსი ვიქტოროვი და სხ. (ადს).

მრეწველობისათვის დამატებითი ფინანსების მიწოდება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. გადაწყვეტილია მრეწველობისათვის ფინანსიური დახმარების გადიდება პირველ კვარტალში 105 მილ. მანეთით ნაცვლად 86 მილ. მანეთისა, რომელიც უწინ იყო განზრახული. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პროექტით, რესპუბლიკის მრეწველობას უნდა მიეცეს 27.100.000 მან., მათ რიცხვში ამიერ-კავკასიისათვის 3 ნახ. მილ. მანეთი, უზბეკისტანისა და თურქმენისტანისათვის 1.100.000 მანეთი. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბელგიის მუშათა დელეგაცია

ბაქო, 25 ნოემბერი. ჩამოვიდა ბელგიის მუშათა დელეგაცია სამი კაცის შემადგენლობით დელეგაცია ბაქოში დარჩება ორი დღე და გაეცნობა ნავთის მრეწველობის და მუშათა მდგომარეობას. (ადს).

ვეტერინარული ინსტიტუტი

ბაქო, 25 ნოემბერი. საგეგმო კომისიამ ვეტერინარული პერსონალის დიდი ნაკლებობის გამო, ოფიციალურად სცნო ვეტერინარული ინსტიტუტის გახსნა ბაქოში; ინსტიტუტი უნდა ემსახუროს არა მარტო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, არამედ დაღესტანს, თურქესტანს და ჩრდილო-კავკასიას. (ადს).

სომხეთი

პირველი თოვლი

ერევანი, 25 ოქტომბერი. ერევანში მოვიდა პირველი თოვლი. (ადს).

შუშანიკ კურღინიანის გარდაცვალება

ერევანი, 25 ნოემბერი. ახალ ქალაქ ნორ-[illegible]-ში დღეს დილით გარდაიცვალა უხუცესი პროლეტარული მწერალი - ქალი შუშანიკ კურღინიანი. განსვენებულს დაკრძალავენ ერევანში.

მწერალთა კავშირმა გამოჰყო დამკრძალავი კომისია. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია

ერევანი, 25 ნოემბერი. ფინსახკომის სავალუტო განყოფილების ცნობით, სომხეთში დღემდე გასაღებულია ინდუსტრიალიზაციის სესხის 450.000 მან. ობლიგაციები. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება. (ადს).

ა.-კ. კომუნისტური ორგანიზაციის მეხუთე ყრილობა

25 ნოემბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მ. კახიანი. დღის წესრიგში სდგას ამხ. შალვა ელიავას მოხსენება ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის შესახებ.

ამხ. ელიავას მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. პოლოსიანმა, მირბაშირმა, კასუმოვმა, ქყირიკაძემ, ყაზარიანმა, კაზლოვმა მირსალ[illegible] ფირცხალავამ და ვეზიროვმა.

ამის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. შ. ელიავა. რის შემდეგაც ყრილობამ აირჩია კომისია მოხსენების გარშემო თეზისების დასამუშავებლად.

აღნიშნულ კომისიაში შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: ელიავა, ამბარცუმიანი, ჰუსეინოვი, ავაქოვი, სულთანოვ-გამიდი, იოსებ პოლოსიანი, კასუმოვი, მირბაშირი, ლაკობა, კარაკოზოვი, ყაზარიანი; გუკასოვი, ტოროშელიძე, მიხაილოვა, ჯაბიევი, ქყირიკაძე, მირსალაევი, კაზლოვი, ვეზიროვი, პიტერსკი, ბუნიატზადე, გრიგოროვი, ივანოვი (რკინისგზა) სმირნოვი, გოგიბერიძე მამედ და თეიმურ გუსეინოვი.

კომისიის არჩევით დასრულდა 25 ნოემბრის დილის სხდომა, რომლის მთელი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

25 ნოემბრის საღამოს სხდომა

ყრილობის დახურვა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია. დღის წესრიგში სდგას მოსმენილ მოხსენებათა გარშემო რეზოლიუციების მიღება და არჩევნები.

სანამ ყრილობა აღნიშნულ საკითხების განხილვაზე გადავიდოდა, მან მოისმინა მთელ რიგ დელეგაციების მისალმება, რომელნიც ამ მიზნით გამოცხადდნენ ყრილობაზე. პირველად სიტყვა ეძლევა ამიერ-კავკასიის რკინის გზების ინჟინერ-ტექნიკოსთა დელეგაციის წარმომადგენელს ინჟ. ქავთარაძეს.

ინჟინერ-ტექნიკოსთა დელეგაციის მისალმება

ინჟ. ქავთარაძე

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ინჟინერთა და ტექნიკოსთა სახელით ნება მომეცით მივესალმო ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მეხუთე ყრილობას. (ტაში).

ამხანაგებო, ტექნიკური ძალები ათი წელია მუშებთან ერთად მუშაობენ ტრანსპორტის აღდგენაზე და მის განვითარებაზე. ეხლა ჩვენს წინაშე პარტიამ დასახა მთელი რიგი საპასუხისმგებლო ამოცანები. ესაა აპარატის გამარტივება, მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების გაიაფება და უდიდესი ამოცანა—საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია. ინჟინერებს და ტექნიკოსებს ღრმად სწამთ, რომ ისინი თქვენთან ერთად შეასრულებენ ამ ამოცანას.

მართალია საერთაშორისო მდგომარეობა დღეს რთულია, მართალია საბჭოთა კავშირს კაპიტალისტური ქვეყნები ომით ემუქრებიან, მაგრამ თუ საჭირო დარჩა ჩვენ, ტრანსპორტზე მომუშავე ინჟინერები და ტექნიკოსები თქვენთან ერთად აღვსდგებით მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ. (ხანგრძლივი ტაში).

ამავე დელეგაციის სახელით ყრილობას ესალმება ინჟ. ჭკუასელი.

ინჟ. ჭკუასელი

მე მაქვს ბედნიერება მივესალმო ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მეხუთე ყრილობას. (ტაში).

ჩვენ გულახდილად შეგვიძლია უთხრათ საბჭოთა მთავრობას, რომ ინჟინერ-ტექნიკოსები შესისხლხორცებული ვართ კომუნისტურ პარტიასთან და თქვენთან ერთად მივილტვით ერთი მიზნისაკენ.

ინჟინერები და მუშები შეერთებული ძალით აშენებენ კონტრ-რევოლიუციის მიერ დანგრეულ ქვეყანას. ჩვენ უკვე გადავაცილეთ ამ აღმშენებლობაში ომის დონეს და ეხლა ბუმბერაზის ნაბიჯით მივდივართ წინ ახალი გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის მეხუთე ყრილობას! (ტაში). ამის შემდეგ სომხურ ენაზე ყრილობას ესალმება გულიანი.

საპასუხო სიტყვით დელეგაციას მიმართავს ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც თავის მოკლე სიტყვას ასე ასრულებს: „გაუმარჯოს მეცნიერებისა და შრომის კავშირს“! ყრილობა ხანგრძლივ ოვაციას უმართავს ინჟინერ-ტექნიკოსთა დელეგაციას.

უმართავს ინჟინერ-ტექნიკოსთა დელეგაციას.

სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა გერმანელ მუშა ახალგაზრდობის დელეგაციის წარმომადგენელს ამხ. ბრუნოს ყრილობა გერმანელ მუშა ახალგაზრდობის დელეგაციას ფეხზე ადგომით უმართავს ოვაციებს.

გერმანელ მუშა-ახალგაზრდობის მისალმება

ამხ. ბრუნო

ნება მომეცით მოგესალმოთ გერმანიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაციის და აგრეთვე ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის გერმანიის სექციის სახელით (ტაში).

ამხანაგებო, სამი კვირაა ჩვენ ვმოგზაურობთ საბჭოთა კავშირში. ამ ხნის განმავლობაში საკუთარი თვალით ვნახეთ თუ რა გააკეთა კომუნისტურმა პარტიამ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ერთად-ერთი გამოსავალი მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის არის პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, სოციალისტური რევოლიუციის მოხდენა (ტაში).

როცა ჩვენ დავბრუნდებით გერმანიაში, ვეტყვით იქაურ მუშებს თუ რა კეთდება და როგორ კეთდება საბჭოთა კავშირში. ჩვენი აშკარა ნიღაბახდილ მტრების გარდა, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცილისწამების მეტს არაფერს აკეთებენ ჩვენ, როგორც თქვენ, გვყავს ოპოზიცია. ოპოზიციას არ სწამს, რომ აქ შენდება სოციალიზმი. ჩვენ ჩავალთ გერმანიაში და ვეტყვით იქაურ მუშებს თუ როგორ სასტიკათ სცდება ოპოზიცია.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა განვამტკიცოთ ახალგაზრდობის ფრონტი მთელ მსოფლიოში იმ მიზნით, რომ დავიცვათ საბჭოთა კავშირი იმპერიალიზმის შემოტევისაგან, როცა ეს საჭირო იქნება, ჩვენ საკუთარი მკერდით დავდგებით საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე (ტაში) თუ ბურჟუაზიამ ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და ჩვენ თოფი მოგვცა ხელში, როგორც ჯარის კაცებს, ჩვენ ამ თოფს მივაბრუნებთ იქით, საითაც მიაბრუნებდა მას ყოველი შეგნებული მუშა (ხანგრძლივი ტაში).

საპასუხო სიტყვით გერმანიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციას მიმართავს ყრილობის პრეზიდიუმის წევრი ბაქოელი ახალგაზრდა მუშა ამხ. ვასილ ბალიუკინი, რომელიც აღნიშნავს, რომ აქ კომკავშირი მთლიანად სდგას პარტიის დროშის ქვეშ და ოპოზიციის გამოსვლა ვერ შეუშლის ხელს ჩვენს ძლევა-მოსილ წინსვლას. ტერ-ვაგანიანები და სხვა ამგვარი ფინიები ვერ შეაჩერებენ ბოლშევიკურ სპილოს წინსვლას, რომელიც მიანგრ-მოანგრევს ყველა დაბრკოლებებს და წავა მის მიერ ერთხელ აღებული გზით.

ამის შემდეგ ყრილობას ესალმება სათადარიგო **წითელ მეთაურთა დელეგაცია**, რომელსაც კრება ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხ. მელნიკოვი

მისალმებების შემდეგ ყრილობა ისმენს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

როგორც სამანდატო კომისიის მოხსენებიდან ირკვევა, ყრილობას გადამწყვეტი ხმით სულ ესწრება 529 დელეგატი, სათათბირო ხმით 350 დელეგატი. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატები (529) შემდეგნაირათ ნაწილდებიან: მათ შორის ქალების რიცხვი უდრის 24-ს, კომკავშირლების—37.

ისეთი დელეგატების რიცხვი, რომელნიც იყვნენ ამიერ-კავკასიის კომპარტიათა წინა ყრილობებზე, უდრის 175 კაცს ანუ 33 პროცენტს.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: მუშები 276 ანუ 52,2 პროც., (წინა ყრილობაზე კი იყო 44,8 პროცენტი), გლეხები 32 კაცი ანუ 6 პროცენტი; მოსამსახურეები 220 კაცი ანუ 41,6 პროცენტი.

პარტსტაჟის მიხედვით დელეგატები შემდეგნაირად იყოფიან: პარტიაში შემოსულა 1917 წლამდე 118 კაცი ანუ 22,3 პროცენტი; 1918 წლამდე—118 კაცი ანუ 22,3 პროცენტი; 1919-20 წლამდე—141 კაცი ანუ 26,6 პროცენტი; 1921-22-23 წლამდე—52 კაცი ანუ 10 პროცენტი, 1922-25 წლამდე 96 კაცი ანუ 18,1 პროცენტი და 1926-27 წლამდე—დანარჩენი 41 კაცი.

ეროვნების მიხედვით ყრილობას ესწრება: ქართველები 144 კაცი—27,2 პროცენტი; სომხები 126 კაცი—23,8 პროცენტი; თათრები 101 კაცი—19,1 პროცენტი; ამიერ-კავკასიის სხვა ეროვნებანი—11 კაცი—2 პროცენტი; რუსები 111 კაცი ანუ 2 პროცენტი და დანარჩენი სხვა ეროვნებანი.

ასეთია ყრილობის სურათი სოციალურ პარტიულ და ნაციონალურ მდგომარეობის მხრივ.

ყრილობა ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას, რის შემდეგაც ისმენს რეზოლიუციებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერ-კავკასიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მომავალ მუშაობის შესახებ. ყრილობა იღებს აგრეთვე რეზოლიუციას ა.-კ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან სამეურნეო გეგმის შესახებ.

დასასრულ ყრილობა ირჩევს ახალ ორგანოებს: საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს; ა.-კ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და სარევიზიო კომისიას. როგორც რეზოლიუციებს, ისე ახალ ორგანოებს ყრილობა ერთხმად და ოვაციებით ირჩევს.

სხდომის დახურვის წინ გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს ამხ. მიხა ცხაკაია. დელეგატები ფეხზე ადგომით ხანგრძლივ ოვაციებს მართავენ. ყრილობა მღერის ინტერნაციონალს.

არჩევნები

საქ. კომ. პარ. (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა

წევრები

ალიმალი ოღლი, კ. ადროვი, არტაკი, ამბარცუმიანი, ანისოღლიანი, ასრიბეკოვი, ა. ამირასტიანოვი, ახუნდოვი, რუხულა, გ. ბ. ალავერდიევი, ამბარცუმოვი (ზეინკალი), ბაგიროვი, ბეგზადიანი, ბოლქვაძე (მუშა), ბუნიატ-ზადე, ი. ბარინოვი, ბეჟანიანი (დაზგის მუშა), ვასილიევი (წ. არმია), ა. ვართაპეტიანი, მ. დ. გუსეინოვი, გუმედინი, გენკინი, ა. გეგეჭკორი, ლ. ღოღობერიძე, ა. გიორგაძე, ვ. გოგია (მუშა), ს. ა. გუტინი, მ. გოდლევსკი, გიულიკევხიანი, არ. გაზარიან (მუშა), ს. ჯ. ოღლი, ა. ჯატიევი, ა. ენუქიძე (დაზგის მუშა), ტ. ა. ივანოვი, ივანოვ-კავკასიელი, სერ. კასიანი, ქართველიშვილი, მ. კახიანი, კვანტალიანი (მუშა), ყურულაშვილი (მუშა), დ. კარაკოზოვი, ა. გ. კარაევი, ი. კონუშკინი, ი. კასიმოვი, კარასაევი (ბალახანის მუშა), ემ. კორნიევი (მუშა), გაჯი კასუმოვი მუსა, კარინიანი, კუზნეცოვი (მუშა), ს. კარაპეტიანი (მუშა) ლევანდოვსკი, ნესტ. ლაკობა, ფილიპ. მახარაძე, ბ. მაჩაიძე (მუშა), მგალობლიშვილი, ვასო მზარეულიშვილი (მუშა), ლ. მორჩილაძე (მუშა), ლ. მ. მირზოიანი, გ. მუსაბეკოვი, ვ. მიხაილოვი, ვ. დ. მამედაკოვი (მუშა), მრავიანი, მინასიანი (მუშა), ა. ნაზარეტიანი, ა. ნიკიშინი, მამია ორახელაშვილი, გ. ოსეპიანი, პავლუნოვსკი, დ. ფანცულაია (მუშა), ა. ფანცხავა, ე. ფირცხალავა (დაზგის მუშა), გ. პოპოვი (დაზგის მუშა), ვ. ი. პარუშინი, ი. პოლოსიანი, პაპიკი, რუბენი, რახმანოვი, კ. ა. რუმიანცევი, ნავრ. რზაევი, საბაშვილი, სუხიშვილი, ა. სამოილოვი (დაზგის მუშა), ს. სტეპანოვი, სალმან-აბდულა-ოღლი (მუშა), ს. სარქისიანი, სვანიძე, თოდრია, ტერ-ვართანოვი, მ. ტოროშელიძე, მ. ცხაკაია, ჩურბანოვი (მუშა), შავერდოვა, ელიავა, სეკ. ეფენდიევი, ს. მ. ეფენდიევი, ყურ. იუსუპოვი, სეიდ იაკუბოვი, იაროშენკო (მუშა).

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი

ს. აგამიროვი, ლ. ბერია, გ. სულთანოვი, ლისოვსკი, ვ. ჯაფარიძე, ბუკრეევი, მირსალაევი, ა. კარაკოზოვი, სუტირინი, ფესიუკი, იბრაგიმ ტაგიევი, დეიკინი (მუშა), მაშკევიჩი (მუშა), ჩხენკელი, ბელოვი (ზეინკალი), ისლამ ალიევი, ბ. არუთინიანი, რუსტამ ქიარიმოვი, ქურდაძე (მუშა), კარკლინი, მ. ბ. კასუმოვი, ივანოვი (ამ.-კავკ. რკ.-გზ. სამმართვ. თავმჯდომარე), კოსტანიანი, თენგიზ ჟღენტი, ზ. ეგოროვი (მუშა), მ. მამედხანოვი, მამულია, ვ. ცინცაძე (დაზგის მუშა), ი. შეეცოვი (მუშა), ხ. ოგანჯანიანი, მაისურაძე (დაზგის მუშა), ოდინი, ს. ოთიანი, გეგია (მუშა), ვ. ხაჩიკოგლიანი (მუშა) და შანდუნცი.

პრეზიდიუმი და სამდივნო

ყრილობის დახურვის შემდეგ ახლად არჩეულ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, აირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

ამბარცუმიანი, მ. დ. ჰუსეინოვი, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, ფ. მახარაძე, ლ. მირზოიანი, გ. მუსაბეკოვი, ა. ნაზარეტიანი, მამია ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, შ. ელიავა, გ. ოსეპიანი და კარაევი.

კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი

ხ. იაკუბოვი, ს. ბეკზადიანი, სუხიშვილი, პავლუნოვსკი. ბაგიროვი, რუბენი, ბუნიატ-ზადე და გ. რახმანოვი.

ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. მამია ორახელაშვილი, მეორე მდივნად ამხ. ა. ნაზარეტიანი.

საკონტროლო კომისიის ახალი შემადგენლობა

1. ალავჯალოვი, 2. ახმაროვი, 3. ამირხანიანი, 4. ასლანოვი ამირ (მუშა), 5. ი. ანაშკინი, 6. ა. ბახტაძე (მუშა), 7. ტ. ბეკუზაროვი, 8. ბუხრიკიძე (მუშა), 9. ვაცეკი, 10. ს. ვარდანიანი, 11. ვარძიელი, 12. ვ. ვასილიევი (ხარატი), 13. ა. გალოიანი (მუშა), 14. ს. გეოლეციანი (მუშა), 15. ვ. გრიგორიანი (მუშა), 16. გუდავაძე, 17. გელაშვილი (მუშა), 18. ელისაბედ გევორკიანი, 19. ს. გორობჩენკო, 20. ა. გაბერკორნ, 21. გნიდო, 22. ჯეჯელავა, 23. ა. დოლიძე, 24. ა. დგოიანი (მუშა), 25. ი. ი. დოვლათოვი, 26. დ. ჯაფაროვი, 27. ალა ჯაფაროვი (მუშა), 28. ანაიდა ესაიან, 29. ფილიპე მგალობლიშვილი, 30. ზარიფიანი (მუშა), 31. ს. ზაქრაძე (მუშა), 32. ზანტარია, 33. ვ. იტრიევი (მუშა), 34. კაკაბაძე, 35. კამალოვი, 36. ლ. ყაზარიანი, 37. მ. კაშარიანი (მუშა), 38. კვარაცხელია, 39. კოჩეტკოვი (მუშა), 40. კირვალიძე (მუშა), 41. კარპ (მუშა), 42. გარიბ ქერიმოვი (მუშა), 43. კამაროვი, 44. ლუკაშინი, 45. ნოე ლეჟავა, 46. შამშე ლეჟავა, 47. არამ მირზაბეკიანი, 48. მარდენაშვილი, 49. ა. მანუჩარიანი, 50. ს. მარტიროსიანი (მუშა), 51. ს. მარტიროსიანი (მუშა), 52. მასხულია (მუშა), 53. მაკაროვი (მუშა), 54. მარკაროვი (მუშა), 55. ნ. მგელაძე, 56. მანდრიცკი, 57. მუსეიბ არ[illegible]მედოვ (მუშა), 58. ალა ბალა ნეჯიდოვი (მუშა), 59. მოსკვინი (ზეინკალი), 60. მუზაფარი ნარმანოვი, 61. ვაგან ოსეპიანი, 62. ლ. ოგანესიანი, 63. ს. ოპარინი (მუშა), 64. პავერმანი, 65. პაპაჯანოვი, 66. ანდრო ფირცხალავა (მუშა), 67. მ. პლეშაკოვი, 68. პაშაევი (მუშა), 69. პუპეგოვი (მუშა), 70. ტიმოთე პახომოვი, 71. რონზანი (მუშა), 72. ა. რუხაძე (მუშა), 73. რაჯაბოვა (მუშა-ქალი), 74. ვ. სტუოუა, 75. სეირანოვი (მუშა), 76. ა. სარატიკიანი, 77. მ. სარქისიანი (მუშა), 78. გ. სტურუა, 79. სტერნინი (მუშა), 80. სტეპანოვი (მუშა), 81. ალიოვსატ სალიმოვი (მუშა), 82. საიკიანი, 83. ტატიანი, 84. ტატუშკინ (მუშა), 85. ვანო ულიანოვი, 86. ფიოდეევი, 87. ხუმარიანი, 88. ხორკელია (მუშა), 89. ხაჩატუროვი (მუშა), 90. ჩერტოვი (მუშა), 91. შევთელი, 92. შოგირაძე, 93. შამოევი (მუშა), 94. მუსეიბ შახვერდი (მუშა), 95. ი. შენგელია (მუშა), 96. იუსუფოვი, 97. იუსუფ იაგუბი (მუშა), 98. ახუნდზადე, 99. პერსიკოვი, 100. კონსტანტინე გეგეჭკორი, 101. ნემერზელი, 102. გუბინი.

საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისია

ხაჩიევი, იარიგინი, ალიხანოვი, გოლდბაუმი, ათაბეგოვი, ზოსიმე კალანდია, ალექსანდრე შავერდოვი.

დელეგატები მე-15 ყრილობაზე

გადამწყვეტი ხმით

1. სერგო ორჯონიკიძე, 2. ანასტასი მიქოიანი, 3. მამია ორახელაშვილი, 4. არტაკი, 5. რუხულა ახუნდოვი, 6. ამირ-ასლანოვი, 7. ახმედ ქერიმ (მუშა), 8. ვატავინი (მუშა), 9. პავლე დვორიანოვი (მუშა), 10. ერმოხინი (მუშა), 11. ალი-გუდარ კარაევი, 12. ლევან მირზოიანი, 13. განზაფარ მუსაბეკოვი, 14. ვასილი მიხაილოვი, 15. ტიმოთე ივანოვი, 16. ალექსანდრე ნიკიტინი, 17. მიხეილ პლეშაკოვი, 18. ვლადიმერ პარუშინი, 19. სკოტნოვი (მუშა), 20. მასან რახმანოვი, 21. ს. სურიგინი (მუშა), 22. ულიანოვა, 23. ოსკარ ეფენდიევი, 24. მიხა ცხაკაია, 25. ა. ლევანდოვსკი, 26. ლუკაშინი, 27. ოსეპიანი, 28. ამბარცუმიანი, 29. სარქისიანი, 30. ამირხანიანი, 31. ანისოღლიანი, 32. რუქუტაკი, 33. ნაზარეტიანი, 34. მახარაძე, 35. ელიავა; 36. კახიანი, 37. ქართველიშვილი, 38. ღოღობერიძე, 39. სტურუა, 40. კვანტალიანი, 41. გეგეჭკორი, 42. ვასილიევი, 43. ლაკობა; 44. სუხიშვილი, 45. ბოლქვაძე, 46. სვანიძე, 47. ივანოვ-კავკასიელი, 48. ტერ-ვართანოვი, 49. მორჩილაძე, 50. მზარეულიშვილი, 51. რთველაძე.

სათათბირო ხმით

1. დოვლათოვი, 2. მირ-ხალაევი, 3. საიკიანი, 4. ხვერდლოვი, 5. პერსიკოვი, 6. მარიამ კრილოვა, 7. რუმიანცევი, 8. ს. მ. ეფენდიევი, 9. ხაბიბულა, 10. ნიკიტინი, 11. მიქოვა კ., 12. პაპიკ, 13. ანტონოვი; 14. სარქისიანი, 15. შავერდოვი, 16. ესაიანი, 17. რახმანოვი, 18. მრავიანი. 19. ბაგრ. მაჩაიძე, 20. ფანცხავა, 21. აბაევი, 22. ქურდაძე, 23. გელაშვილი; 24. გოზეხა, 25. ვაინროსი, 26. რუბენი, 27. ვარო ჯაფარიძე, 28. ა. საყვარელიძე, 29. გაიოზ დევდარიანი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთხუთმეტე ყრილობის წინ

ტროცკისტული ოპოზიციის კონტრ-თეზისები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ

აუცილებელი წინასწარი შენიშვნა

[illegible] განვითარების ნორმალურ პირობებში პარტიული უმცირესობის თეზისები და საერთოდ ყველა დოკუმენტები ქვეყნდება ადრე, ყრილობის წინა დისკუსიის ოფიციალურ დაწყებამდე. თავის მხრივ დისკუსია წინ უნდა უძღოდეს ყოველგვარ პარტიულ არჩევნებს, რომლებიც საბოლოოდ ან წინასწარ განსაზღვრავენ ყრილობის შემადგენლობას. ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ დისკუსია უნდა მიმდინარეობდეს ისეთ პირობებში, რომლებმაც პარტიულ მასებს უნდა მისცენ ყველა სადავო საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღების საშუალება. არც ერთი ამ პირობათაგანი სრულიად არ არის დაცული:

ა) უჯრედთა ბიუროების გადარჩევა, არჩევნები სარაიონო და სამაზრო კონფერენციებზე არჩევნები საოლქო და საგუბერნიო კონფერენციებზე ჩატარდა და ტარდება დისკუსიამდე და უდისკუსიოდ.

ბ) ამნაირად, მომავალი პარტიული ყრილობა წინასწარ დაცულია პარტიის შიგნით აზრთა ბრძოლის გავლენისაგან დისკუსია განწირულია ცალმხრივ განვითარებაზე. ყრილობაზე ის ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს. ეს ნიშნავს იმას, რომ პარტიის წევრთა მასებს ეკუთვნებათ არა გადამწყვეტი, არამედ სათათბირო როლი.

გ) მაგრამ, ეს დისკუსიაც ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომლებსაც, თუმცა ისინი გარეგნულად მრავალ ფორმას აძლევენ დისკუსიას (ლანძღვა-გინება, სტვენა, კრებების ჩაშლა და სხ.) მაინც მინიმუმ-მდე დაჰყავთ დისკუსიის დადებითი, ე. ი. აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ეს მთლიანად ეხება აგრეთვე საკითხს თეზისების შესახებ.

ცეკას თეზისები გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს ჩვენ. [illegible] ნელებს (ოპოზიციას) აკრძალული გვქონდა ჩვენი პლატფორმის დაპირდაპირება ცეკას თეზისებისათვის, ხოლო ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმზე უარყოფილ იქნა ჩვენი წინადადება, რომ ჩვენი პლატფორმიდან კონტრ-თეზისების სახით გამოქვეყნებულიყო თუნდაც ის მუხლები, რომლებიც ეხებოდენ იმავე საკითხებს, რასაც ცეკას თეზისები შეიცავდენ. ამის შედეგად ოპოზიციის კონტრ-თეზისები გამოქვეყნდა ყრილობამდე სამი კვირის წინ, ე. ი. იმის შემდეგ, რაც მთელ ქვეყანაში უკვე ჩატარდა ქვედა პარტიული კონფერენციები. კავშირის შორეულ ნაწილებში ოპოზიციის კონტრ-თეზისებს გაეცნობიან უკვე ყრილობაზე დელეგატების გამგზავრების შემდეგ. მე-15 ყრილობისათვის მზადების წმინდა აპარატული წესი ამ ფაქტში პოულობს ყველაზე ნათელ და აშკარა გამოხატულებას.

მაგრამ სოციალისტური მშენებლობის ძირითადი საკითხები ინარჩუნებენ მთელ თავის ძალას. ყრილობისათვის მომზადების მეთოდებისაგან დამოუკიდებლად, ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ცარიელ ორგანიზაციულ მექანიკას დაემორჩილოს სწორი პოლიტიკური ხაზი. ეს უკანასკნელი მაინც გადალახავს ყველა ზღუდეებს და გაიკვლევს თავის გზას.

წინააღმდეგ ჩვენი პარტიის წესების და ტრადიციების,—როგორც უმცირესობა, მოკლებულნი მე-15 ყრილობის მზადებაზე, მის შემადგენლობაზე და მომავალ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის საშუალებას, ჩვენ ჩვენი თეზისებით მივმართავთ პარტიას, და პირველ ყოვლისა მისი პროლეტარულ შემადგენლობის [illegible].

ცეკას თეზისების ძირითადი ნაკლი

მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის საკითხზე ცეკას თეზისებს ყოველი მუშა-კომუნისტი სრულიად არ მოელოდა იმას, რასაც შეიცავენ ამხ. რიკოვისა და კრჟიჟანოვსკის თეზისები.

ყველა კომუნისტები შიშით ეკითხებიან თავის თავს: რა იქნება მომავალში [illegible] მხრივ; ნუ თუ არაფერი იქნება? რას ამბობენ ამაზე განწყობა „ხუთწლედების“ ციფრები და რას ამბობენ ამ ხუთწლედებზე ცეკას თეზისები? ამაზე ცეკას თეზისები არავითარ პასუხს არ იძლევიან.

ყოველი კომუნისტი აძლევს თავის თავს მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვან და ყველასათვის საერთო კითხვას: უახლოეს წლებში როგორი მდგომარეობა იქნება საქონლის სიმწირის მხრივ. ჯერ კიდევ ამა წლის დასაწყისში ამხ. მიქოიანი, რიკოვი, ბუხარინი და სხ. ებრძოდნენ რა ოპოზიციას, კატეგორიულად ამტკიცებდნენ, რომ საქონლის სიმწირე სწრაფად შემცირდება. ამ მხრივ რა მიიღო მუშამ და გლეხმა [illegible] „მოისპობა“ [illegible] საქონლის სიმწირე [illegible] თუ საქონლის მიწოდება მართლა გადაამეტებს მოთხოვნილებას? რას ამბობენ ამის შესახებ სახელმწიფო საგეგმო კომისია და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო [illegible] და რას ამბობენ ამ ხუთწლიანი გეგმების შესახებ ცეკას თეზისები: ამ ხუთი წლის მანძილზე როგორ შეიცვლება საქონლის სიმწირე? ამ საკითხზე არავითარი არ არის მოცემული პასუხი ცეკას თეზის-დირექტივებში.

ასეთივე მდგომარეობა მთელ რიგ დანარჩენ საკითხების მიმართაც, როგორიც არის: [illegible] შესახებ და სხ.

ცეკას თეზისებში ლაპარაკია „მუშა-მოსახლეობის საბინაო მოთხოვნილების“ [illegible] შესახებ, და ამავე დროს არ არის აღნიშნული, თუ რა ფარგლებში. [illegible] დამატება 50 მილ. მან. სრულიად უმნიშვნელოა საბინაო მოთხოვნილებასთან შედარებით და ბევრად არ სჭარბობს იმ ასიგნობათა ზრდას, რომლებიც უმნიშვნელოდაც უნდა გადიდებულიყო მეურნეობის საერთო ზრდასთან შედარებით.

თეზისებში ლაპარაკია საერთოდ ბრძოლაზე ლოთობის წინააღმდეგ, მაგრამ მასში არ არის არც ერთი კონკრეტული წინადადება: რომ შემცირდეს შემოსავალი არაყიდან როგორც მიმდინარე საბიუჯეტო, ისე შემდეგ წლებში. და ამის და მიხედვით შემცირდეს არაყის ხდის მრეწველობის საწარმოო პროგრამა. ამავე დროს კი [illegible] სამეურნეო წლიური და ხუთწლიანი გეგმები მთლიანად აგებულია [illegible] ზრდაზე.

ამნაირად, ცეკას თეზისების პირველი ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ცეკა პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე არ კისრულობს პასუხისმგებლობას ხუთწლიანი გეგმის არც ერთ პროექტზე და კონკრეტულად არ ხსნის იმ ძირითად იდეებს შესახებ, რომლებზედაც აგებულია ეს ხუთწლიანი გეგმები; არ იძლევა მითითებას, თუ რა მხრივ უნდა შეიცვალოს ისინი. ამავე დროს კი ყველა, დღემდე გამოქვეყნებული ხუთწლიანი გეგმები, შემუშავებული ცეკას წევრების—რიკოვის, კრჟიჟანოვსკის, კუიბიშევის, მიქოიანის და სხ. მიერ, აშკარად ეწინააღმდეგებიან ცეკას ყრილობის წინა თეზისებს. ამიტომ არაფერი გასაკვირი იქნება, თუ ახალი ხუთწლიანი გეგმები, რომლებსაც ეხლა ამზადებენ დაწესებულებებში, მთლიანად „ზეინდუსტრიალისტური“ აღმოჩნდებიან და ისევე ნაკლებ იქნებიან დაკავშირებული დღევანდელ დღესთან, ისევე ნაკლებ დასაბუთებულნი და ნაკლებ რეალურნი, როგორც ზოგიერთი დანარჩენი [illegible].

მთლიანად თეზისები წარმოადგენენ [illegible] სურვილების კრებულს სამეურნეო გეგმის და სამეურნეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე და ამასთან ერთად პარტიისა და მუშათა კლასისათვის სრულიად არ არის განმარტებული, რომ შეიძლება თუ არა ან რა გზით ამ სურვილების ნამდვილად განხორციელება, თეზისების - დირექტივების ბუნდოვანება და გაურკვევლობა მით უფრო დაუშვებელია, რომ ცეკას, ქვეყნის მთელი სახელმწიფოს აპარატის ხელმძღვანელს. აქვს სრული შესაძლებლობა და თავისი დანიშნულებითაც მოვალეა იძლეოდეს გარკვეულ და კონკრეტულ, პარტიისა და მუშათა კლასის ფართო მასებისათვის მისაწვდომ დირექტივებს, რომლებიც ერთნაირად გასაგები უნდა იყოს ყველა სამეურნეო ორგანოებისათვის. ეს ბუნდოვანობა და გაურკვევლობა შემთხვევით არ არის. მათი დანიშნულება—დაფარონ მუდმივი მერყეობისა და მიხვეულ-მოხვეული გზით სიარულის პრაქტიკა, დაფარონ წვრილ ბურჟუაზიული ზეგავლენის წინააღმდეგ პროლეტარული პოლიტიკის დასახვისა და დაცვის უნარი, და — როგორც აუცილებელი შედეგი — დაფარონ დაცურვის, ე. ი. არაპროლეტარული კლასების ზეგავლენით მეტ დათმობაზე წასვლის პრაქტიკა.

სამეურნეო გეგმები და კლასიური ბრძოლა საბჭოთა კავშირში

თეზისების მეორე ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ამ თეზისების ავტორები ივიწყებენ მთავარს და ძირითადს, სახელდობრ იმას, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარების დღევანდელ სტადიაში, მსხვილი სამეურნეო მნიშვნელობის თვითეული საკითხი, მით უფრო მთელი მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, წარმოადგენენ კლასიური ბრძოლის საკითხებს. ძნელია არ არის მოუწოდო „გამდიდრებისაკენ“ იმათ, ვინც ისედაც მდიდრდებოდა, ასეთ ლოზუნგს, ლოზუნგს გამდიდრების შესახებ. აყენებენ ქალაქის და სოფლის ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენლები და შეასრულებენ მას მთელი 100 პროცენტით. სულ სხვა საქმეა, როდესაც სოფლის, ორი წლით დაგვიანების შემდეგ ცეკა „მანიფესტშიაც“ და თეზისებშიაც აცხადებს ლოზუნგს კულაკის და ნეპმანის შევიწროების შესახებ.

ეს ლოზუნგი, თუ მას სერიოზულად მივიღებთ, ითვალისწინებს მთელი პოლიტიკის შეცვლას, ძალთა ახალ დაჯგუფებას, ყველა სახელმწიფო ორგანოების ახალ ორიენტაციას. ეს საჭიროა თავიდან სწორად და ნათლად. არც კულაკს, ერთის მხრივ და არც ღარიბს—მეორეს მხრივ არ დაავიწყდებათ, რომ ორი წლის განმავლობაში ცეკა იცავდა სულ სხვა პოლიტიკას. ცხადია, რომ თეზისების ავტორები თავისი წარსული პოლიტიკის [illegible] დროს გამოდიან იმ აზრიდან, რომ პოლიტიკის შესაცვლელად საკმარისია ახალი „ბრძანება“.

მაშინ, როდესაც ახალი ლოზუნგის განხორციელება არა სიტყვიერათ, არამედ საქმით, არ შეიძლება ზოგიერთი კლასების გააფთრებული წინააღმდეგობის დაძლევისა და მეორე კლასის ძალთა მობილიზაციის გარეშე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კულაკი სულ უფრო და უფრო უტევს ღარიბ სოფლად და სახელმწიფო ხელისუფლებას ქალაქად და აიძულებს მას შეცვალოს თავისი სამეურნეო გეგმები და ანგარიშები.

კულაკის, კერძო მესაკუთრის, ბურჟუაზიული ინტელიგენტის ზრდა არა მარტო სახელმწიფო, არამედ პარტიულ ბიუროკრატიზმის მრავალ [illegible] რეზოლიუციების. არის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ყველაზე უფრო უტყუარი, მაგრამ ამასთანავე ყველაზე უფრო საშიში პროცესი. აქ ისახება ორი ხელისუფლების ჩანასახი. ის ჩანასახი, რომელიც ემუქრება პროლეტარიატის დიქტატურას.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეს საფრთხე, რომ სერიოზულად შევავიწროვოთ კულაკი, ნეპმანი და ბიუროკრატი, კერძო იმისათვის, რომ სერიოზულად დავბეგროთ კულაკი დამატებითი გადასახადებით — საჭიროა უპირველეს ყოვლისა [illegible], შემდეგ უნდა აღმოვაჩინოთ ის მისი შემოსავალი, რომელსაც იგი ფარავს და რომელიც თანდათან იზრდება.

მოჯამაგირის და ღარიბთა დაცვა კულაკების ექსპლოატაციისაგან შეუძლებელია თვით ამ მოჯამაგირეების და ღარიბთა აქტივობის გარეშე. იმისათვის კი რომ მოჯამაგირეს და ღარიბ გლეხს შეეძლოს ხმის ამოღება და დახმარების გაწევა კულაკის შევიწროების საქმეში, საჭიროა, [illegible] მე დავრჩები ისევ კულაკთან პირისპირ და [illegible] უმუშევრობა. რომ არ მოხდეს ეს, საჭიროა სერიოზულად [illegible] ღარიბესი ნაწილის კლასიური ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ. ის, ვინც არ ბედავს ასეთ ბრძოლას, ვისაც არა აქვს გათვალისწინებული მისი შედეგები, არ შეუმუშავებია მისი გეგმა—ის ტყუილა უბრალოთ აყენებს ლოზუნგს „კულაკის შევიწროების“ შესახებ. ეს ლოზუნგი იქცევა მხოლოდ დემაგოგიურ ფრაზად.

ასევე სდგას საკითხი ნეპმანის შევიწროების შესახებ ქალაქად. უკანასკნელი წლების განმავლობაში ნეპმანების მანეთი ქალაქებში ავიწროებდა მუშათა კაპიკს. ასეთ შევიწროებას ადგილი ჰქონდა საბინაო საკითხში, სახელმწიფო აპარატში, მაღაზიაში, სკოლაში, თეატრში და სხვ. იმისათვის, რომ სხვანაირად მოეწყოს საქმე, არ კმარა სრულებით ფინსახკომის ახალი ინსტრუქცია ფინსახკომის მუშაკებისადმი. მხოლოდ უკეთეს ბიუროკრატს შეუძლია იფიქროს, რომ მთელი საქმე ამით ამოიწურება. ნეპმანის შევიწროება წარმოუდგენელია ისე, თუ არ იქნა გამოყენებული ქალაქად მუშათა აქტივობა, თუ არ იქნა აღდგენილი საბჭოებში მუშათა დემოკრატია, თუ არ იქნა შემოღებული ყველა საბჭოთა ორგანოების ნამდვილი (და არა მოჩვენებითი) პასუხისმგებლობა მუშათა ამომრჩევლების წინაშე. ეს ეხება აგრეთვე პროფკავშირებს და უპირველეს ყოვლისა პარტიას.

კლასიური ბრძოლის ყველა ამ მთავარ საკითხების შესახებ, ურომლისოდ წარმოუდგენელია მეურნეობის რამოდენიმე მაინც დამაკმაყოფილებელი ხუთწლიანი გეგმის გატარება, ცეკას თეზისებში ერთი სიტყვაც არ მოიპოვება.

კლასებს ვინ ვის?—სწყვეტს კლასების დაუსრულებელი ბრძოლა, რომელიც სწარმოებს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფრონტებზე, განვითარების სოციალისტურ, ან კაპიტალისტურ გზისათვის, სახალხო შემოსავლის ამ თუ იმ გზით განაწილებისათვის, პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლების მთლიანობისათვის, ან ამ ძალაუფლების ახალ ბურჟუაზიასთან გაყოფისათვის. იმ ქვეყანაში სადაც მოსახლეობის აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენს წვრილი და საშუალო გლეხობა და საერთოდ წვრილი მესაკუთრე, [illegible] პროცესები [illegible] ხდებიან და ნამალევად, რომ შემდეგ [illegible] „მოულოდნელად“ [illegible] გარეთ.

კაპიტალისტურმა სტიქიამ თავისი გამოხატულება ჰპოვა, უპირველესად ყოვლისა, სოფლის ფენების დიფერენციაში და კერძო მესაკუთრის ზრდაში. სოფლის ზედა-ფენები ისევე, როგორც ქალაქის ბურჟუაზიული ელემენტები სულ უფრო და უფრო ეთვისებიან სახელმწიფო სამეურნეო აპარატის სხვადასხვა რგოლებს. ეს აპარატი ხშირად ხელს უწყობს ახალ ბურჟუაზიას იმაში, რომ სტატისტიკურ ბურუსში გახვიოს მისი ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს სახალხო შემოსავალში მის მიერ შეტანილი წილის გადიდებას.

სავაჭრო აპარატი—სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო სავაჭრო აპარატს [illegible] სახალხო შემოსავლის მეტად დიდი ნაწილი; მთელი შემოსავლის ერთ მეათედზე მეტი. მეორე მხრივ კი კერძო კაპიტალი სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვაში უკანასკნელ წლების განმავლობაში იღებდა მთელი ბრუნვის ერთ მეხუთედზე მეტი. [illegible] მაკრატელი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ფასებს შორის, საბითუმო-საცალო „მაკრატელი“, მაკრატელი სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგების, ცალკე რაიონების ფასებს შორის, ფასების დამოკიდებულება სეზონებზე, მაკრატელი საშინაო და მსოფლიო ფასებს შორის (კონტრაბანდა)—წარმოადგენენ მოგების მუდმივ წყაროს.

კერძო კაპიტალი მევახშურ პროცენტებს იღებს სესხად გაცემულ თანხებისაგან და გებულობს სახელმწიფო სესხზე.

კერძო კაპიტალისტის როლი მნიშვნელოვანია მრეწველობაშიაც. თუ ის უკანასკნელი ხნის განმავლობაში შედარებით ეცემოდა, სამაგიეროთ იზრდებოდა აბსოლიუტურად. კერძო კაპიტალისტური, საცენზო მრეწველობა ყოველწლიურად იძლევა 400 მილიონ მან. ნაწარმოებს, წვრილი შინა-მრეწველ. და ხელოსნობა კი იძლევა—1.800 მილ. მანეთის ნაწარმოებს. არასახელმწიფოებრივი მრეწველობის პროდუქცია საერთოდ შეადგენს მთელი მრეწველობის პროდუქციის ერთ მეხუთედზე მეტს და ფართო ბაზრის საქონლის რაოდენობის 40-მდე პროცენტს ამ მრეწველობის უდიდესი ნაწილი და ასე თუ ისე დაკავშირებულია კერძო კაპიტალთან. სავაჭრო და შინა-მრეწველურ კაპიტალის მიერ წვრილმეურნე შინა-მრეწველების ექსპლოატაცია, თავისი აშკარა და ფარული ფორმებით, წარმოადგენს ახალ ბურჟუაზიისათვის დაგროვების მეტად მნიშვნელოვან წყაროს. სახ. აპარატის გვერდით იზრდება, მაგრამ მასთან ერთად იზრდება მუშათა სახელმწიფოს ბიუროკრატიული გადაგვარებაც. კაპიტალიზმის აბსოლიუტური და შედარებითი ზრდა სოფლად და მისი აბსოლიუტური ზრდა ქალაქად, იწვევს ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიული ელემენტების პოლიტიკური თვითშეგნების ზრდას. ეს ელემენტები ცდილობენ —და ხშირად მათი ცდა აღწევს კიდეც მიზანს— დემორალიზაცია შეიტანონ კომუნისტების იმ ნაწილში, რომელსაც ხვდებიან სამუშაოზე, ან ცხოვრებაში. სტალინის მიერ მე-14 ყრილობაზე მოცემულ ლოზუნგს: ცეცხლი მარცხნივ—არ შეეძლო არ გამოეწვია პარტიაში მემარჯვენე ელემენტების, ხოლო ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიულ უსტრიალოვურ ელემენტების შეჭიდროვება.

ცეკას თეზისებში გრძელდება ოპოზიციის დევნა, ე. ი. კომუნისტების იმ ნაწილის დევნა, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში მტკიცედ იბრძოდა კულაკის, ნეპმანის და ბიუროკრატის შევიწროებისათვის, მაშასადამე სახალხო შემოსავლის ისეთ განაწილებისათვის, ურომლისოდ წარმოუდგენელია ინდუსტრიალიზაციის ტემპის აჩქარება, უმუშევრობის შემცირება, საქონლის ნაკლებობის ლიკვიდაცია წარმოუდგენელია ისეთი პოლიტიკურად სწორად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც, კულაკის, ნეპმანის და ბიუროკრატის შევიწროების საუკეთესო საშუალებათ მიიჩნევს პარტიის იმ ფრთის შევიწროებას, რომელიც დღევანდელი ცეკას [illegible] სურვილის წინააღმდეგ მუდამ იბრძოდა მოქმედების ამ პროგრამისათვის. პირიქით დღევანდელი პარტიული ხელმძღვანელობა კულაკს და ნეპმანს აქეზებს ოპოზიციის წინააღმდეგ. კულაკი და ნეპმანი პარტიაზე გავლენას ახდენს იმ ბიუროკრატის საშუალებით, რომელიც ზის სახელმწიფო და სამეურნეო აპარატში.

„მესამე ძალა“—ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ელემენტები—მოუთმენლად მოელიან ლენინური ოპოზიციის განადგურებას, რომ ამით გადაშალონ თავისი ეკონომიური პროგრამის განხორციელება—ხელფეხი გაუხსნან კულაკს და ნეპმანს, დაუკავშირდნენ უცხო კაპიტალს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობის საშუალებით და სხვ.

რომ მოეწყოს სახალხო შემოსავლის სწორი განაწილება, ისეთი განაწილება, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოო ძალების განვითარებას, გააძლიერებს პროლეტარულ დიქტატურას და დააჩქარებს სოციალისტურ მშენებლობას, საჭიროა პოლიტიკის საერთო კურსის შეცვლა.

3. ბიუროკრატიული ოპტიმიზმი ემსახურება მტერს

კლასობრივ ძალთა შეფარდება თეზისებში სრულიად არ არის გაშუქებული, საქმის ნამდვილი მდგომარეობა შენიღბულია, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა უკანასკნელ წლებში. თეზისებში ნათქვამია:

„კლასობრივ ბრძოლისა და კლასიურ ძალების განწყობილების თვალსაზრისით ის პერიოდი, რომელშიც ჩვენ შევდივართ, ხასიათდება პროლეტარიატის კლასიური ძლიერების ზრდით, მისი კავშირის განმტკიცებით ღარიბ და საშუალო შეძლების მასასთან ქალაქისა და სოფლის კერძო კაპიტალისტურ ელემენტების შედარებით შემცირებასა და ჯერ კიდევ შესაძლებელ აბსოლიუტურ ზრდასთან ერთად“.

მდგომარეობის ეს „საიუბილეო“ შეფასება არ არის სწორი. ის აგებულია საფრთხის შემცირებაზე და ამიტომ საზიანოა, ვინაიდან შეუძლია მოადუნოს პროლეტარიატის სიფხიზლე.

ცეკას თეზისების შემთხვევით სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, მუშა-პარტიელმა განცვიფრებით უნდა ჰკითხოს თავის თავს: თუ კულაკის, ნეპმანის და ბიუროკრატის ძალები „შედარებით მცირდება“, და პროლეტარიატის ძალები კი იზრდება, მაშინ რაღა საჭირო იყო კურსის შეცვლა, ე. ი. ახალ ლოზუნგის წამოყენება—ბურჟუაზიულ წრეების შევიწროების და, კიდევ მეტი, [illegible] შევიწროების შესახებ? ხომ არა აქვს ადგილი სწორედ საწინააღმდეგო მდგომარეობას, ე. ი. ხომ არ არის საჭირო კულაკის შევიწროება (ჯერ ჯერობით სიტყვიერად) სწორედ იმიტომ, რომ გაიზარდა მისი ძალა და მისი შემოტევა პროლეტარიატზე?

საქმე სრულებითაც არ არის ისე, როგორც ამას ხატავენ ცეკას დირექტივები.

ჯერ ერთი, რომ ცეკას თეზისები ერთნაირად აფასებენ კაპიტალ. ქალაქში და კაპიტალიზმს სოფლად. რაც სრულებით არ არის სწორი. თეზისები ამტკიცებენ, რომ აგრარული კაპიტალიზმიც მხოლოდ აბსოლიუტურად იზრდება. სინამდვილეში კაპიტალიზმი სოფლად იზრდება შედარებითაც და აბსოლიუტურადაც, იზრდება დიდი სისწრაფით და დღითი დღე იზრდება საბჭოთა სახელმწიფოს და მისი მრეწველობის დამოკიდებულება სოფლის შეძლებულ—კულაკურ ნაწილის [illegible] და საექსპორტო რესურსებისაგან.

მეორე,—ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბურჟუაზიულ ელემენტების შემოტევის ზრდა პროლეტარიატზე სრულებითაც არ [illegible] არითმეტიკული შეფარდებით ეკონომიურ [illegible]. აგრარული კაპიტალიზმის განვითარება, რომელიც [illegible] ქალაქის [illegible] კაპიტალიზმს, საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაეღვიძებინათ თავისი ძალის შეგნება ჩვენი ქვეყნის ყველა ბურჟუაზიულ ელემენტებისათვის. რომლებიც ამასთანავე თავის ზრდას უკან ეძებენ მსოფლიო კაპიტალიზმის [illegible] რეზერვებს.

მესამე—საჭიროა ანგარიში გავუწიოთ მსოფლიო კაპიტალისტური გარემოცვის ძალებს, მსოფლიო კაპიტალიზმის შემოტევის ზრდა საბჭოთა კავშირზე ათამამებს ჩვენს შინაურ ბურჟუაზიას, მთელმა რიგმა დამარცხებებმა (ჩინეთი და სხვ.) საგარეო პოლიტიკაში, რომლებიც უმთავრესად გამოიწვია ცეკას ოპორტუნისტურმა პოლიტიკამ, კიდევ უფრო გაზარდა ძალთა განწყობილება ჩვენს მოწინააღმდეგე კლასსა და მის შინაგან და გარეშე მტრების შეერთებულ ძალებს შორის. შინაური ბურჟუაზია შემოტევას, რა თქმა უნდა, ისე გაბედულად, ისე აშკარად, ისე თავხედურად ვერ აწარმოებს, როგორც აწარმოებს შემოტევას მსოფლიო ბურჟუაზია პროლეტარიატის დიქტატურისა და მის პროლეტარულ აღნაგობაზე. მაგრამ ეს ორი შემოტევა დაკავშირებულია ერთმანეთთან და სწარმოებს ერთსა და იმავე დროს.

ამრიგად, არაპროლეტარულ ძალების შემოტევა მუშათა კლასზე, გაძლიერებული ცეკას უსწორო პოლიტიკით, კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. მაგრამ ამის აღიარება ცეკას დღევანდელ უმრავლესობისათვის იქნებოდა იმის მომასწავებელი, რომ ეცნოთ, რომ ყველა მის დავაში ოპოზიციასთან საბჭოთა კავშირის შინაგან განვითარების საკითხების გარშემო მთლიანად და სავსებით მართალი იყო ოპოზიცია. იგერიებს რა ოპოზიციის კრიტიკას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მართლდება ცხოვრების ფაქტებით, ცეკას უმრავლესობა ოპოზიციის პლატფორმიდან იწერს კულაკისა და ნეპმანის შევიწროების ლოზუნგს (შეადარე ერთმანეთს ოპოზიციის პლატფორმა და „მანიფესტი“). მაგრამ, სურს რა დაფაროს თავისი იდეურ-პოლიტიკური გაკოტრება, ცეკას უმრავლესობა საბოლოოდ იბნევა. თვითეულ მუშას ესმის, რომ პოლიტიკის გეზის ასე გადაჭრით (ჯერ-ჯერობით სიტყვიერად) გამოცვლილი ერთად-ერთ გონივრულ ახსნას წარმოადგენს პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ [illegible] ფაქტის აღიარება. ცეკას უმრავლესობა კი ახდენს უიმედო ცდას ახსნას კულაკისა და ნეპმანის „გაძლიერებული“ შევიწროების საჭიროება მათი „შესუსტებით“ პროლეტარიატთან შედარებით, ამრიგად, ცეკა აქარწყლებს ჩვენი ქვეყნის კლასიური ძალთა განწყობილების ძირეულ შეფასებას, ადუნებს პროლეტარიატის აქტივობას და სიფხიზლეს და ამით სპობს ნდობას გეზის ახალ „შეცვლისადმი“, ვინაიდან აშკარავებს მას, როგორც პოლიტიკურ მერყეობას.

მაგრამ ეხლანდელ რეჟიმის პირობებშიაც, რომელიც ლამობს არარად აქციოს ლენინის დროს არსებული მუშათა დემოკრატია, კლასიურ მტრების შემოტევა პროლეტარიატსა და მის პარტიაზე. აღვიძებს მუშათა კლასის [illegible] აქტივობას. ლენინგრადის პროლეტარიატმა თავისი თანაგრძნობით ოპოზიციისადმი 17 ოქტომბრის დემონსტრაციის დროს აჩვენა, რომ მან უკვე იგრძნო, თუ საიდან მოდის საფრთხე მის კლასიურ ბატონობას. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ გამოსავალი გზები მომავალ პოლიტიკურ დაბრკოლებებიდან.

(შემდეგი იქნება)

ლენინის ხაზის დასაცავად სამეურნეო პოლიტიკაში

ჩვენი დროის შტრეიკბრეხერები და მათი „კონტრ-თეზისები“

1. წინასწარი შენიშვნები. დისკუსიის „სადისკუსიო ფურცლის“. ოპოზიციონური სტრატეგიის ფარული ავადმყოფობის შესახებ

ჩვენ წინ გვიდევს ტროცკისტული კონტრ-თეზისები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. რასაკვირველია, ტროცკისტული ოპოზიცია არ იქნება ტროცკისტული ოპოზიცია, თუ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის გამო არ „მოიგონებს“, რომ დამარცხება ჩინეთში „უმეტეს წილად“ აიხსნება „ცეკას ოპორტუნისტული პოლიტიკით“; თუ წინასწარ არ შეეცადა ჩირქის მოცხების პარტიის მე-15 ყრილობის შემადგენლობისათვის; თუ მეათასეჯერ არ ალაპარაკდა ცნობილი სიტყვის—„გამდიდრდით“-ის გარშემო, თუ ამასთან ერთად არ მიიღო უწყინარი სახე და არ გამოხატა, რომ თითქოს მას „ხდავენ“, არ ათავსებენ „სადისკუსიო ფურცელში“, რომ თითქოს „დისკუსია მიმდინარეობს ცალმხრივად“ და სხვა.

ამავე დროს კი, მთელმა პარტიამ და თვით ოპოზიციამაც მშვენივრად იციან, რომ ოპოზიციონური დოკუმენტები იბეჭდება უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს შეეფერება მის ხვედრით წონას პარტიაში (0,7 პროც.) და გარდა ამისა ეს დოკუმენტები იბეჭდება, მიუხედავად ოპოზიციის „გმირობისა“ მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, მიუხედავად ანტისაბჭოთა ქუჩური გამოსვლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოპოზიციონური დოკუმენტები შედგენილია პროკლამაციის ფორმით პარტიის ყველა მტრებისადმი და რომ ამ დოკუმენტებს დაუყოვნებლივ ათავსებენ თავის ფურცლებზე თეთრგვარდიელთა გაზეთები. მეორე მხრივ, აშკარაა, თუ ყრილობის წინა დისკუსია რატომ გამოიყურება „ცალმხრივი“ ოპოზიციისათვის. იმიტომ, რომ სადისკუსიო „მიღწევა“ მეტად საბედისწერო აღმოჩნდა ოპოზიციისათვის; იმიტომ, რომ პარტიის 864.000 წევრიდან ოპოზიციას ხმა მისცა მხოლოდ 2.428, ხოლო პარტიას 260.784 კაცმა (შედეგი 10 ნოემბრისათვის); იმიტომ რომ განსაკუთრებული დამარცხება ოპოზიციამ იგემა პროლეტარულ უჯრედებში; ამიტომ, რომ ისეთ გიგანტების, როგორიცაა „კრასნი პუტილოვეცი“ და „კრასნი ტრეუგოლნიკი“ პარტიულმა უჯრედებმა კისერი მოუგრიხეს ოპოზიციონურ შტრეიკბრეხერებს! ([illegible] ოპოზიციამ განაცხადა, რომ პუტილოველები არიან—„[illegible]“, „კარიერისტები“, „მშიშრები“, რომლებსაც მართლაც [illegible] ოქტომბრის ასეთ „გულად მებრძოლებთან“, როგორიცაა ზინოვიევი და სხვა.)

თუმცა ტროცკისტებმა კარგად იციან საქმის ნამდვილი მდგომარეობა, მაგრამ, სრულიად გასაგები მოსაზრებებით, ისინი ერიდებიან მუშათა უჯრედებში ცნობების მოყვანას თავის „[illegible]“ შესახებ. და აი სწორედ იმის გამო, რომ ოპოზიცია მუშათა უჯრედებში საბოლოოდ არის დამარცხებული, ის ეხლა თავის „კონტრ-თეზისებში“ (როგორც სასოფლო პოლიტიკის, ისე ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის საკითხზე) დიპლომატიურად [illegible] ბოლოებს. მართლაც უზარმაზარ ოპოზიციონურ კონტრ-თეზისებში თავიდან ბოლომდე კრიტიკა არაა დარჩენილი მთავარ, ყველაზე მძაფრი და ყველაზე უსირცხვილო—მენშევიკურ ბრალდებების გარშემო, რომლებიც ოპოზიციამ წაუყენა პარტიას.

სად დაიკარგა ოპოზიციის „ძველი“ ბრალდება—თერმიდორისა და იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში გამეფებულია კონტრ-რევოლიუციონური, თერმიდორიანული ხელისუფლება? სად დაიკარგა „ხელმძღვანელობის ბონაპარტისტული [illegible]“? (ტროცკის განცხადება კომინტერნის აღმასრულებელ პრეზიდიუმში). სად არის ბრალდება საქ. კომ. პარ. (ბ) წევრთა დახვრეტების შესახებ? რა დაემართა „რაციონალიზაციას“, როგორც მუშების „გაძარცვის“ იარაღს? (ოპოზიციონური პლატფორმა), სად მიიმალა ცილისმწამებელი თეზისი იმის შესახებ, რომ „საკავშირო კომპარტია—დახრჩობილია“, ან და როგორც ამას ქუჩური ენით გამოთქვამენ ოპოზიციონური ადიუტანტები: „საკავშირო კომპარტია არის ციხე“—ო? ხომ არც ერთი ამ [illegible] ბრალდებათაგანი დღემდე არსად არასდროს და არავის მიერ ოპოზიციიდან არ მოხსნილა! და თუ ეს ბრალდებები სიტყვასიტყვით არაა მოყვანილი „თეზისებში“, ამ ორაზროვანი სტრატეგიის მიზანი გასაგებია, როგორც ორჯერ ორი—ოთხი.

უკვე აღშფოთებული პარტიისა და მე-15 პარტყრილობის სამსჯავროზე გამოტანილ ოფიციალურ კონტრ-თეზისებში მოცემულია [illegible], რომ ბოლომდე არ იქნას გადმოშლილი ოპოზიციონურ-მენშევიკური სიბინძურე, არამედ მთელი მძიმე არტილერია ყველაზე მყრალი ბრალდებებით (თერმიდორი, ბონაპარტი, ფაშისტები, პრივილეგიები) გამოტანილ იქნას ქუჩაში, პარტიის გარეთ. მუშა-ბოლშევიკების წინაშე რამდენადაც შესაძლებელია გვერდის ავლა მწვავე სადავო საკითხებისათვის, უდანაშაულოდ დაზარალებულად („ჩვენ გვდევნიან“) თავის მოკატუნება, ხოლო უპარტიო ქუჩიდან მეშჩანური ყუმბარების დაშენა საკავშირო კომპარტიისათვის—აი, ოპოზიციის ლიდერების მარტივი „გეგმა“.

მუშათა ცხოვრება

ვის მივმართოთ

(წერილი სვანეთიდან)

ენგურის გზატკეცილების ოსტატმა მოქ. დ. ცხადაიამ დაიქირავა მუშები თხრილებისა და სხვადასხვა სამუშაოებისათვის, მუშებს ერთი მეტრი არხის გათხრაში დაჰპირდა, 45 კაპ., ხოლო ნამდვილად მისცა 35 კაპ. ვისაც 35 კაპ. დაჰპირდა 25 კაპ. აკმარა. თითო მუშა ხშირად 10 საათსაც მუშაობდა, მაგრამ ზედმეტ საათებს ჯილდოს არავინ უწერდა.

აქედან ეს მუშები, გადაიყვანეს ხონი-ქვალონის გზაზე ასეთივე სახის სამუშაოთ. გზის დარაჯმა მოქ. მურღულიამ მუშებს უთხრა: რომ 25 კაპ. მოგცემთ საჟენზეო. მაგრამ მოქ. მურღულიამ ნორმაზე მეტი მიწა მოათხრევინა და ფული კი ნაკლები მისცა.

ასეთ ექსპლოატაციისაგან თავის დასახსნელად მუშებმა მიმართეს ინჟ. ჟურიდის, რომელიც შეჰპირდა მუშებს, რომ 3 დღეში გამოარკვევს საკითხს და დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას, მაგრამ მოქ. ჟურიდის ჯერაც არ გაუცია პასუხი მუშებისათვის.

მუშებმა არ იციან ვის მიმართონ იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონებს პასუხი მოსთხოვონ მუშების ექსპლოატაციისათვის და კუთვნილი ფული დროზე მიიღონ.

საჭიროა შრომის სახ. კომისარიატმა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

ხელს აწერს ათი მუშა.

საზეიმო საღამო

(წერილი ქუთაისიდან)

შაბათს 5 ნოემბერს, ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის კლუბში მოხდა ამავე კავშირის ადგილკომებთან არსებულ კედლის გაზეთების შეჯიბრება. შეჯიბრზე წარმოდგენილი იყო 10 კედლის გაზეთი. დანიშნული იყო სამი ჯილდო 1) 50 მან., 2) 25 მან., ხოლო 3) 15 მან., ბიურომ, რომელშიც შედიოდეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოიწონა სამი კედლის გაზეთი. აქედან პირველი ჯილდო მიიღო მუშკოოპის კედლის გაზეთ „კოოპერაციის ხმა“-მ, მეორე შრომის ინსპექციის „კავშირების სხივი“-მ, ხოლო მესამე დასავლეთ საქართველოს კედლის გაზეთმა „მშვერვალი“-მ.

ამავე დღეს, საღამოთი ჩატარდა საზეიმო საღამო ფართო პროგრამით. სანამ გასართობები დაიწყებოდა, კედლის გაზეთებისა და მათი ძალღონეების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. დარჯოსაძემ. რომელმაც გააცნო დამსწრეთ კედლის გაზეთების მნიშვნელობა და მისი მიღწევები დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე.

მოხსენების შემდეგ კავშირის წინადადებით ქუთაისის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის კლუბს დაერქვა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის კლუბი. საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა მრავალთვერიანი საღამო. დაიმღერი იქნა წარმოდგენილი და მოწყობილი იქნა სხვადასხვა გასართობები. საზეიმო საღამოს დაესწრო ამდენი ხალხი. რომელიც დიდი კმაყოფილები დარჩენ საღამოს მოწყობით.

ივანე ბოხაძე.

როდის მოეღება ბოლო

(ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს საყურად ღებოდ).

25 ოქტომბერს, თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მე-5 განყოფილებიდან სოფ. წესში გაიგზავნა ფული დეპეშით. გაიარა 21 დღემ და მხოლოდ შემდეგ ჩაიბარეს ფული დანიშნულებისამებრ. ასეთი მოვლენა. რომ პირველად მომხდარიყოს კიდევ არაფერი, მაგრამ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ამ უცნაურმა სენმა პირდაპირ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

21 დღე თბილისიდან რაჭამდე ტელეგრაფის დაგვიანება ეს პირდაპირ სიგვიანის სარეკორდო ციფრია. საჭიროა გამოძიებულ იქნას ეს საქმე და ბოროტმოქმედნი დასჯილნი. რატომ ხდება ეს? იქნებ ხალხის გაგზავნილი ფულით სარგებლობს ვინმე და ეწევა სხვადასხვა კომბინაციას?

საჭიროა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და დამნაშავეები მისცეს პასუხისგებაში.

დ. ლომ.

მესამე საბავშვო კერა

პირველ წელიწადს, როდესაც გაიხსნა ლენინის უბანში სამა ობოლაძის სახელობის მესამე საბავშვო კერა, ლენინის უბანში მცხოვრებ მუშებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ 4—5 წლის ბავშვებს შეუძლიათ სკოლაში რამის შესწავლა და რომ ისინი ძალიან ნაკლებად აძლევდენ ბავშვებს კერაში. მაგრამ აღნიშნულმა საბავშვო კერამ შესძლო დაემტკიცებინა მუშებისათვის, რომ უსუსურ ბავშვებსაც შეუძლია სასკოლო ცოდნის შეძენა და დისციპლინის შეჩვევა. დღეს მუშებს პატარებელი ბავშვები მიჰყავთ კერაში. მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ საბავშვო კერა ვერც კი აკმაყოფილებს ბავშვთა იმ ცხვს. გარდა ამისა კერა ვერაა მოთავსებული შესაფერ შენობაში. ბინის სივიწროვის გამო ბავშვები ვერ თამაშობენ თავისუფლად.

თითქმის ლენინის უბანში არსებობს ოთხი კერა, მაგრამ მათში უმეტესად ობოლაძის სახელობის კერას ეტანებიან, რადგან იგი მოთავსებულია ნაძალადევის ცენტრში.

განათლების კომისარიატმა უნდა მიიღოს მხედველობაში ეს გარემოება და იშუამდგომლოს ალმასკომის წინაშე, რათა ნაძალადევში აშენებულ იქნას სამა ობოლაძის სახელობის ბავშვთა კერისათვის შენობა, სადაც მოთავსდება ასი ბავშვი. მაშინ შესაძლებელი იქნება ბავშვების დილიდან საღამომდე დატოვება კერაში. ეს კი დიდ შეღავათს მისცემს დედებს, რომელთაც სურთ ასწიონ თავიანთი კულტურული დონე, მაგრამ ბავშვების გამო არა აქვთ ამის საშუალება.

ალმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს. რკინისგზის მუშებიც თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ ალმასკომის საბავშვო კერის აშენებაში.

შ. გვრიტიშვილი.

ეს დაუშვებელია

ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში ეზო - ეზო დადიოდენ მილიციელები და მეეზოვეები და უცხადებდენ ხალხს: „ყველამ შეიძინეთ ახალი დროშები, თორემ 25 მან. ჯარიმა გადაგხდებათო“. დაიძრა დიდი და პატარა იმ ადგილისაკენ, სადაც იყიდებოდა დროშები. არარავინ იშურებდა ოთხ მანეთს დროშაში, ოღონდ როგორმე შეეძინა-კი. გაჩნდა დიდი „ოჩერედები“, მაგრამ ამაოდ. დროშები არ იყო მოსახლეობას. ამიტომ ართმევდენ მათ ოთხ მანეთს და დროშის მაგიერ აძლევდენ ქვითარს. თუ ვინიცობაა მოვიდოდა ვინმე დასაჯარიმებლად დროშის უქონლობის გამო, უნდა ეჩვენებიათ ეს ქვითარი. ხალხი არ იშურებს ოთხ მანეთს იმისათვის რომ ახალი დროშით შეხვდეს დიდებულ დღესასწაულს, მაგრამ დროშები არ იშოვება ფულს კი ახდევინებენ. დაუჯერებელი ამბავია. ზღაპარი გეგონია ლეგენდარულ პირობებში ასეთი ამბავი, მაგრამ ფაქტი ხელში გრჩება.

ამ სტრიქონების დამწერი. საბჭოს წევრიც, ვემსხვერპლე ამ ამბავმა. გავიქეცი ალმასკომში და შევეკითხე თუ რაში იყო საქმე.

გამოირკვა, რომ არავითარი კანკარგულება ჯარიმის შესახებ ალმასკომს არ გამოუცემია; ერთ - ერთ ბავშვებისათვის მზრუნველ საზოგადოებას უთხოვნია ალმასკომისათვის მონოპოლია ახალი დროშების დამზადება - გაყიდვისათვის. ასეთი, ნებართვა ამ საზოგადოებას მიუღია და დანარჩენი უკვე ადვილი წარმოსადგენია.

საქმე და მოსაწონია ზრუნვა უპატრონო ბავშვებისათვის, მაგრამ ამ მიზნით რომელიმე ორგანიზაციის სახელით ხალხის მოტყუილება ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ არის დასაშვები. ეს უფლების გადაჭარბებაა და ალმასკომის სახელის გატეხა.

ხსენებულ საზოგადოებაში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებმა მეტი სიფხიზლე და მეტი დაკვირვება უნდა გამოიჩინონ საქმისადმი.

საბჭოს წევრი.

დღეს და ყოველდღე კინო-თეატრ „დარბაზში“

იბრაჰიმ და გოდერძი

რეჟისორ შ. ბერიშვილის დადგმა. ნ. 267

უცხოელ მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია

გუშინ უცხოელ მწერალთა და მეცნიერთა დელეგაცია სრული შემადგენლობით ესტუმრა საქართველოს მუზეუმს და ეროვნულ გალერეას, საიდანაც შემდეგ გაემგზავრა სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტში დელეგაციას საუბარი ჰქონდა უნივერსიტეტის რექტორთან ამხ. თ. ღლონტთან. ამხ. ღლონტმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ მეცნიერულ მუშაობას საქართველოში მტკიცე საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ყოველმხრივ ზრუნავს უნივერსიტეტზე.

დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ფრანგულ ენაზე ბუენოს-აირესის (არგენტინა) უნივერსიტეტის პროფესორი ორსაბალკინტანო (ბუენოს-აირესის დიდ პოლიტიკურ გაზეთ „კრიტიკა“-ს კორესპონდენტი), რომელმაც აღნიშნა:

— ჩვენ ყოველთვის მეგობრულად ვიყავით განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი, ჩვენ ვიცოდით სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ გვინდოდა პირადათ გავცნობოდით საბჭოთა კავშირს. თქვენს დიდ კავშირში მოგზაურობის დროს ჩვენ დავინახეთ, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნებანი მჭიდრო თანამშრომლობას ეწევიან სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენ განსაკუთრებით გვინდოდა გვენახა საქართველო, რადგან კაპიტალისტურ ქვეყნებში რამოდენიმე წელია ათასგვარი სიყალბე და ცილისწამება ვრცელდება საქართველოს შესახებ. სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენ ხმამაღლა განვაცხადებთ, რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა აღფრთოვანებულია თავისი მთავრობის მუშაობით.

ურთიერთ მისალმების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სამეცნიერო დარბაზები და ბიბლიოთეკა. აქ საპატიო სტუმრების წიგნში ზოგიერთმა დელეგატებმა ჩასწერეს თავისი შენიშვნები.

ცნობილმა რუმინელმა მწერალმა პანაიტ ისტრატიმ ჩასწერა: **საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის ახალ სკოლებს და უნივერსიტეტებს—დედაა ყველა იმ ეროვნებების, რომლებიც იბრძვიან კაცობრიობის უკეთეს მერმისისათვის.**

იაპონელმა პოეტმა აკიტამ ჩასწერა: **საქართველოს უნივერსიტეტი—აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურების ყვავილნარია.**

გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია

გუშინ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია 6 კაცის შემადგენლობით. მათ შორის 3 კომკავშირელია, 1 სოციალ-დემოკრატი, 1 ქრისტიანი-სოციალისტი და 1 უპარტიო. ყველა ისინი მუშებია.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ოქტომბრის დღესასწაულებზე დასასწრებლად. ამ დელეგაციის ინიციატივით მოსკოვში მოწვეული იქნა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მეგობართა კონგრესი.

დელეგაციის თავმჯდომარეა კომკავშირელი —მექანიკოსი ბიულცი, რომელიც მუშაობს მუსიკალურ ინსტრუმენტების ფაბრიკაში. დელეგაციას თან ახლავს საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას წარმომადგენელი ამხ. სლეპცოვი.

დელეგაციამ გუშინ დილით დაათვალიერა ზაჰესი, საღამოს დაესწრო კომკავშირის უჯრედთა ჯგუფურ კრებას.

გარი პოლიტის ავადმყოფობა

ინგლის - ამერიკის მუშათა დელეგაციასთან ერთად, რომელიც რამოდენიმე დღის წინად ესტუმრა საქართველოს, თბილისში ჩამოვიდა ინგლისის მეტალურგთა პროფ-მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი ამხ. **გარი პოლიტი.**

ოთხშაბათს, 23 ნოემბერს, გ. პოლიტმა ცუდად იგრძნო თავი. იგი იმავე დღეს მოთავსებული იქნა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკაში გამოირკვა, რომ გ. პოლიტს ჰქონდა აპენდიციტის მოვლენები, რომელიც დაწყებულა რამოდენიმე დღის წინად.

ავადმყოფს ტკივილები შეუჩერდა და ამჟამად იგი კარგად გრძნობს თავს. სამ ოთხი დღის შემდეგ გ. პოლიტი გამოეწერება საავადმყოფოდან.

ავადმყოფს წამლობს პროფ. **ალადაშვილი** და ასისტენტი **ჟღენტი.**

გარი პოლიტის გარდა, ინგლის - ამერიკის მუშათა დელეგაციის შემადგენლობიდან ავად გახდა ინგლისელი დელეგატი - ქალი **დეზი ჯონსონი,** რომელიც მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

კრედიტები სამრეწველო აღმშენებლობისათვის

ამ-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, საბჭოთა კავშირის სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კანტორასთან დაარსდა გრძელვადიანი კრედიტის განყოფილება, რომლის დანიშნულებაა კრედიტების მიწოდება სამრეწველო აღმშენებლობისათვის ამიერ-კავკასიაში. ეს განყოფილება იმუშავებს ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი კვარტალისათვის გრძელვადიანი კრედიტები დამტკიცებულია შემდეგი რაოდენობით: ლითონის ტრესტს საბრუნავი საშუალებების გასაძლიერებლად მიეცემა 50.000 მანეთი; სამთო ტრესტს იფქუზოროტის საღებავი წისქვილის დასადგმელად, ლითოგრაფიულ ქვის დამმუშავებელ სახელოსნოს მოსაწყობად, ქვა-ნახშირის ამოღების მექანიზაციის გასატარებლად და სხვა სამუშაოებისათვის მიეცემა 77.000 მანეთი.

საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან არსებულ ლითარჩელის კომისიას გეოლოგიური სამუშაოებისა და გამოკვლევებისათვის და გზების გაყვანად 25.000 მანეთი.

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს ბორჯომის, მარელისის და შამქორის ქარხნების მოსაწყობად და საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად მიეცემა 450.000 მანეთი.

ახალ სენაკში კომიტეტს სატყეო-ქიმიურ ქარხნის ასაგებად ბორჯომში, ქუთაისის ძაფ-სახვევი ფაბრიკის აშენების გასაგრძელებლად, თბილისის მაუდის ფაბრიკის დასამთავრებლად, ცემენტის ქარხნის ასაგებად კავთისხევში და აგურ კრამიტის ქარხნის ასაშენებლად მიეცემა 385.000 მანეთი.

აფხაზეთის სატყეო ტრესტს გზიბის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ასაგებად—100.000 მანეთი; სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის სახერხი ქარხნის ასაგებად (ცხინვალში)—20.000 მანეთი და აჭარისტანის სატყეო მრეწველობის ტრესტს ბათომის სატკეჩე ქარხნის მოსაწყობად 50.000 მანეთი.

სულ საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად გრძელვადიანი კრედიტები განაწილებული იქნება 1.122.000 მანეთის რაოდენობით.

საქ. ცაკში

პენსიები

სრ. საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ნოემბერში პერსონალური პენსიების სახით დამსახურებულ რევოლიუციონერებს და საზოგადო მოღვაწეებს, თავის მთავარ სამმართველოდან დაურიგა 11.463 მანეთი და ქალაქ თბილისში და მის შახრაში მცხოვრებ ინვალიდებისათვის პენსიების დასარიგებლად თბილისის საპენსიო ნაწილს გადასცა—3.300 მანეთი.

ობლიგაციების ზაყრცელება

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების და მაზე დაქვემდებარებული სხვადასხვა სახის დაწესებულებების მოსამსახურეებმა შეიძინეს ინდუსტრიალიზაციის სესხის 5.750 მანეთის ობლიგაციები. დამატებით იმისა, რაც წინათ ჰქონდა შეძენილ ინვალიდთა ნადის „გოარჯა“-ს წევრებმა კიდევ შეიძინეს 750 მანეთის ობლიგაციები. საქ. ცენტრალური გლეხის სახლის მუშა-მოსამსახურეებმა შეიძინეს—370 მანეთის ობლიგაციები.

ნაოსნობა მდ. რიონზე

სააქციო საზ-ბა „რიონ - ნაოსნობა“-ს გაუქმება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა საკითხი მდ. რიონზე ნაოსნობის მოწყობის შესახებ.

კომისართა საბჭოს დადგენილებით სააქციო საზოგადოება „რიონ - ნაოსნობა“ უქმდება და ნაოსნობის მოწყობა მდ. რიონზე გადადის დონ-ყუბანის სახელმწიფო სანაოსნო სამმართველოს ხელში.

სახ. კომისართა საბჭოს სხდომას, რომელიც იხილავდა საკითხს მდ. რიონზე ნაოსნობის მოწყობის შესახებ დაესწრო დონ - ყუბანის სანაოსნო სამმართველოს მიერ ამ საკითხის საქართველოს მთავრობასთან შესათანხმებლად სპეციალურად გამოგზავნილი წარმომადგენელი ამხ. სოლოვიოვი, რომელმაც სხდომაზე განაცხადა, რომ მცირე მოცულობის გემები ამჟამად იტვირთებიან და რკინის გზით იქნება გამოგზავნილი ფოთში. ფოთში გემებს გადმოტვირთავენ დეკემბრის პირველ ნახევარში.

ბრძოლა ხუნაგისა და ქუნთრუშის ეპიდემიასთან

აცრის დაწყება

ეპიდემიასთან მებრძოლმა სამეულმა გადაწყვიტა ორშაბათიდან შეუდგეს მოსწავლე ახალგაზრდობის მასიურ აცრას. აცრის ჩასატარებლად სკოლებში შემუშავებულია განსაკუთრებული ცხრილი მთელი კვირისათვის.

ორშაბათს აცრა ჩატარდება — მეშვიდე შრომის სკოლაში, სამშაბათს და ოთხშაბათს მე-9 შრ. სკოლაში, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს მე-2 შრ. სკოლაში და მე-25 საბავშვო ბაღში.

ქუნთრუშის ეპიდემია იზრდება

სამეულის მიერ ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდან მიღებულ ცნობებით ირკვევა, რომ ქუნთრუშის ეპიდემია დღითი დღე იზრდება და წინ უსწრებს ხუნაგის ეპიდემიას. მარტო 23 ნოემბრის განმავლობაში ქალაქში ადგილი ჰქონდა ქუნთრუშით დაავადმყოფების 9 შემთხვევას, მაშინ როცა ხუნაგით ავად გახდა მხოლოდ ერთი.

სკოლების დახურვა

სახკოლო - სასანიტარო განყოფილების განკარგულებით დაიხურა მე-41 შრ. სკოლა, სადაც თავი იჩინა ქუნთრუშასა და დიფტერიტის ეპიდემიამ.

სახკოლო - სასანიტარო განყოფილების დადგენილებით დაიხურა აგრეთვე მე-90 შრ. სკოლა, სადაც მდგომარეობა მიჩნეულია საშიში ეპიდემიის გავრცელების მხრივ.

მორიგეობა ლაბორატორიაში

თბ. ალმასკომის ჯანმრთ. განყოფილების კლინიკო - დიაგნოსტიური ლაბორატორია აწარმოებს მორიგეობას ეპიდემიასთან ბრძოლის მიზნით ანალიზების მისაღებად. ანალიზები მიიღება დილის 9 საათიდან საღ. 6 საათამდე.

ეპიდემია ვრცელდება პროვინციაში

ჯანმრთელობის კომისარიატში მიიღებულია ცნობები, რომ უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში შესამჩნევი გახდა ქუნთრუშასა და დიფტერიტის (ხუნაგის) ავადმყოფობის გავრცელება.

განსაკუთრებით სერიოზულია ამ მხრივ მდგომარეობა სიღნაღის მაზრაში. სადაც უკანასკნელი ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა აღნიშნულ სენებით დაავადების 7 შემთხვევა.

ქუნთრუშით და ხუნაგით დაავადმყოფებების შესახებ ცნობები მიიღებულია აგრეთვე ბორჩალოს, ქუთაისის, ლეჩხუმის და სენაკის მაზრებიდან.

ჯანსახკომმა, ამის გამო ყველა სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებებს დაუგზავნა ინსტრუქციები და დირექტივები, თუ როგორ უნდა აწარმოონ მათ ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა.

ქრონიკა

საქართველოს მუზეუმის შენობა

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს საისტორიო-ეთნოგრაფიო მუზეუმის ახალი შენობის ასაგებათ. მუზეუმის შენობის პროექტი დამუშავებულია ქართულ სტილზე პროფ.-მოძღვარ სევეროვის მიერ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს ახალი შენობის აგება-მოწყობას.

ამჟამად მუზეუმის ეზოში აგებენ დიდ ვესტიბიულს, დაწყებულია შენობის ფასადის გაკეთება და შეუდგენ დარბაზების მოწყობას. შენობის ზოგადი პროექტი უკვე დამტკიცებულია, ხოლო ტექნიკური პროექტი შესრულებული იქნება ნაწილობრივ სხვადასხვა სამუშაოთა დასრულებისთანავე.

შენობის ასაგებ სამუშაოებზე, ამჟამად ყოველდღიურად მუშაობს 10 კაცი. შენობის მოწყობა დასრულდება [illegible] წლის შემოდგომაზე, დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე მოხდება ახალი მუზეუმის საზეიმო გახსნა.

ამიერ - კავკასიის კულტთათბირი

5 დეკემბერს თბილისში შესდგება ამიერ-კავკასიის კულტთათბირი. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკანური პროფსაბჭოები და აგრეთვე სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს კავშირების წარმომადგენელნი.

ამიერ - კავკასიის კულტთათბირის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი საწარმოო პროპაგანდის შესახებ.

სტუდენტთა ბიუროების თათბირი

ამიერ - კავკასიის პროფსაბჭომ დაადგინა 1928 წელში, იანვრის პირველ ნახევარში მოიწვიოს ამიერ - კავკასიის სტუდენტთა რესპუბლიკანური ბიუროების თათბირი.

საკავშირო ყრილობა ტუბერკულოზის შესახებ

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მოვიდა ცნობა, რომ მომავალი წლის მაისში, თანახმად მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მომხდარი შეთანხმებისა, თბილისში გაიხსნება სრულიად საკავშირო ყრილობა ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხების შესახებ.

ყრილობის მოსაწყობათ ჯანსახკომთან გამოყოფილია სპეციალური საორგანიზაციო ბიურო.

საექიმო დაზმარეგათა გაერთიანება

ამიერ-კავკასიის ექიმთა საზოგადოებასა და საქართველოს ექიმთა საზოგადოებას შორის მოხდა შეთანხმებით, გადაწყვეტილია აღნიშნული საზოგადოებების წესდება ახლო ხანში წარდგენილი იქნება დასამტკიცებლათ ა.-კ. მთავრობაში.

სამუშაოები წყალთა მეურნეობაში

წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ბახტაძე გაემგზავრა მოსკოვში 1927-28 წლის განმავლობაში ჩასატარებელ სამუშაოთა პროექტებისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ.

ამხ. ბახტაძესთან გაემგზავრა აგრეთვე ინჟ. ვ. მამრაძე.

საშემოსავლო გადასახადი

ამიერ - კავკასიის პროფსაბჭომ დაადგინა უცვლელად იქნას ცნობილი ხელფასის მინიმუმის დაწესება საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის: პირველი ზონისათვის —115 მან., მეორე ზონისათვის — 105 მან., მესამე ზონისათვის — 95 მან., მეოთხე ზონისათვის—90 მან.

გლეხთა სახლები

თბილისის ალმასკომმა საგეგმო კომისიას დაავალა თბილისის მაზრისათვის შეიმუშაოს გლეხის სახლკარის ტიპიური პროექტი ქართულ სტილზე. სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცვით. თბილისის ალმასკომს განზრახული აქვს თბილისის მაზრაში ჯერ-ჯერობით ამგვარი ახალი ტიპის სახლებით სანიმუშოთ გააშენოს ერთი სოფელი. სანიმუშო სოფელში ხალი ტიპის სახლების გარდა მოწყობილი იქნება საავადმყოფო, სამკითხველო-ბიბლიოთეკა, წყალსადენი, განათება, გეგმაზე გაყვანილი ქუჩები და სოფლის შუა გულში მოეწყობა ბაღი და ხეივნები.

ჩაის ახალი ფაბრიკები

საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ გადაწყვეტილი აქვს ახალი ჩაის ფაბრიკების აგება ჩაის მეურნეობის 4 რაიონში (აჭარისტანსა, გურიასა, სამეგრელოსა და აფხაზეთში), რომელიც დანაწილებულია 24 ქვერაიონად.

ყოველ ქვერაიონის ცენტრში, გამომუშავებული გეგმით უნდა აშენდეს ერთი ახალი ფაბრიკა, რომლის სამოქმედო რაიონი 7 9 ვერსიანი რადიუსით იქნება შემოფარგლული.

ფაბრიკის აგება ამა თუ იმ რაიონში დაიწყება მაშინ, როცა ჩაის მოსავლის რაოდენობა რაიონში 100 ათასს გირვანქაზე ნაკლები არ იქნება. მანამდე საზ. „საქართველოს ჩაი“ აწყობს მოძრავი ტიპის ფაბრიკებს, რომლებიც მწვანე ჩაის ფოთოლს ნახევარ - ფაბრიკატად გადაამუშავებს.

კალოშების მიღება

ცეკავშირმა საკავშირო რეზინო-ტრესტიდან უკვე მიიღო 60.000 წყვილი სხვადასხვა ზომის კალოში. დადებულ ხელშეკრულების თანახმად ცეკავშირმა სულ უნდა მიიღოს 120.000 წყვილი მაგრამ რეზინოტრესტმა შესცვალა ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ კალოშები გაასაღოს თავის ადგილობრივ სავაჭროების საშუალებით. შინავაჭრობის კომისარიატმა წინადადება მისცა რეზინო-ტრესტს მომავალში ხელი აიღოს საცალო ვაჭრობაზე და მთელი ნაწარმოები გადასცეს სამომხმარებლო კოოპერაციას. ცეკავშირის მიღებული კალოშები უკვე გაანაწილა ძირითადად კოოპერატივებს შორის.

თბილისის ალმასკომში

◆ **ხარჯების შემცირება.** თბ. ალმასკომმა ხარჯების შემცირების მიზნით გადაწყვიტა მოახდინოს სასაკლაოს რეორგანიზაცია, რის შემდეგ ხარჯები შემცირებული იქნება 14.000 მანეთით წლიურად.

◆ **ბავშვთა ახალშენი.** განათლების განყოფილებას დაევალა გააფართოოს ზემო-ავჭალის ბავშვთა ახალშენი.

◆ **შლეიფის ახალი დიზპანსერისათვის,** რომელიც შენდება მელიქიშვილის ქუჩაზე, თბ. ალმასკომმა, საზღვარგარეთ შეიძინა საჭირო მოწყობილობა.

◆ **თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტი** თბ. ალმასკომმა გადაწყვიტა თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტთან გახსნას კიდევ ახალი სახელოსნო სასწავლო ნივთების დასამზადებლად.

◆ **ნაძალადევისა და სადგურის ქუჩის შორის** ტრამვაის ხაზების გასაყვანად დაარსდა სპეციალისტთა კომისია.

◆ **ხეების მოჭრა.** თბ. ალმასკომის დადგენილებით ყველა შენობის პატრონს ეკრძალება ეზოებსა და ბაღებში მოსჭრას ხე სატყეო სექციის ნებართვის გარეშე.

◆ **საქროხე.** საადგილ-მამულო განყოფილებამ გადაწყვიტა ორთაჭალაში მოაწყოს შეწველ ძროხების საჩვენებელი სადგური.

◆ **პატარა საავადმყოფოები.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადაწყვიტა დიდ თემებში არსებული საექიმო პუნქტები გადააკეთოს პატარა საავადმყოფოებად.

ჯანსახკომში

◆ **ახალი საავადმყოფო.** ჯანსახკომის დახმარებით სოფ. კურნში (სამხრეთ-ოსეთი) შენდება ახალი საავადმყოფო.

◆ **თევზის ქონი.** ჯანსახკომი ამ დღეებში იღებს თევზის ქონს.

◆ **გადამდები სენები.** ჯანსახკომმა საავადმყოფოებს წინადადება მისცა გადამდებ სენებით დაავადებულნი მიიღონ პირველ რიგში.

სხვადასხვა

◆ **ამნისტიის ძალით** დღეებში თბილისის საპატიმროებიდან განთავისუფლებულია 500 კაცი.

◆ **სტადიონი.** რკინისგზელთა პროფკავშირი ლენინის უბანში აწყობს სტადიონს და სასპორტო დარბაზს.

◆ **ძველი საფლავები.** ჯავა-როკითის ხეობაში გზის გაყვანის დროს აღმოჩენილი იქნა ბრინჯაოს ხანის საფლავები.

საჯარო დისპუტი

კვირას, 27 ნოემბერს, 1927 წელს დღის 12 საათზე, უნივერსიტეტის დარბაზში დანიშნულია სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც ლექტორი ი. ა. სურგულაძე სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს სადისერტაციო შრომას სათაურით: „ხელისუფლება და სამართალი“. ფაკულტეტის მიერ ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. შ. ხუცუაიშვილი და ვ. ნანეიშვილი.

კრებები და მოხსენებები

◆ **ბიბლიოთეკართა კრება.** დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს 7 ნახ. საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (ჯორჯაძის ქ., № 4), შესდგება ბიბლიოთეკართა მორიგი კრება, რომელზედაც გ. ბაქრაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ბიბლიოთეკების კოოპერაცია“.

◆ **საკლუბო სამხატვრო მუშაობა.** საქ. პროლეტარულ სახვითი ხელოვნების ასოციაციაში (სამხატვრო აკადემიის დარბაზში, გრიბ. ქ. № 22), კვირას, 27 ნოემბერს, დილის 12 საათზე, შესდგება მორიგი კვირეული, რომელზედაც სამ. პროფსაბჭოს კულტ. განყ. თავმჯ. ამხ. ხითარიშვილი მოხსენებას წაიკითხავს „საკლუბო-სამხატვრო მუშაობის პერსპექტივების შესახებ“.

◆ **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების კრება.** კვირას, 27 ნოემბერს, დღის 12 საათზე, თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმის შენობაში (კამოს ქ., № 70). შესდგება საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს პროფ. ა. თვალჭრელიძე „საქართველოს ფლორიდინის თიხები და მრეწველობაში მათი მოხმარების პერსპექტივები“.

შემთხვევები

თავის მოკვლის ზანზრახვა

გუშინ, შუადღის 12 საათზე, სისხლის სამართლის მილიციას აცნობეს, რომ თვითმკვლელობის მიზნით სუფრის დანით თავი დაიჭრა 22 წლის ანგელინა კოპტიევმა (განოვის ქ. № 9),

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები, რომლებიც წააწყდენ შემდეგ სურათს:

კოპტიევის ქალი მოთავსებული იყო სარეცელზე, იატაკზე ეგდო დასისხლიანებული სუფრის დანა. დაჭრილი ქალი სისხლში სცურავდა და შველას ითხოვდა. ქალს ჭრილობები აღმოაჩნდა გულ-მკერდის არეში.

ქალის სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის.

ს. ს. მილიციის აგენტმა გუშინვე დაჰკითხა კოპტიევის ქალი. მისი ჩვენებიდან გამოირკვა შემდეგი:

ამ სამი წლის წინად კოპტიევის ქალმა გაიცნო ახალგაზრდა კაცი სერგო (გვარი გამოურკვეველია). ეს უკანასკნელი დაუახლოვდა ქალს და აღუთქვა მას ცოლათ შერთვა. პირველ ხანებში ქალს სერგო არ უყვარდა და წინადადება მისცა მას ჩამოშორებოდა. კაცი კი სწერდა ქალს სატრფიალო წერილებს და არწმუნებდა, რომ მას იგი (კოპტიევა) უზომოთ უყვარს.

შემდეგში კი მოხდარა მათი დახლოვება.

გუშინწინ კოპტიევას ოჯახში მისულა ნინო რიამ ს—ეს ქალი და განუცხადებია კოპტიევათვის, რომ სერგო მისი საქმროა და ჩამოშორდეს მას. სტუმარი კიდევაც დამუქრებია კოპტიევას. ეს უკანასკნელი დარწმუნდა რა იმაში, რომ საქმრო მას ღალატობს—გადაწყვიტა თავის მოკვლა.

მიღებულია ზომები მამაკაცის ვინაობის გამოსარკვევათ.

აცილებული უბედურება

გუშინ, საღამოს, საბჭოს ქუჩაზე შემთხვევით ცეცხლი გაუჩნდა ტრამვაის დენის გამტარებელ ბოძს.

ცეცხლმა მოულოდნელად საშიში ხასიათი მიიღო. მოსალოდნელი იყო მავთულების გაწყვეტა, რაც საფრთხეს უმზადებდა გამვლელთ.

საგუშაგოზე მდგომმა მეეზოვემ დროზე მიაქცია ყურადღება ამ საფრთხეს და მოწვეულ მეეზოვეების საშუალებით ხალხი არ გაატარა საშიშარ ადგილისაკენ.

ტრამვაის სამმართველოდან დაჩქარებით მოვიდენ მექანიკოსები და დამწვარი ბოძი შეაკეთეს.

თავის მოწამვლა

გუშინწინ საღამოს, იოდით თავი მოიწამლა ეკოლოზ [illegible].

იმავე სიკვდილს გადაარჩინეს. მიზეზი ოჯახური [illegible].

ხაშმის კოოპერატივის გაქარვა

ცეკავშირში მიღებულ ცნობით, ღამით 19—20 ნოემბერს გაძარცვეს ხაშმის (სართიჭალის რაიონში) მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოების დუქანი.

დუქნიდან წაიღეს 600 მანეთი ფულად და 900 მანეთის საქონელი—(ფაითალი).

ეჭვით დაპატიმრებულია დუქნის გამგე—ბალანიშვილი და რამოდენიმე პირი.

1000 მანეთის მოპარვა

გუშინწინ კარზე აკრული ფიცრის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს სამხედრო კოოპერატივის „მეომარი“-ს მეშვიდე მაღაზია: სალაროდან წაიღეს 100 მანეთი ფულად.

მტკვარში გადავარდნა

გუშინწინ საღამოს თავის მოკვლის მიზნით მტკვარში გადავარდა ალექსანდრა არუთინოვას ქალი (18 წლისა).

არუთინოვა დალრჩობას გადაარჩინეს.

თავის დალრჩობის განზრახვის მიზეზი რომაანიულია.

◆ 24 ნოემბერს, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს არკადი ოსიპოვის ბინა (ახალუბნის ქ., № 23), მოიპარეს ოქროს საათი

◆ ფანჯრის გატეხის საშუალებით გაქურდეს დ. სიმონიანის ბინა (ვანქის შესახვევი, № 20), ბოროტმოქმედი ნიკოლოზ ივანესძე ივანოვი დაპატიმრებულია.

◆ გუშინ დააპატიმრეს ჯიბგირი ოგანეზ ბალოიანცი.

◆ **ეკლესიის გაქურდვა.** 24 ნოემბერს, გაქურდეს არსენალის გზატკეცილზე ეკლესია; წაიღეს 57 მანეთის ნივთები.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ორბელის ქუჩაზე მდებარე კოოპერატიული მაღაზია; წაიღეს 50 მანეთი ფულით.

◆ **კოოპერატიულ საქონლის მოპარვა** გუშინ გაქურდეს, სამხედრო კოოპერატივის „მეომარი“-ს მაღაზია წაიღეს 60 მანეთის საქონელი.

◆ **ქურდობა.** 24 ნოემბერს გაქურდეს მუშკოოპის პური, საცხობი (პლეხანოვის და ბორჯომის ქ. კუთხე).

◆ **რეციდივისტის დაპატიმრება.** 24 ნოემბერს, მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი თიმურაზ კალევიაძე ალიევი.

---

2. თეზისებისა და კონტრ-თეზისების შესახებ; „კრიტიკის“ ზოგიერთი მეთოდის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ „ბურჟუაზიას ყველაფერი მშვენივრად აქვს, ხოლო პროლეტარიატს ცუდათ“; სულობრივ მოხმარების, ფასების და „მანიფესტის“ შესახებ

როგორც არ უნდა გაურბოდეს ოპოზიცია აშკარად და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზრს; როგორც არ უნდა ცდილობდეს ის მკითხველისათვის „საშინელი“ დასკვნების თავზე მოხვევას, —სულ ერთია, ყველასთვის, ვინც დაკვირვებით წაიკითხავს ოპოზიციონურ კონტრ-თეზისებს, სრულიად ნათელი ხდება, რომ ეს თეზისები სინამდვილეში წარმოადგენენ **ჩვენი დროის [illegible] ტიკურ პოზიციის ეკონომიურ დასაბუთებას.**

და მართლაც საკმარისია მხოლოდ ნაჩქარევად შედარო თეზისები და კონტრ-თეზისები, რომ დარწმუნდე, რომ ეს ასეა.

ამხ. რიკოვის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებების თეზისები (გამოქვეყნდა „პრავდა“-ში 25 ოქტომბერს) მეხუთმეტე ყრილობისათვის წარმოადგენენ ძირითად **დირექტივებს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.** ამ თეზისებში განვითარებულია პარტიის **პრინციპიალური კურსი** სამეურნეო პოლიტიკის მახლობელ პერიოდისათვის. ცეკას ამ პრინციპიალურ კურსთან,—ხოლო თუ დირექტივები მიღებულ იქნა ყრილობაზე, მაშინ ყრილობის პრინციპიალურ კურსთანაც სრული შეთანხმებით, სწარმოებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი კონკრეტული გეგმის მომზადება და დამუშავება. ცეკას თეზისები-დირექტივები ეყრდნობა „სოციალისტურ აღმშენებლობის შედეგების და პერსპექტივების განსაზღვრულ შეფასებას, ჩვენ ეკონომიურ მშვერვალების განსაკუთრებულ სოციალურ კლასობრივ შინაარსს, სამეურნეო გეგმის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხებში თეზისები სამეურნეო ორგანოებს აძლევს მკაფიოდ განსაზღვრულ და ჩამოყალიბებულ დირექტივებს (მეურნეობის საერთო განვითარების **ტემპის** საკითხში, საერთაშორისო ბაზართან დამოკიდებულების საკითხში, ქალაქის და სოფლის ძალთა **შეფარდების** დინამიკის საკითხში, ინდუ[illegible] პოლიტიკის საკითხში, [illegible] მე და მსუბუქ ინდუსტრიის გეგმიან განვითარების პოლიტიკის შესახებ, დაბანდებულ კაპიტალის **ეფექტივობის** შესახებ, ფასების პოლიტიკის, კრედიტის, ნაციონალურ შემოსავლის გადანაწილების შესახებ, დაბრკოლებათა დაძლევის შესახებ, უმუშევრობის შესახებ, სახაზინო ფონდის შესახებ და სხვ., კერძო კაპიტალისა და კულაკის წინააღმდეგ **კლასობრივ ბრძოლის** პოლიტიკის შესახებ, სოციალისტურ [illegible]

თუ რომელიმე ციფრი მას „არადამაკმაყოფილებელი“ ეჩვენება, ოპოზიცია ამას უწოდებს „წვრილმანობას“ თუ დასახული მცირეა — ეს **ცუდია:** „მუშაობთ სოციალიზმის წინააღმდეგ“, „წვრილმანობთ“; თუ დასახული ბევრია—**ესეც ცუდია;** „ეხმარებით მტრებს“, „კაზიონი ოპტიმისტები“, „დემაგოგები“ ხართ. აშკარაა, რომ ასეთ „კრიტიკოსებს“ ვერ დააკმაყოფილებთ.

მაგრამ უმთავრესია არა ეს წვრილი შულერული მეთოდები—საქმის შინაარსისათვის გვერდის ავლა, **არსებულ გეგმის** გაკრიტიკება, ერთ დაიმავე დროს „დემაგოგიაში“ და „წვრილმანობაში“ ბრალის დადება—თუმცა, რასაკვირველია, ეს არ ახასიათებს მაინცდამაინც კარგად ოპოზიციას. ოპოზიციონურ „**კონტრ-თეზისების**“ და არა მარტო „კონტრ-თეზისების“, არამედ **ტროცკისტულ პარტიის ყველა გამოსვლების და მთელი პოზიციის** პოლიტიკური აზრი, „ძირითადი დანაშაული“ მდგომარეობს იმაში, რომ ისინი თავიდან ბოლომდე მიმართულია **შტრეიკბრეხერობის იდეოლოგიის** დასაბუთებისაკენ:

„ბურჟუაზიას ყველაფერი მშვენივრად აქვს. ჩვენ ყველაფერი ცუდათ. კაპიტალისტებს ყველაფერი მშვენივრად აქვთ მომზადებული, მუშებს კი ცუდათ“. (ლენინი).

ლენინის მიერ სასაცილოდ აგდებული შტრეიკბრეხერების ეს „მყვირალა პესიმიზმი“ უკანასკნელათ 1917 წლიდან გადმოაქვთ 1927 წელში. მაშინ ისინი გამოდიოდენ პროლეტარულ აჯანყების შტრეიკბრეხერთა სახით. ეხლა ოქტომბრის „იუბილიარები“ გამოდიან **სოციალისტური აღმშენებლობის შტრეიკბრეხერებათ.**

ეხლაც იგივე მოტივი: „ბურჟუაზიას ყველაფერი მშვენივრად აქვს, მუშებს ყველაფერი ცუდ [illegible] და რა [illegible] **ყველა** მათ გამოსვლებს: თეზისებში სიტყვები, უჯრედების სხდომებზე, ქუჩაში.

თვალი გადაავლეთ, როგორ არის დალაგებული ფიგურები ოპოზიციის საჭადრაკო დაფაზე! საერთაშორისო ბურჟუაზიას საქმე კარგათ აქვს, საბჭოთა კავშირს ცუდათ; კაპიტალისტურ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1923 წელს ელექტრონის ენერგია მზადდებოდა იმდენჯერ მეტი, ვინემ საბჭოთა კავშირში დამზადდება 1931 წელს; საბჭოთა კავშირში ნეპმანი და კულაკი იზრდება, შეტევაზე გადმოდის; მუშები უკან იწევენ; „ნეპმანის მანეთი“ სძარცვავს „პროლეტარულ კაპიკს“; **არაპროლეტარულ კლას[illegible]**

ლაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის გადიდება კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის აბსოლიუტური და შედარებით ზრდის პირობებში,—მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ გვაქვს სოციალისტური ხასიათის დაბრკოლებათა უდაო ზრდაც“.

და აი ეს **ერთად-ერთი** ადგილი მიღწევების შესახებ. რომლიდანაც სრულებითაც არ ირკვევა, როგორია საერთო ბალანსი — **პლიუსია თუ მინუსი!**

რი რაციონალიზაციის ამოცანების გადაჭრაში **მასიური ორგანიზაციების** როლის შესახებ და სხვ. და სხვ.).

რასაკვირველია, შეიძლება დავა ამ სადირექტივო თეზისების გარშემო, შეიძლება თვითეულ მათგანის განხილვა და გარჩევა საქმიანი თვალსაზრისით. ასე არ იქცევა ტროცკისტული ოპოზიცია თავის ვრცელ „კონტრ-თეზისებში“ ის გვერდს უვლის ცეკას დირექტივების შინაარსს **ზედმეტად მიაჩნია** თეზისების შინაარსის გარჩევა. ის მხოლოდ სტილს უწუნებს ცეკას თეზისებს: „კეთილი სურვილები ყრილობის წინ“, „გაურკვეველ სურვილების კრებული“. „თეზის-დირექტივების არაკონკრეტიულობა და უშინაარსობა“, „უშინაარსო საერთო ადგილები“, „დემაგოგია“ და სხვ. აი „შინაარსიანი“ საუბრები. ოპოზიცია არ იწუხებს თავს იმის, რომ გაბათილოს თეზისების თუგინდ რომელიმე ერთი მუხლი. როგორც ჩანს, აქ მას არაფერი აქვს სათქმელი!

სამაგიეროთ, ოპოზიცია კაპიტან კოპეიკინის მსგავსად „აფართოებს სივრცეს“ **სხვა** თემებზე. ის წლმა - უკუღმა „იკვლევს“ თანამედროვე სამეურნეო მდგომარეობას (რასაკვირველია, იმისათვის, რომ „დაამტკიცოს“, თუ როგორ უნუგეშოა ის) და ის ცდილობს გაარჩიოს ხუთწლიანი კონკრეტული სამეურნეო გეგმა, რომელიც **ჯერ არ არის საბოლოოდ დაწყებული**

ის გაუთავებლივ „აკრიტიკებს“ ხუთწლიან გეგმებს არსებულ პროექტებიდან ამა თუ იმ სხვადასხვა დებულებებს და მიმართავს ასეთ ხერხს. თუ გეგმის ესა თუ ის ნაწილი ან დირექტივა მას „გადამეტებულად“ ეჩვენება. თუ რომელიმე დასახული ციფრი დიდია, ოპოზიცია აცხადებს, რომ „ეს არის კაზიონური ოპტიმიზმი—მტრებისათვის დახმარების გაწევა“. ხოლო

სოციალისტური კლასები იზრდება, ხოლო პროლეტარიატის **ზეგავლენა კლებულობს.** ხოლო პროლეტარულ დიქტატურის ხელმძღვანელები „უღიდეს კატასტროფების“ პოლიტიკას აწარმოებენ; იზრდება „სახელმწიფო მეურნეობის დამოკიდებულება კულაკურ კაპიტალისტურ ელემენტებისაგან“, გაძლიერებული „კულაკური ელემენტები ნეპმანებთან ერთად არღვევენ საბჭოთა ხელისუფლების სამეურ. გეგმებს“. ნეპმანს, კულაკს, ბიუროკრატს აქვთ მიღწევები, პროლეტარიატს—მინუსები, „პასივები“, „საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკაში და ყველგან“, „ბაზარზე, სკოლაში, თეატრში“. თვით საკავშირო ცაკის მანიფესტიც“ კი არის არა მიღწევა, არამედ მხოლოდ „საიუბილეო სიურპრიზი“. „წითელი კვერცხი“ ყრილობის წინ. ჰილდა და **ნუ იდეზერტირებ** მდგომარეობას **ასეთი** შეფასების შემდეგ?

თვალი გადაავლეთ, მეორე მხრივ, **რა პროპორციით და რა ფორმებში** „სცნობენ“ პროლეტარულ სახელმწიფოს მიღწევებს. ოპოზიციონური „კონტრ-თეზისების“ 99,9 პროცენტი „ამტკიცებს“, რომ ნეპმანს, კულაკს, ბურჟუას ყველაფერი კარგათ აქვს, მუშებს—ცუდათ. 0,1 პროცენტი (კიდევ უფრო ნაკლები პროცენტი, ვინემ ოპოზიციის პროცენტი უჯრედებზე?) ძალაუნებურად სცნობენ მიღწევებს, მაგრამ **რა ფორმით?** მიღწევების შესახებ ამბობენ ასეთ რამეებს:

„ათი წლის ბოლოში ჩვენ გვაქვს არა **მარტო სამეურნეო მიღწევები** (თითქო ვინმე ამბობდეს, რომ ჩვენ გვაქვს **მხოლოდ** სამეურნეო მიღწევები), როგორც მაგალითად: სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის შეუჩერებელი ზრდა, ახალი აღმშენებლობის და კაპიტალურ თანხების დაბანდების ზრდა, ქა-

ან აი ასეთი სიტყვების რახარუხი:

„სავაჭრო-სამრეწველო ბრუნვაში კერძო კაპიტალს **უკანასკნელ წლებში** უჭირავს მთელი ბრუნვის ერთ მეხუთედზე გაცილებით მეტი. **აქამდის** მასიური მომხმარებელი მისთვის საჭირო პროდუქტების 50 პროცენტზე მეტს (?) ღებულობს კერძო ვაჭრის ხელიდან“. (ხოლო როგორია განვითარების დინამიკა? როგორ იყო წინა წლებში? იმის შესახებ, რომ კერძო პირი წლიდან-წლამდე **იდევნება** ბრუნვიდან,—რასაც თვით კლასობრივი მტერი მილიუკოვიც კი აღიარებს!—ამის შესახებ არაფერს ამბობენ, ამის **თემა რცხვენიათ** შტრეიკბრეხერებს: პესიმისტური „ჰარმონია“ არ დაირღვესო!).

კერძო კაპიტალის როლი ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე მრეწველობაში. კიდევაც რომ „რა მშვენივრად ისმის ეს „კიდევაც რომ“? დ. მ.) ვაღიაროთ, რომ ის უკანასკნელ დროს მცირდებოდა შედარებით, სამაგიეროდ იზრდებოდა **აბსოლიუტურად**“. აქ მთავარი ყურადღება ექცევა, როგორც ხედავთ, აბსოლიუტურ ზრდას („ყველაფერი ცუდათაა“), და არა შედარებით შემცირებას, თუმცა ყველა მიხვდება, რომ **დარიგებითი** ერთეულები, რომლებიც გვიხატავენ ძალთა განწყობილებას, ამ შემთხვევაში აბსოლიუტურზე უფრო მნიშვნელოვანია.

ოპოზიციის პოლიტიკური უპრინციპობა განსაკუთრებით ნათელი ხდება საკითხში სულობრივი მოხმარების ცვალებადობის შესახებ და საკავშირო კაპიტალურ აღმშენებლობის შესახებ. „სულობრივ მოხმარების ნორმებზე“ ოპოზიცია უსინდისო დემაგოგიას ეწევა. რა თქმა უნდა! თურმე, ნუ იტყვით, ჩვენ ძლივს-ძლივობით მივაღწიეთ სულობრივ მოხმარების ომამდე არსებულ დონეს. (ისევ ტიპიური—შტრეიკბრეხერული ხრიკი: თავის ციფრებში ოპოზიცია შენიშნულად **ადიდებს** ომამდე არსებულ ნორმებს, ამცირებს **ეხლანდელ** ნორმებს, არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ არ შეიძლება არაკრიტიკულად შედარებულ იქნეს წინანდელი სულობრივი მოხმარების ნორმები—ეხლანდელ ნორმებთან). შეერთებულ შტატებში—აცხადებს განრისხებული ოპოზიცია,—1928 წელს ელექტრონის ენერგია სულზე მზადდებოდა შვიდჯერ უფრო მეტი, ვინემ ჩვენში დამზადდება 1931 წელს. ეს არაჩვეულებრივი „სენსაცია“ მიმართულია ცეკას წინააღმდეგ, თუმცა ოპოზიციას არ მოეპოება საიდუმლოება, თუ რა უნდა იქნეს 1931 წელს **ჩვენში** დამზადებული შვიდჯერ მეტი, ვინემ ამერიკაში, და ფიქრობს 1925 წელს, როცა ელექტრონის ენერგიით ვსარგებლობდით ორჯერ ნაკლებს, ვინემ ეხლა. ტროცკის სიცხადეში ელანდებოდა „ელექტრონის გზაზე შემდგარ სოციალიზმის მუსიკა“.

ეწევა რა დემაგოგიას „სულობრივ მოხმარების ნორმების“ გარშემო, ოპოზიცია იმავე დროს თავს იწონებს თავისი პატენტიანი „ზეინდუსტრიალიზმით“. ჩვენ ვემხრობით მაქსიმალური თანხების დაბანდებას მრეწველობაშიო. ისინი თავიანთ **მაქსიმუმის** დახარჯვასაც („სულობრივი მოხმარება“) და **მაქსიმუმის** დაბანდებასაც (მატერიალურ ღირებულებათა დაგროვება მსხვილ კაპიტალურ ნაგებობებში, რომელიც სამომხმარებლო ეფექტი უფრო დაგვიანებით იჩენს თავს). ცეკას სადირექტივო თეზისებში ეს საკითხიც გარჩეული და გადაჭრილია (მძიმე და მსუბუქ მრეწველობის პროპორციონალურ განვითარების „ოპტიმალური“ ხაზის მიხედვით, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ინდუსტრიის განვითარების ინტერესებიც და მუშურ-გლეხური მასების მოხმარების ზრდის ინტერესებიც). ოპოზიციის „კონტრ-თეზისებში“ კი ჩვენ ორივე მიმართულებით (მოხმარება და წარმოება) ვხვდებით მხოლოდ უპრინციპო და უსინდისო დემაგოგიას. ოპოზიცია საერთოდ ყველაფრის „მაქსიმუმის“ მომხრეა (სიტყვებით): ის მაქსიმუმის მოხმარებასაც, მაქსიმუმის დაბანდებასაც, იმასაც და ამასაც, მეხუთესაც და მეექვსესაც.

რამდენად თვალთმაქცური და დაუფიქრებელი სოციალისტური აღმშენებლობის შეფასება ლოდ და მხოლოდ სულობრივ მოხმარების ნორმების ცვალებადობის მიხედვით, აშკარა გახდება, თუ ამ საკითხს დაუკავშირებთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხს. თუ ამ საკითხს მიუდგებით ოპოზიციონურად. სულობრივ მოხმარების ინტერესების თვალსაზრისით, მაშინ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას უნდა გამოვეთხოვოთ. მაშინ სულობრივ მოხმარების ნორმები დროებით გაიზრდება (და სამაგიეროთ ჩვენი ქვეყანა იმპერიალისტების კოლონიალურ მონობაში მოექცევა).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო გულმოდგინეთ და რაც უფრო დემაგოგიურად გაჰყვირის ოპოზიცია „სულობრივი მოხმარების დაბალ ნორმების“ შესახებ, სინამდვილეში ის მით უფრო უხსნის ხელებს და მფარველობს კულაკურ ინსტიქტების, რომლებიც მიმართულია **მონოპოლიის დარღვევისაკენ.** და ამავე დროს ოპოზიციას შესწევს იმდენი უტიფრობა, რომ „პარტიის ხელმძღვანელობას“ უყენებს ბრალდებას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ლიკვიდაციის განზრახვის შესახებ!

ცეკას თეზისებში—დირექტივებში ისე, როგორც პარტიის მთელ რიგ სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, მოცემულია გარჩევა და შეფასება ოპოზიციის პოლიტიკისა საგასაცემო ფასების გადიდების შესახებ. ამ პოლიტიკას ოპოზიცია აშკარად იცავდა უკანასკნელ დრომდე (ცეკას 1927 წლის თებერვლის პლენუმამდე, რომელზედაც ოპოზიციამ მოაწყო მთელი რიგი „იარაღის გამოცვლის“ მანევრები).

ეს პოლიტიკა ოპოზიციას არსად და არასოდეს **არ უარუყვია;** დღემდე ფასების საკითხში მან არცერთი თავისი შეცდომა **არ აღიარა.** ოპოზიციას არსად, არცერთხელ, არცერთ დოკუმენტში არ უარუყვია არც ის, რომ სოფელი არის „კოლონია“, რომელიც უნდა „გაიყვლიფოს“ და რომლიდანაც ყოველ ზომის გარეშე უნდა „გამოიქაჩოს“ საშუალებები; არც ის, რომ ფასების მომატების პოლიტიკა უნდა გატარებულ იქნას მტკიცედ და განუხრელად“. (იხ ვ. ი. სმირნოვის და „მაიზლინის“, რომელიც იგივე მარწოვია, წერილები); არც ფასების მთელი ტროცკისტული პოლიტიკა, რომელიც აძლიერებს პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს და აწვავებს უმუშევრობას. პირიქით ყველა ამ შეცდომებს ოპოზიცია სისტემატიურად ჩქმალავდა, აფუჩეჩებდა, ფარავდა. გახამრომში ფასების მომატების პოლიტიკის გასამართლებლად ოპოზიციამ დაიტოვა „კონტრ-თეზისებშიაც“ (იხ. მუხლი ფასების პოლიტიკის „ინდივიდუალიზაციის“ შესახებ), და როდესაც ასეთი დროშით მიდის საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობისაკენ, ოპოზიციას კიდევ წარმოუდგენია, რომ მას რაიმე დამოკიდებულება აქვს პარტიის „პროლეტარულ ნაწილთან“.

რამოდენიმე სიტყვა „**ცაკის მანიფესტის**“ შესახებ. ამ საკითხში ოპოზიცია განსაკუთრებით სკანდალურად გაიხლართა. მან—ამის გაგება საჭიროა, ვინაიდან კონტრთეზისებში ეს „წვრილმანი“ გამოტოვებულია—**ხმა მისცა მანიფესტის წინააღმდეგ,** ამ გაუგონარ საწინააღმდეგო ხმის მიცემის დასაბუთება კი იყო უკიდურესად აბნეული და წინააღმდეგობით სავსე. ევდოკიმოვმა ხმა მისცა მანიფესტის წინააღმდეგ იმიტომ, რომ „იქ არაფერია ნათქვამი.. ჩინეთის ამბების შესახებ. **ზინოვიევმა** წინააღმდეგ მისცა ხმა იმიტომ, რომ მანიფესტი **საკმაო არაა** (თუმცა ასეთ შემთხვევაში მაინც და მაინც რა საჭიროა ხმის მიცემა **წინააღმდეგ?**). **ტროცკი** წინააღმდეგია მანიფესტის იმიტომ, რომ მანიფესტი არის მხოლოდ „მანევრი“, რომლის დადასტურება ტროცკის არ სურდა და აშკარად ამჯობინებდა სხვაგვარი ხასიათის „მანევრების“ კეთებას. დასასრულ, ეხლა, კონტრთეზისებში, ოპოზიცია უკანა რიცხვით განმარტავს, რომ მანიფესტის მუხლი შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ მიუღებელი იყო იმიტომ, რომ, თურმე ნუ იტყვით მასში „არაფერი არ არის გარკვეული, ნათელი, კატეგორიული“. თურმე იმიტომ არის გაურკვეველი, რომ მანიფესტში ნათქვამია, რომ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა უნდა განხორციელდეს „არა უადრეს ერთი წლისა“. ამავე დროს **მართლაც გაურკვეველია,** როგორი თვალსაზრისი აქვს ამ საკითხში ოპოზიციას: 7 საათის სამუშაო დროზე გადასვლა—დაუყოვნებლივ? ერთი წლის შემდეგ? ორი წლის შემდეგ? ათი წლის შემდეგ? თუ არასოდეს?).

ოპოზიცია რა თქმა უნდა ვერ შესძლებს გაამართლოს თავისი სამარცხვინო პოზიცია 7 საათის სამუშაო დღის საკითხში ამხ. ბუხარინის იმ განცხადებაზე მითითებით, რომელიც მან გააკეთა მე-15 საკავშირო პარტკონფერენციაზე იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ-მენშევიკური პარტიები—მათ რომ ლეგალიზაცია ჰქონდეთ მოპოვებული საბჭოთა კავშირში—დემაგოგიურ მიზნების გამო მოითხოვდენ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებას. დიახ, რომ ბურჟუაზიულ-მენშევიკურ პარტიებს ერთი წლის წინად მოეთხოვათ შვიდი საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივ შემოღება, ეს მათის მხრით იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ **კონტრ-რევოლიუციონური მანევრი.** პირიქით, როდესაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ოქტომბრის მეთერთმეტე წელში იწყებს შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლას, ეს არის უდიდესი **რევოლიუციონური მიღწევა.** ცუდად არის, როგორც ჩანს ტროცკისტების საქმე, თუ ისინი გადაეჩვივენ ასეთ რამეების გარჩევას! და მართლაც, თავიდან ფეხებამდე ჩაეფლო მენშევიკურ ჭაობში, რომ მანიფესტის შეს ხებ,—პროლეტარულ დიქტატურის ამ უდიდეს ათი წლის ბრძოლით მონაპოვარის შესახებ—**ლაპარაკობდე** საერთო ბანაკში საერთაშორისო ბურჟუაზიასა და მე-2 ინტერნაციონალთან („მანევრი“, „ეშმაკური პოლიტიკა“—**ტროცკი;** „წითელი კვერცხი ყრილობის წინ“—**კონტრ-თეზისები;** „მუშების მოტყუილება“—**ფორვერტს-ი;** „უბადრუკი ილიუზიები“ და „ფუჭი დაპირებები“—ინგლისის **შავი რაზმის** ორგანოები „ტაიმს“-ი და „ტან“-ი!).

3. უფრო სუსტი გავხდით, თუ უფრო ძლიერი? კაპიტალიზმისაკენ თუ სოციალიზმისაკენ? ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში. „უმნიშვნელოვანესი დასკვნები“

ოპოზიციონური „კონტრ-თეზისები“ სდებენ რა ხელაღებით ბრალს ცეკას თეზისებს—დირექტივებს ზოგადი ფრაზების ხმარებაში, სისტემატიურად უვლიან გვერდს პირდაპირ პასუხს ჩვენი მეურნეობის განვითარების იმ საკითხზე, რომელიც თვითეულ პროლეტარ-რევოლიუციონერისათვის **ძირითად** საკითხს წარმოადგენს: გახდა თუ არა პროლეტარული დიქტატურა 10 წლის განმავლობაში საერთოდ და მთლიანად უფრო **ძლიერი** თუ უფრო **სუსტი?** ყოველ შემთხვევაში „კონტრ-თეზისების 99 პროცენტი ცდილობს „დაამტკიცოს“, რომ ჩვენ უფრო სუსტი გავხდით.

„თუ კულაკის, ნეპმანისა და ბიუროკრატის ძალა „შედარებით სუსტდება“, ხოლო პროლეტარიატის ძალები კი იზრდება. მაშინ რა საჭირო იყო კურსის შეცვლა. ე. ი. ახალი ლოზუნგის გადასროლა—**შევავიწროვოთ** ბურჟუაზიული ფენები და მასთან რაც შეიძლება ჩქარა? საქმე სულ სხვანაირად ხომ არაა? („კონტრ-თეზისები“).

ეს „გაოცებული“ კითხვა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ტროცკისტული აზროვნება მხოლოდ ჩიხში მოემწყვდა. პარტია ფიქრობს, რომ ახლა [illegible] სამეურნეო—კლასობრივი შეტევა კულაკურ ნეპმანურ ბლოკის წინააღმდეგ შესაძლებელი და აუცილებელიცაა განვითარებული საქონელ ბრუნვის პირობებში **პროლეტარულ დიქტატურის გაზრდილი ძალების** საფუძველზე, პარტია ფიქრობს, რომ **უფრო** **მეტად** გაძლიერებულ სოციალისტურ მეურნეობას (კერძო-კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით) კერძო კაპიტალთან ბრძოლაში **ყველა შანსები წარმატებასა და გამარჯვებაზე.** ჩვენ უტევთ და უნდა შევუტიოთ იმიტომ, რომ ჩვენ გავძლიერდით. ტროცკისტებს კულაკ-ნეპმანის შევიწროება წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ როგორც ეუსტიმათ წინააღმდეგ, ვინც პროლეტარულ დიქტატურას ანზორციელებს „მათრახით“ (ტროცკისტული კონტრ-თეზისები უკვე „გაკვრით“ ლაპარაკობენ „ორი ხელისუფლების“ არსებობაზე), როგორც „ზედამხედველი“ მანევრი და შეტევითი ავანტიური გაზრდილი... სისუსტის საფუძველზე. ტროცკისტებს ორგანიულად არ შეუძლიათ წარმოიდგინონ ის, რომ პროლეტარიატს, რომელიც იმდენად აშენებს სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში, შეუძლია და ვალდებულიცაა ძალების დაგროვების შემდეგ აჩქარებით დაიწყოს შეტევა.

უთანხმოების ფესვები ტროცკისტებსა და პარტიას შორის, ოპოზიციის მთელი დებულების ფესვები სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი რევოლიუციისა და ქვეყნის ძალთა შეფარდების ტროცკისებური შეფასების ბოლომდე და თანმიმდევრობითი განვითარებით **ჩვენ არ შეგვიძლია** სისტემატიურად არ **შევსუსტდეთ, ჩვენ აუცილებლად** უნდა გადაუხვიოთ“, აუცილებლად უნდა წავიდეთ კაპიტალიზმისაკენ და არა სოციალიზმისაკენ. არ შეიძლება სოციალიზმის აშენება „დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის **სახელმწიფოებრივი** დახმარების გარეშე“. არ შეიძლება, მაშასადამე, სოციალიზმის წარმატებით აშენებლობა; ჩვენი განვითარების მთელმა დინამიკამ—მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების დაგვიანების დროს—უნდა აიღოს კურსი კაპიტალიზმისაკენ; აქედან—როგორც დროის საკითხი—აუცილებლად გამომდინარეობს საკავშირო კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების „გატერმიდორიანების“ პროცესი; აქედან „დაღუპვა“ და „კატასტროფა“ ჩამარხულია თვით ოქტომბრის რევოლიუციის ბუნებაში—ასეთია მენშევიკურ-ტროცკისტულ ლოგიურ დებულებებისა და დასკვნების საბედისწერო ჯაჭვი. „ხსნა არაა“, „ვიღუპებით“,—აცხადებენ ტროცკისტები და როგორც ვირთხები გარბიან „პროლეტარული რევოლიუციის დაძირულ ხომალდიდან“; ასე ასაბუთებენ ისინი თავისი შტრეიკბრეხერობის არა სასახელო აქტს.

მაშასადამე, პროლეტარული ხელისუფლების „დაღუპვა“, ტროცკისა და უსტრიალოვის ღვთაებრივი წინასწარმეტყველებით, აუცილებელია მიუხედავად იმისა, თუ პერსონალურად ვინაა ამ ხელისუფლების მატარებელი. მაგრამ დავუშვათ, რომ ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში,—რაც ალბად ზინოვიევსაც კი არ დაესიზმრება,—ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები ხელთ, ისიც (ოპოზიცია) ხომ აუცილებლად ასევე უნდა „გადაგვარდეს“ და—დასწყევლოს ეშმაკმა!—უნდა „გატერმიდორიანელდეს“! ვინაიდან ზინოვიევს ისევე არ შეუძლია მის მიერვე შექმნილ „კულაკური საფრთხის“ დემონის დაძლევა, როგორც „უცხენოსათვის ცხენის“ მიცემა. მაქსიმუმი, რაც მას შეუძლია, ესაა ყოველწლიურად „პატიოსნად“ აუწყოს კომინტერნს, თუ რამდენად „გაკულაკდა“ კიდევ საკავშირო კომპარტია—„გაკულაკება“ ხომ აუცილებელია ნეპის საფუძველზე? ამხ. კამენევი წესიერად დაიხევდა უკან ნეპის საფუძველზე—კი ნეპი ხომ მხოლოდ უკან დახევაა! „ფუნდამენტალური“ ამხ. ი. სმილგა სახოწარკვეთილებით მოხაზავდა ტექნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობის გამო ჩვენი დაღუპვის „დინამიურ ზრუდეებს“,—ასეთი „დაღუპვა“ ხომ აუცილებელია, თუ გარედან დახმარება არ იქნა. და თვით ტროცკისაც მეტი აღარაფერი დარჩებოდა, თუ არა ის, რომ მედიდურად „გაეტერმიდორებია“ ჩვენი პარტია და ხელმძღვანელობა გაეწია „გადახვევის“ პროცესისათვის საერთოდ,—ეს ხომ აუცილებელია, რაკი „იგვიანებს“ გამარჯვება სხვა ქვეყნებში

საბედნიეროდ, საშიშია მხოლოდ ტროცკისტული სიზმარი. პროლეტარული რევოლიუციის ძალები საკმაოდ მტკიცეა იმისათვის, რომ დაიმარჯვოს განვითარების სულ სხვა პერსპექტივამ. ნამდვილად ჩვენ თანდათან ვძლიერდებით, მივდივართ წინ და არა უკან, და საერთოდ და მთლიანად სისტემატიურად ვამაგრებთ სოციალიზმის პოზიციებს. სოციალიზმს ჩვენ ვაშენებთ და წარმატებითაც ავაშენებთ, მიუხედავად კაპიტალისტური ძალების გარემოცვისა, მიუხედავად ნეპმანისა და კულაკის წინააღმდეგობისა, მიუხედავად ყოფილი „ბელადების“ დეზერტირობისა. ბოლშევიკური პარტიის კურსი იყო, არის და იქნება **სოციალისტური** პოლიტიკის კურსი, როგორი საზიზღარი ცილისწამებაც არ უნდა გაავრცელოს ამ პოლიტიკის შესახებ ოპოზიციამ.

„კონტრ-თეზისების“ ავტორები ცდილობენ თავი დამალონ ხილაში, ოდნავად „შეანელონ“ ის საზიზღარი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა პარტიაზე ტროცკისტული ბელადების გამოსვლების ზოგიერთმა განსაკუთრებით „საოცხოვნო“ ადგილებმა ოქტომბრის ცეკას პლენუმზე:

„ოპოზიციას არსად და არასოდეს არ უთქვამს, რომ თითქოს ცეკას გადაწყვეტილი აქვს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმება, ყველა ძველი ვალების ცნობა და სხ..“ და თუ ამას ადგილი ჰქონდა, ადგილი ჰქონდა „სხვადასხვა უწყებების კანცელარიებში და საქმიანი ხალხის ვიწრო წრეებში“... (იხ. „კონტრ-თეზისები“).

ვნახოთ, ასე იდილიურადაა საქმე, თუ არა. გადავშალოთ ოპოზიციონური სიბრძნის „წმიდათა წმიდა“—„დიდებული“ პლატფორმა. იქ საყურადღებო სათაურით—„**უმნიშვნელოვანესი დასკვნები**“ (გვ. 98) დაბეჭდილია შემდეგი:

„**ხელმძღვანელ უმრავლესობის წრეებში,** ინგლის-რუსეთის ურთიერთობის გაწყვეტისა და სხვა საერთაშორისო და საშინაო ხასიათის სიძნელეების ზეგავლენით, ამჟამად ითხზება, **დაახლოვებით ასეთი „გეგმა“: 1) ვიცნოთ ვალები; 2)** ცოტად თუ ბევრად **გავაუქმოთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია; 3) მოვშორდეთ ჩინეთს,** ე. ი. „დროებით“ უარი ვსთქვათ **ჩინეთის რევოლიუციისა და საერთოდ ნაციონალურ - რევოლიუციონურ მოძრაობათა მხარის დაჭერაზე; 4) ქვეყნის შიგნით—მემარჯვენე „მანევრი“, ე. ი. ნეპის კიდევ რამდენადმე გაფართოება.** ამ გზით ხურთ მოსპონ ომის საფრთხე. გაამჯობესონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და თავიდან აიცილონ (ან შეასუსტონ) შინაგანი წინააღმდეგობანი. მთელი ეს „გეგმა“ აშენებულია იმ შეფასებაზე, თითქოს კაპიტალიზმის სტაბილიზაცია რამდენიმე ათეული წლითაა უზრუნველყოფილი.

ნამდვილად კი ეს იქნებოდა არა „მანევრი“, არამედ არსებული პირობებში **საბჭოთა ხელისუფლების სრული კაპიტულაცია:** „პოლიტიკური ნეპიდან“ „ნეონეპი“—„**უკან კაპიტალიზმისაკენ**“.

რა გამოდის? „კონტრთეზისებში“: „ოპოზიცია არსად და არასოდეს არ ლაპარაკობდა“, პლატფორმაში კი ეს არაფერი ამის მსგავსი“ გვევლინება, „**უმნიშვნელოვანესი დასკვნების**“ სახით, კონტრთეზისებში“ მონოპოლიის „შესუსტების“ იდეა დაჭერის „კანცელარიებსა“ და „საქმის ხალხის ვიწრო წრეებში“, პლატფორმაში კი მონოპოლიის გაუქმების იდეას „თხზავენ“ „**ხელმძღვანელ უმრავლესობის წრეები**“. ეს კიდევ ცოტა, პლატფორმაში ცეკა „სტოვებს ჩინეთს“, სცნობს „ძველ ვალებს“. ახდენს „მემარჯვენე მანევრს“, (მანიფესტი, 7 საათის სამუშაო დღე, კერძო კაპიტალის წინააღმდეგ შეტევა—„მემარჯვენე მანევრი“ ხომ არაა?).

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს საზიზღარი ცილისწამება და სისულელე თვით პლატფორმის ავტორებსაც **არ სჯერათ წინდაწინვე.** მენშევიკურ ოპოზიციას ეს აღვირ წახსნილი სიცრუე სჭირდება იმისათვის, რომ როგორმე ყოველნაირი საშუალებით სახელი გაუტეხოს ცეკას. მაგრამ სწორედ ეს „უმნიშვნელოვანესი დასკვნები“ უმაგალითო დაცინვაა ბოლშევიკ-მუშაზე. ის ყველაფერს ჩაყლაპავს“, იქნებ მან დაიჯეროს რამე ამ ცილისწამებიდან იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობა „საბჭოთა ხელისუფლების კაპიტულაციის“ გეგმას „თხზავს“.

და შემდეგ ოპოზიცია ლაპარაკობს, რომ „ჩვენ გვდევნიანო“[1]).

4. „კატასტროფებისა“, „განმანადგურებელ შედეგებისა“ და „მესამე ძალის“ შესახებ

ოპოზიცია არასოდეს არ იჩენდა სიძუნწეს ბუტაფორიული აურ-ზაურის ატეხაში. სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმას, რომელიც საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა შედგენილი, არაა მოწონებული ცეკასა და პარტიულ ყრილობის მიერ,—ოპოზიცია წინასწარ აცხადებს „უდიდეს კატასტროფებისა და რყევათა გეგმათ“. მას წინასწარ გამოყავს „დამღუპველი“, „განმანადგურებელი შედეგები“. როცა 1917 წ. მოხდა ზინოვიევ კამენევის შტრეიკბრეხერობა, ისინი გაჰყვიროდენ „კატასტროფებზე“. როცა 1923 წ. ტროცკი გამოვიდა „პარტიის გადასარჩევად“, ის აცხადებდა, რომ ქვეყანა „დაღუპვისაკენ“ მიექანებაო, როცა სცენაზე ახალი ოპოზიცია გამოჩნდა, ის თავგანწირვით გაჰყვიროდა, რომ „ვიღუპებით“ კულაკების შემოტევითო. ამ წლიდან დაწყებული გაერთიანებული ოპოზიცია თითქმის ყოველთვიურად გაიძახოდა „პარტიის სიცოცხლისა და სიკვდილის“ შესახებ, „პარტიის, ქვეყნისა და რევოლიუციის“ „დაღუპვის“ შესახებ. როცა ის 1926 წ. 16 ოქტომბერს პარტიას თვალთმაქცურად ეფიცებოდა მაშინაც „კატასტროფა“ ეკერა ენაზე. ტროცკისტული ოპოზიცია ეხლაც თავის სამარცხვინო ვაქცევას რევოლიუციიდან შფარავს ისტერიული ყვირილით „კატასტროფის“ შესახებ. და მას ჰგონია, რომ ასეთი დაძველებული საქონლით იმოქმედებს კიდევ მოშიზზე!

„კონტრთეზისების“ შემდგენელი ოპოზიციონერები ფიცით [illegible] „მესამე ძალას“, რომელიც სულ უფრო და უფრო მაგრად იმტკიცებს ფეხს [illegible] შტრეიკბრეხერებს, „კონტრთეზისებში“ ოპოზიციას ისე მოაქვს თავი, თითქოს „მესამე ძალას“ ისინი ეშინოდეს მაგრამ ფაქტები, საბუთები და ციტატები ოპოზიციას, რა თქმა უნდა, არ მოჰყავს. ვინაიდან უკვე მოცემულია გარკვეული პასუხი კითხვებზე:

ვინაა კმაყოფილი ოპოზიციის ცდით მოეწყო კონტრდემონსტრაცია ქუჩაში 7 ნოემბერს, და **ვინაა** უკმაყოფილო მისი ჩაშლით?

ვის აქებს ყოველ გზა-ჯვარედინზე ემიგრანტული „ფორვერტსი“ და „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი“?

ვის ხოტბას ასხამს ეხლა სიტყვა-სიტყვით „პოსლედნიე ნოვოსტი“?

ვინ აქეზებს ოპოზიციას არალეგალობისა და საერთო გამოსვლის გზაზე?

ვისი შეთანხმება დასტურდება „მანიფესტის“ ოპოზიციონურ შეფასებას?

პასუხი ყველა ამ და სხვა საკითხებზე საკმაოდ ცხადათაა მოცემული. როგორ არ გახარდეს კაპიტალისტურ ელემენტებს ოპოზიციის „მოღვაწეობა“? ოპოზიცია ხომ პროლეტარული დიქტატურის საფუძვლებს არყევს. ოპოზიციის კრიტიკას ხომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ხაფუარი აღვივებს. აკი ზინოვიევი უსტრიალოვის „მორტირიდან“ ესვრის ცეკას, რასაც თვით უსტრიალოვი თავაზიანად ადასტურებს! ისინი, ბურჟუები, დიდი ხანია, ისინი ყოველთვის ლაპარაკობდენ „კატასტროფის“ შესახებ. ასევე ოპოზიციაც. ისინი ყოველთვის „დასცინოდენ“ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობას. ოპოზიციაც ასევე იქცეოდა.

უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის ამჟამად უკიდურესად გამწვავდა. „შეუძლებელი“ რამ ხდება ჩვენს თვალწინ. ოდესღაც შეუძლებლად გვეჩვენებოდა ბევრი რამ სხვაც. გვეგონა, რომ აქლემი უფრო მალე გაძვრებოდა ნემსის ყუნწში, ვიდრე ზინოვიევი აღმოჩნდებოდა ტროცკისტური [illegible] წიაღში. მაგრამ ზინოვიევს—„არა უშავს“, „გაძვრა“, და

«Чижа захлопнула злодейка—западня»

ეხლა ტროცკის წინამძღოლობით ოპოზიციონური სექტა სასწრაფოდ გადადის საკავშირო კომპარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის მტრების ბანაკში. უსტრიალოვშჩინასთან ბრძოლის დროშის ქვეშ ტროცკისტულმა ბელადებმა შექმნეს ახალი პარტია და თარს ამბობენ დამალონ ის. პერსელ-ხიქსებთან ბრძოლის საბაბით ისინი აბრამოვიჩის გვერდით აღმოჩნდენ. „მემარცხენე ინტერნაციონალიზმის“ ნიღაბ ქვეშ ისინი სათავეში ჩაუდგნენ მასლოვის საერთაშორისო „ავანტიურ ბლოკს“. თითქოს იბრძვიან რა ლენინის „ანდერძით“, ისინი დაადგნენ არალეგალობის გზას პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში. გაჰყვიროდენ რა „მემარჯვენე მანევრის“ შესახებ. მათ მოაწყვეს ოპორტუნისტული კონტრდემონსტრაცია მიტინგების გასართობად. ამრიგად, მაღალი თარდიდან თრაზების ქვეშ „თავის თავს ობრონჩენა“ ტროცკიზმი და მთავრობა შტრეიკბრეხერების გადარბენა „იქეთა მხარეზე“

დ. მარეცკი.

---

[1] როგორი უსუსურია ამის შემდეგ ოპოზიციის „მოთხოვნილება“ მათი პლატფორმის დაბეჭდვის შესახებ თიახ, **იმავე მიზეზით** არ ბეჭდავენ ბოლშევიკები ამ პლატფორმას, რა მიზეზითაც მას მენშევიკები ბეჭდავენ. იმავე მიზეზით არაა ოპოზიციონური პლატფორმა ლენინურ „პრავდა“-ში. რა მიზეზითაც ის ამშვენებს სოციალ-დემოკრატიულ „ფორვერტს“ მყვირალა სათაურით: „სიმართლე საბჭოთა კავშირის მუშების შესახებ“. ოპოზიციის სიმართლე არის „ფორვერტსის“ სიმართლე. ეს არის ჩვენი დროის საყურადღებო მოვლენა, ეს არის სწორედ ის „კვერცხი“ (მაგრამ არა წითელი), რომელიც დასდო ოპოზიციამ ყრილობის წინ.

ხელოვნება

ქართული ხელოვნება საკავშირო გამოფენაზე

ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით, მოსკოვში მოეწყო ეროვნებათა ხელოვნების საკავშირო გამოფენა.

საქ. სახელოვნო მთავარ-მმართველობამ ამ გამოფენაზე გაგზავნა ქართველ მხატვართა საზოგადოების სურათები, სახ. სამხატვრო აკადემიის მოწაფეთა ნამუშევრები, მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის ესკიზები, ქართული აკადემიური დრამის დადგმების მაკეტები და მხატვრული ლიტერატურული გამოცემლობანი.

მიუხედავად იმ დიდი შერჩევისა, რომელსაც წარმოდგენილ ექსპონატებისადმი ახდენდა გამოფენის ჟიური, (თითეულ მხატვარს მიეცა 5-6 ნამუშევარის წარმოდგენის უფლება), ქართული ხელოვნების ექსპონატები მიღებულ იქნა მთლიანად. რაც შეეხება სახალხო მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებს, ის არამც თუ მთლიანად მიიღეს, არამედ დამატებით მოითხოვეს ყველა მისი ტილოები; ფიროსმანიშვილის განყოფილება შეავსეს იმ კოლექციებით, რომელიც მხატ. კირ. ზდანევიჩს შემთხვევით ჰქონდა მოსკოვში.

საქ. სახელოვნო მთავარ მმართველობაში მოსკოვიდან ეხლახან მიღებულ წერილებით, ქართულმა ხელოვნებამ ამ გამოფენაზე დიდ წარმატებებს მიაღწია. გამოფენაზე წარმოთქმულ სიტყვებში ყველა ორატორები იწყებდენ ქართული მხატვრობიდან და აღნიშნავდენ, რომ სრულებით არ მოელოდენ ქართველი მხატვრებისაგან მხატვრობის ასე საღ და სიღრმით გაგებას. მოსკოვის კრიტიკოსები განსაკუთრებით აღნიშნავდენ და სწერდენ ნიკო ფიროსმანიშვილზე, როგორც განსაცვიფრებელ მოვლენაზე მხატვრობაში.

გარდა ამისა ეროვნებათა ხელოვნების საკავშირო გამოფენაზე დიდი ყურადღება მიუქცევიათ აგრეთვე ლ. გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, მაღალაშვილის და ირ. თოიძის ნამუშევართათვის.

რაც შეეხება ქართული მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას, ისიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს გამოფენაზე.

ინტერესი ქართულ ხელოვნებისადმი

უკანასკნელ ხანებში მოსკოვის ლიტერატურული და სამეცნიერო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ქართულ ხელოვნებისადმი.

საქ. განათლების სახ. კომისარიატში მიღებულ ცნობებით, საკავშირო სამხატვრო მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიას გადაწყვეტილი ჰქონია მოსკოვის კულტურულ [illegible] რამდენიმე ლექცია ჩაატაროს თანამედროვე ქართული ხელოვნების საკითხების გაცნობის მიზნით. ლექციები ჩატარდება აქ ახლო ხანში. ლექტორებად გამოვლენ როგორც რუსული ხელოვნებისა და კრიტიკის წარმომადგენლები ისე ქართველთა ძალებიც.

აღნიშნულ აკადემიაში თანამედროვე ქართული ხელოვნების შესახებ ლექციის გასაკეთებლად საქ. განათლების სახ. კომისარიატმა თავის მხრივ წარმომადგენლად გაგზავნა ამხ. შ. დუდუჩავა, რომელიც უკვე გაემგზავრა მოსკოვში.

ხელოვნების ქრონიკა

ეგონ პეტრის კონცერტები. 26 და 29 ნოემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ეგონ პეტრის ორი [illegible] კონცერტი.

უცხოეთი

ნობელის პრემია. მიმდინარე წლის ნობელის პრემია ლიტერატურაში მიეცა იტალიელ მწერალ-ქალს გრაცია დელედას.

გ. იბსენის ხელთნაწერის პოვნა. ოსლოს (ნორვეგია) სახელმწიფო ბიბლიოთეკაში იპოვეს გ. იბსენის კომედიის „სიყვარულის კომედიის"-ს დღემდი უცნობი ხელთნაწერი.

სასამართლო

„კაზინო"-ს მსხვერპლი

ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს, რომ გასული წლის აპრილის პირველ რიცხვებში ულმობელმა „კაზინო"-მ უდროოდ გამოასალმა ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი, „ფინანსისტი" **ვლადიმერ დავითის ძე საყვარელიძე.**

ეს უბედურება დატრიალდა შემდეგნაირად:

1926 წ. აპრილში ა.-კ. ფინსახკომის სახელზე სახელმწიფო ბანკში მიღებული იყო ქ. ორიოლიდან 1.300 მანეთი. ვლადიმერ საყვარელიძე გახლდათ ფინსახკომის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების გამგე, კაცი დიდი პასუხისმგებლობითა და ნდობით აღჭურვილი. ცხადია, ასეთი თანამდებობის პირს ვრცელი მინდობილობა და მანდატები არ დასჭირდებოდა იმისათვის, რომ ეს თანხა მიეღო ბანკიდან.

ჰო, და, ერთი სიტყვით, 1.300 მანეთი საყვარელიძემ გამოიტანა ბანკიდან. ბანკიდან გამოიტანა და უნდა შეეტანა ფინსახკომის სალაროში, მაგრამ გზაში „მხარი ექცა" და ფინსახკომის კარებს ვერ მიაგნო.

იარა, იარა და „წააწყდა" „კაზინოს".

„კაზინო"-ში, როგორც მოგეხსენებათ, ხდება რადიკალური „წმენდა". ჩვენი „ფინანსისტიც" გამოვიდა „კაზინო"-დან ისე „გაწმენდილი", რომ ყურგახვრეტილ შაურიანს ნატრულობდა ტრამვაის ფულად.

1.300 მანეთმა კი თქვენი ჭირი წაიღო.

„მხარ ნაქცევმა" ფინანსისტმა" იარა, იარა და ციხეში ამოჰყო თავი.

ასე უდროოდ დაღუპა ულმობელმა „კაზინო"-მ ვლადიმერ საყვარელიძე და გამოასალმა ის სამსახურს, თანამდებობას, ნდობას და საერთოდ კეთილ ცხოვრებას.

დაინიშნა იმ განყოფილების რევიზია, რომელსაც უდროოდ, თუ დროულად „გამოსალმებული" საყვარელიძე განაგებდა. აღმოჩნდა, რომ მას წვრილ-წვრილი „ნახარჯიც" ჰქონია 372 მანეთამდე.

[illegible] ყოფნისას საყვარელიძემ დაფარა [illegible]მდე მოკეთების დახმარებით. დარჩა მასზე გაუნაღდებელი 442 მანეთი.

საქმე გუშინ გაარჩია პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. **ხადალაშვილის** თავმჯდომარეობით.

ვლადიმერ საყვარელიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 ნახევ. წლით. ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

ზერ.

მეეზოვე, თუ სულთამხუთავი

ა.-წ. 17 სექტემბერს საღამოს [illegible] სასამართლოს ქუჩაზე მოქ. კანდელაკი ნელის ნაბიჯით მიაცილებს თავის ნაცნობ ქალს.

მიუახლოვდნენ სახლს, სადაც ქალი ცხოვრობდა. ჭიშკარს აღებს მეეზოვე მარტიროზ კაზაროვი.

მოქ. კანდელაკს დაწყებული საუბარი არ დაუთავებია. გაღებულ ჭიშკარში სდგას და განაგრძობს ლაპარაკს.

— ამხანაგო, აბა ჩქარა გაათავეთ, ჭიშკარს ვკეტავ,—უხეშად ეუბნება მეეზოვე.

— მე კაი კაცო, რა მოხდა, საღამო წესები ხომ არ არის გამოცხადებული, უპასუხებს კანდელაკი.

— მე შენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს, მოშორდით აქედან. ჩემი მოვალეობა მე ვიცი.

მეეზოვემ ერთი წაუჯიქავა კანდელაკს და ჭიშკარს მოჰკიდა ხელი დასაკეტად.

— კაცი ხარ, თუ ძაღლი, რას ჩადიხარ თუ იცი, ხმა ამაღლებით უპასუხა შეურაცხყოფილმა კანდელაკმა.

მეეზოვემ ხელში მოიმარჯვა კეტი, [illegible] და ისე მაგრად სთხლიშა თავში კანდელაკს, რომ უკანასკნელი გრძნობა დაკარგული დაეცა ქვაფენილზე.

ქალმა მორთო კივილი. მოცვივდა ხალხი. მოიტანეს წყალი. ასხეს, ასხეს კანდელაკს და ძლივს მოასულიერეს.

რომ არ მიშველებოდენ, კანდელაკს საიქიოსკენ ჰქონდა პირი დაკავებული და არც აპირებდა უკან მობრუნებას.

სულთამხუთავი მეეზოვე დაპატიმრებულია.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

მანე.

ახალი წყალსადენი და აბანოები

თბილისის მაზრა საქართველოს დანარჩენ მაზრებთან შედარებით, მჭიდროთაა დასახლებული. ამავე მაზრაში შესამჩნევათაა გაძლიერებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დარგები. მიუხედავათ ამისა, თბილისის მაზრა ვერ არის სათანადოთ კეთილმოწყობილი. სოფლების უმრავლესობა დიდ გაჭირვებას განიცდის სასმელი წყლის უქონლობის გამო, რაც ხელს უწყობს ციებ-ცხელებისა და სხვა სენების გავრცელებას. აგრეთვე არ არის აბანოები.

თბილისის აღმასკომმა მიიღო რა მხედველობაში ეხლანდელი თბილისის მაზრის მდგომარეობა. საგეგმო კომისიას დაავალა შეიმუშაოს თბ. მაზრაში წყალსადენისა და აბანოების გაყვანის გეგმა.

საგეგმო კომისიამ უკვე შეადგინა აღნიშნული გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომელმაც თავის უკანასკნელ სხდომაზე უმნიშვნელო შესწორებების შეტანით დაამტკიცა წარდგენილი გეგმა. ამ გეგმით წყალსადენების გაყვანა და აბანოების მოწყობა თბილისის მაზრაში დაიწყება მომავალ წლიდან და სავსებით დამთავრდება უახლოეს 5 წლის განმავლობაში. წყალსადენების გასაყვანად თბილისის აღმასკომმა გადასდო **ნახევარი მილიონი,** ხოლო აბანოების მოსაწყობათ 115.000 მანეთი. შემდეგში ეს თანხები გადიდებული იქნება საჭიროებისამებრ. პირველ რიგში წყალსადენი და აბანოები მოწყობილი იქნება სოფ. არნაუტში და კოსოლარში.

რკინისგზეზე

გზათა კომისარიატის ინსპექტორის ჩამოსვლა

ამ დღეებში თბილისში ამიერ-კავკ. რკ. გზების მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით ჩამოვიდა გზათა კომისარიატის უფროსი ინსპექტორი ინჟ. **რურნიჩი.**

მატარებლის მოხსნა

26 ნოემბრიდან მოხსნილია სახალხო მატარებელი № 24—25, რომელიც დადიოდა თბილის-გორის შუა კვირა- უქმე დღეებში.

წყალი სოფლებისათვის

საზაზრო აღმასკომები ძალიან ხშირად მიმართავენ ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობას თხოვნით სოფლებისათვის წყლის მიწოდების შესახებ.

ამის გამო რკ. გზებზე შემუშავებულია სოფლებისათვის წყლის მიწოდების მტკიცე წესი, რომლის თანახმად გატარებულია წყალზე ფასის გადახდევინების პრინციპი.

შპალების გამოცვლა

როგორც ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებულ ცნობიდან სჩანს, გზათა კომისარიატი ახლო მომავალში განიხილავს საკითხს—მთელი საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე შპალების გამოცვლის შესაძლებლობის შესახებ.

პური ამ.-კავკასიისათვის

ა.-კ. რკ. გზების სამმართველოში მიღებულ ცნობებით, მიმდინარე ნოემბრის ბოლომდე ფოთის ნავთსადგურში ამ.-კავკასიისათვის მოელიან 386.000 ფუთ პურეულს.

რკ. გზების მიერ მიღებულია ზომები ამ პურეულის გადმოსაზიდად.

ფართალი

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში ბამბის ნაწარმოებ ფართლეულის ნორმა ა.-კავკასიისათვის განსაზღვრული იყო 246 ვაგონის რაოდენობით, ამაშივე იყო შეტანილი 58 ვაგონი ფართალი, რომელიც ეძლევა მებამბეთა რაიონებს.

„ზაკტორგმა" მოითხოვა სარეზერვო ფონდიდან ასი ვაგონი ფართლის გამოყოფა (დამატებით) ამ.-კავკასიისათვის.

ამჟამად შემოსაზიდ ფართლის რაოდენობა 246 ვაგონიდან გადიდებულია 277 ვაგონამდე.

ცეკავშირი ამ ნორმიდან მიიღებს 29 ვაგონს, აფხაზეთის სამომხმ. კოოპ. კავშირი 5 ვაგონს, ა.-კ. სამხედრო - სამომხმ. კოოპერაცია 9 ვაგონს, „აზერიტიფაკი" 59 ვაგონს, ნახიჩევანი 8 ვაგონს, „აიკოოპი" 18 ვაგონს, ერევნის მუშათა კოოპერატივი 6 ვაგონს, ბაქოს მუშათა კოოპერატივი 54 ვაგონს, „კახტპო" 10 ვაგონს, თბილისის მუშკოოპი 20 ვაგონს და „ზაკტპო" 9 ვაგონს.

29 ვაგონი ფართალს მიეცემა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს და „ტექსტილტორგს" და 20 ვაგონი საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებას.

ახალი გზები

თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა თბილისის მაზრაში საგზაო მშენებლობის გეგმა. გეგმის მიხედვით, მომავალ წლიდან ახალი გზები პირველ რიგში გაყვანილი იქნება ისეთ თემებში, რომლებსაც აქვთ სამრეწველო-სამეურნეო ხასიათი. თემების ცენტრთან დაახლოების მიზნით ახალი გზები გაყვანილი იქნება ახალი მიმართულებებით და მოკლე მანძილით. ამავე დროს მხედველობაში მიღებული იქნება, რომ გზები გაყვანილი იქნეს ახლო-მახლო სოფლების [illegible]. ახალი სათემო და სამაზრო მნიშვნელობის გზების გაყვანა მომავალ წლიდან დაიწყება აღბულაღის, სიღნაღის, თიანეთის, წალკის, ცხინვალის, მარტყოფის, საგარეჯოს, წყნეთის, ყარაიას და თიანეთ-ახმეტის თემებში. ამჟამად სწარმოებს დაწვრილებითი გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა გზების გასაყვანათ, რის შემდეგ ადგილებზე დაიგზავნება ტეხნიკური კომისიები გასაყვან გზების მიმართულებების ამოსარჩევათ და დასაგეგმათ. სასოფლო მნიშვნელობის გზების გაყვანა მოხდება სათემო ბიუჯეტების ხარჯზე.

მავნებლები

წელს სტიქიურ უბედურებების გარდა, ბაღები და მინდვრის ნათესები საგრძნობლად დააზიანა სხვადასხვა მავნებლებმა. ამის გამო სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის რესპუბლიკანურმა ბიურომ გადასწყვიტა ამთავითვე მიიღოს ზომები მომავალში მავნებლების თავიდან ასაცილებლად. ბიურო შეუდგა ადგილებზე მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლ კომისიების მოწყობას, ასეთი კომისია დაარსებულ იქნა გორის, სიღნაღის, თბილისის და სხვა მაზრაში. სიღნაღის და გორის მაზრებში ამჟამად სწარმოებს სათესლე ხორბლეულობის ქიმიური წამლობა და გადარჩევა. თბილისის და გორის მაზრებში დაიწყო შემოდგომის ნათესების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. მავნებლებთან ბრძოლის ბიურო ამჟამად აწარმოებს სხვა მაზრებშიაც ინსტრუქტორების გაგზავნის საქმეს.

ნარევი

თევზის ჭერის ელექტროფიკაცია

გერმანიაში მეთევზეობაში წარმატებით სარგებლობენ ელექტრო-ენერგიით. მდინარის ან ტბის განსაზღვრულ სივრცეზე ახდენენ მთელ რიგ მძლავრ ელექტრონულ დაცლებს. გაბრუებული თევზი ტივტივდება წყლის ზედაპირზე მუცლით ზევით. აქ მათ აგროვებენ პატარა ბადეების საშუალებით. აგროვებენ მხოლოდ დიდ თევზებს, რომლებიც გამოსადეგია გასაყიდათ. წვრილ თევზებს კი ისევ ყრიან წყალში, სადაც ისინი რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ „მოდიან გონს". თავის თავად ცხადია, რომ თევზის ჭერის ეს ფორმა მოითხოვს სასტიკ კონტროლს, წინააღმდეგ შემთხვევაში თევზებს სრული განადგურება მოელით.

ახალი ქაღალდის ფულები ამერიკაში

ამერიკაში ახლო ხანში განზრახულია ახალი ქაღალდის ფულების—1.000, 2.500, 5.000 და 10.000 დოლარიანების გამოშვება. ახალი ფულები იქნება შემდეგი სიდიდის: 15 კვ. სანტ.X1. ახალი ფულები, თავისი სიპატარავის წყალობით 4 მილიონ დოლარის ეკონომიას მისცემენ (წლიურათ) ამერიკის ხაზინას.

ყველაზე დიდი გუმბათი

უკანასკნელ დრომდი ყველაზე დიდ გუმბათად მსოფლიოში ითვლებოდა რომის „წმ. პეტრეს" სობოროს გუმბათი. ამჟამად ამ მხრივ პირველობა დაიკავა ამერიკამ. ინდიანას შტატში, ვესტ-ბადენის კურორტზე მოაწყვეს სასტუმრო, რომელსაც მსოფლიოში უდიდესი გუმბათი აქვს. გუმბათის აგებას დასჭირდა 2½ წლის მუშაობა და 1.500 კუბ. მეტრი ბეტონი.

ფეხბურთი

საქართველო—სომხეთი

გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე დაიწყო შეჯიბრება ამიერ-კავკასიის პირველობაზე. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდენ საქართველოს და სომხეთის გუნდები.

თამაში დაიწყო სტუმრების ფართო შეტევით, რომლებიც შეჯიბრის დაწყებისთანავე გოლით გაუმასპინძლდენ საქართველოს ნაკრებ გუნდს. ამის შემდეგ პროცესში საქართველოს გუნდმა შესძლო წაგებულის გაქვითება და ინიციატივის თავის ხელში ჩაგდება, მაგრამ მიღწეული შედეგის დარღვევა ვეღარ მოახერხა.

ასეთივე მდგომარეობა იყო მეორე ტაიმშიც. სომხეთის კარებთან ხშირი იყო სახიფათო მომენტები, მაგრამ მათ შესძლეს ყველას აცილება თავიდან.

შეჯიბრი დამთავრდა 1:1.

სომხეთის გუნდიდან კარგათ თამაშობენ გოლკიპერი, ბეკები და ხავბეკები. სუსტია თავდამსხმელთა შემადგენლობა.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 26 ნოემბერი

დღეს, 26 ნოემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი „ახალი სოფელი"—ქართულ ენაზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა თბილისში—რუსულ და სომხურ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—სომხურ ენაზე.

ქუნთრუშა და დიფტერიტი და მათთან ბრძოლა—ქართულ ენაზე.

აგრარული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში და საადგილ-მამულო კანონმდებლობის პრაქტიკა—რუსულ ენაზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს 26 ნოემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ: [illegible] მუშაკთა მე-2 სექცია: ანდრო მალაზონიას, მათე ხუხუნაშვილს და ნიკოლოზ სიჭინავას. ამასთანავე ბირჟა კვალიფიციურ უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ საჭიროა 10 სამონტაჟო მანტიორი, მსურველები უნდა გამოცხადდენ დღეს პირველ სექციაში შეროევთან.

საზოგადოებრივ სამუშევრების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა

შრომის ბირჟის კომიტეტმა გადასწყვიტა, შედგენილ იქნას საზოგადოებრივ სამუშევრების გეგმა, რათა სეზონის დასაწყისშივე დაიწყოს საზოგადოებრივი სამუშაოები.

მუშა-მოსამსახურეების გამოცდა

შრომის ბირჟის კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებით გაგრძელდება პრაქტიკული გამოცდები: მკერავებსა და მელითონეებში. გამოცდა საკანცელარიო პერსონალსაც ეხება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 99

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის წარმატებით განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927—28 წლის სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის შესახებ 1927 წლ. აგვისტოს 10-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესასრულებლად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 47 №-ით, მუხ. 476), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ ქვემდებარე ორგანოებს ყოველი საშუალებით ხელი შეუწყონ თავიანთ ტერიტორიაზე სრულიად საკავშირო 1927 წლ. დეკემბრის 15-ს სასკოლო აღწერას.

2. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს მიიღონ თავიანთი მეთვალყურეობის ქვეშ სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერის საქმე, რათა მათი პირადი განკარგულებით აცილებულ იქნეს ყველა დამაბრკოლებელი მიზეზი აღწერის წარმატებით განხორციელებისათვის.

3. აღწერის წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესათანხმებლად აღწერის წარმოების პერიოდში დაარსებულ იქნეს აღწერისათვის ხელისშემწყობი რესპუბლიკანური კომისია საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მმართველის თავმჯდომარეობით და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობისა, განათლების დარგში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარისა, სტატისტიკის სამმართველოს სოციალური სტატისტიკის სექტორის გამგისა და აღწერის უშუალო ხელმძღვანელის (მდივნის) შედგენილობით.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული საფუძვლების თანახმად დაარსებულ იქნეს აღწერის წარმოების პერიოდში ყველა ავტონომიურ რესპუბლიკასა და მაზრებში აღწერისათვის ხელისშემწყობი კომისიები სახალხო განათლების ორგანოებისა, ადგილობრივ სტატორგანოებისა და განათლების დარგში მომუშავეთა კავშირის წარმომადგენლების შედგენილობით და განათლების ადგილობრივი განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით.

5. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და აგრეთვე კერძო პირს, რომელის გამგებლობაშიაც სწავლა-განათლების ესა თუ ის დაწესებულებაა, ტიპის განურჩევლად, წარადგინოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოში არა უგვიანეს 1927 წლ. დეკემბრის 1-სა მის გამგებლობაში მყოფ ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა სრული სია მისამართების აღნიშვნით.

6. დაეკისროთ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისართა საბჭოებსა და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ დადგენილება, რომლითაც სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირებს წინადადება მიეცემათ არა უგვიანეს 1927 წ. დეკემბრის პირველსა წარადგინონ სტატისტიკის სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებში მათ გამგებლობაში მყოფ სწავლა-განათლების დაწესებულებათა სრული სია მისამართების აღნიშვნით.

7. იმ დაწესებულებათა ადმინისტრაციას, რომელთაც სასკოლო აღწერა ეხება, დაევალებათ აღწერის პერიოდში შეიტანონ სკოლის მეცადინეობის გეგმაში სააღწერო ფორმულიარების შევსება იმ ვადებზე, რაც გათვალისწინებულია აღწერის ინსტრუქციით.

8. მე-5 და 6 მუხლებში გათვალისწინებული სიების წარდგენისაგან თავის არიდებისა ან დაგვიანებით წარდგენისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ ორგანოებს, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ სწავლა-განათლების დაწესებულებებს, ხოლო სააღწერო ფორმულიარების შეუვსებლობისათვის სასკოლო დაწესებულებებს (ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს).

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების კომისარიატებს გასცეს განკარგულება, რათა აღწერის პერიოდში განთავისუფლებულ იქნეს თავის პირდაპირი მოვალეობისაგან ის პერსონალი, რომელიც აღწერაში მონაწილეობას მიიღებს.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
შ. მასიკაშვილი.

1927 წ. ნოემბრის 24
თბილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **შაბათს, 26 ნოემბერს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში** შესდგება პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეთოდ-თათბირი:

საღამოს 6 საათზე, პარტსკოლის მე-2-ე საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების.

საღამოს 7 საათზე—პარტსკოლის პირველ საფეხურის პოლიტსკოლათა და ახ. ლ. კ. კ. მეორე საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების.

საღამოს 7 საათ. უმაღლეს პარტსკოლის ხელმძღვანელების.

ხსენებულ პოლიტსკოლათა ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

— **საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისია** სთხოვს ამხ. გრიგოლ ხუნდაძეს ისაკ ძაგანიას, ნიკოლოზ ქაჯაიას და ანდრო ლომაიას გამოცხადდენ დღეს 26 ნოემბერს, დილის 10 საათზე ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ., 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან: გარეგინ კაზარისძე გევორკოვი, ნადეჟდა დავითის ასული ბაგრაევა, ალექსანდრე ბიდინაშვილი, პაგრატ მამაჯანოვი, ოვანეს კარაპეტ. თარხანიანცი, შაქრო იოსებისძე მაღალაშვილი, ვაგინაკ ოვანესისძე გრიგორიანი, ქრისტეფორე სირგოსძე ანანოვი და სარქის სტეფანესძე აბოვიანცი.

იმ შემთხვევაში თუ ზემოხსენებული ამხანაგები თბილისში არ იმყოფებიან ვთხოვთ შეატყობინონ სათანადო პარტორგანიზაციებს თავიანთი მისამართი.

— **საქარ. ცენტრ. საკონტრ. კომისია** სთხოვს ამხ. დარჩო მერაბისძე მერაბოვს გამოცხადდეს 23 ნოემბერს, დილის 9 საათზე საქარ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპექტი, 24, მესამე სართული ოთახი 12).

— **საქარ. ცენტრ. საკონტროლო კომისია** სთხოვს ამხ. შაქრო ფალავანდიშვილს და ვალიკო იმნაძეს გამოცხადდენ დღეს ან 28 ნოემბერს დილის 10 საათისათვის, საქართ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ., 24. მესამე სართული, ოთახი № 13) ამხ. იასონ ფანცხალავასთან.

— **სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო - კოლექტივი** წინადადებას აძლევს ამხ. შალვა კობერიძეს გამოცხადდეს დღეს, 26 ნოემბერს, დილის 12 საათზე. ბიურო-კოლექტივის ოთახში, ამხ. ჩიკვაიძესთან.

— **საქ. კ. პ. (ბ) ორგანიზაციის არსრაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომთან არსებულ პარტმუშაკის კაბინეტში შესდგება პროპაგანდისტთა კურსების გახსნა (რუსულ ენაზე).

— **სახ. უნივ. სოც-ეკონ-ბიურო ფაკულტ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო** აუწყებს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ დღეს 26 ნოემბ., საღამოს 5 საათზე. დანიშნულია აღნიშნულ ფაკულტ. ბიუროს სხდომა სავალდებულოა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ჭელიძე, ენუქიძე, მექვაბიშვილი, აბუსრიძე, ნუცუბიძე, მილო[illegible]ძე, გოგიაშვილი; ბოჭორიშვილი, ცინცაძე; სახოკია აბულიძე. უნდა გამოცხადდენ აგრეთვე ის ამხანაგები. რომელთაც განცხადებები აქვთ შემოტანილი პარტიაში გადასარიცხავად.

სამუდამოთ გულმოკლული დედა ალათი, დები: კატო, ნატაშა და ქალია, ძმები; აპოლონ და ვახტანგ სამსონიები, სიძეები ვალოდია, [illegible] ქუთათელაძე და სპირიდონ ჯანჯღავა, დისშვილები მიშა და ქეთო ქუთათელაძეები, ჰიპიკო და ლეილა ჯანჯღავები [illegible] ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ სამუდამოთ დაუვიწყარის

შურა (მინადორა) გი[illegible]ს ასულ
სამსონიას

ა/წ. 24 ნოემბერს ტრაგიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათომში ა/წ. 27 ნოემბერს, დღის 3 საათზე. დ.

სამუდამოთ გულმოკლული და გაუბედურებული მშობლები კირილე და მარიამი (პაშა) შვილებით: ჟორჟიკა, ვალიკო, ლენა, მერი და პაკუ იოსელიანები, სიძე ბორისი შენგელიძე თავისი პატარა შვილით ლიათი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 27 ნოემბერს, კვირას, შუადღის 1-ლ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ძვირფას

ნინა (ნუცა) იოსელიანის

მოსაგონათ. (დ)

ღრმა მწუხარებაში მყოფი ელისაბედ დავითის ასული, ანტონ ივანესძე და ლიდია ანტონის ასული ნატროშვილები, ელენე ანტონის ასული და კონსტანტინე ილიას ძე აბაშიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა წლის ნოემბრის 22 დღეს უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი ანტონისძე ნატროშვილი

პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში, გასვენება იქიდანვე კვირას, 27 ნოემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე - ვერის ახალ სასაფლაოზე. 595

გულდამწვარი და ნინა მჭედლიშვილი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას 27 ნოემბერს დღის 12 საათზე უდროოთ დაკარგული

ილია ზაქარიასძე მჭედლიშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. 594

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე კირილე ალექსისძე ჭანტურია, შვილები: ნადეჟდა, გრიშა, სონია და ლიუდმილა, ძმა ბორისი, მეუღლე თამარით და და თამარი იმხნელისა, სიძეები ექიმი სიმონ იმხნელი და ვალერ ან მიქაძე შვილიშვილით ნოდარით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ უდროოთ გარდაცვალებულ

ვერა ალექსანდრეს ასული
ქორქია-ჭანტურიას

დასაფლავება ხდება ა/წ. 27 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება—ელისაბედის ქუჩა № 155-დან. (ე)

განუსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: დედა მარიამ აბაშიძის ასული ამაშუკელისა; შვილები ანიჩკა გოგელიასი შვილებითურთ და ელენა კვიტაშვილისა ქმრით ალექსანდრე დავითისძე კვიტაშვილით შვილებითურთ; და ლუბა ანთაძისა ქ[illegible]შვილით; ძმები ივანე, სიმონ, მიხეილ და გიორგი ამაშუკელები თავიანთი ცოლშვილით ამით აცნობებენ ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ მათი ხსოვნიდან განუყრელ საყვარელი

ქეთევან (თაფლო) ამაშუკელის ასულ
კახიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების აღსანიშნავად, ა/წ. 27 ნოემბერს დღით, კვირას სრულ 1 საათზე, ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 273

კომუნისტი
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში

1. ბათუმში—კონტრაგენტ ვოლოდია კარსანიძესთან.
2. ჭიათურაში—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. სამტრედია—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. სენაკი—კონტრაგენტ ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. აბაშა—კონტრაგენტ მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. ფოთი—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში.
8. ბათუმი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის
9. ზესტაფონი, ჩხარი, ხვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძესთან.
10. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. ოზურგეთი—კონტრაგენტ პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
12. თელავი—კონტრაგენტ რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. გორი—მაისურაძესთან.
14. სურამი—მჟავანაძესთან.
15. სიღნაღი—კონტრაგენტ ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
16. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
17. სოხუმში—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში
18. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—კონტრაგენტ შიშნიაშვილი ესტატე
19. ბორჯომ-ბაღი—მაკაცარია
20. ნავთლუღი—კიოსკი.
21. ხონი—გალდავაძესთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
0—1
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

აპოლო სოლეი არფასტო დარბაზი
სახკინმრეწვის თეატრები
პირველად თბილისში
დუგლას ფერბენქსი ამერიკულ სურათში
„ალან ფერგიუსონის სიზმარი"
„სოვკინოს" გრანდიოზული ფილმი
„პოეტი და მეფე"
რეჟ. ვ. ბარდინის დადგმა.
საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი
„იბრაჰიმ და გოდერძი"
0—18 ნ. 1388
ანონსი: მალე საუკეთესო სურათი „კაცი და ლივრეა"

ცირკი „კოლოს" ტელ. 16—67
შაბათს 26-ს, კვირას 27 ნოემბერს საინტერესო სანახაობანი, მონაწილეობს დასი, ყველა ატრაქციონები და დამსხ. მსახ. ძმ. ტანტები.
გამოსვლა ბელგიელთა დასის 5 აუზონიო 5 რომის ასპარეზი!!
ცირკის კლოუნების კონკურსი 3 განყ. 14 ნომერი!!
კვირას 27-ს დღისით სანახაობა, საღამოს სრული პროგრამის მიხედვით დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.
ნ. 272 1—1 დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზ ნს.ი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

განცხადებები:
ექიმების, ბებია ქალების და საავადმყოფოებ სა—
დღეიდან
გაზ. „კომუნისტ"-ში დაიბეჭდება შეღავათიან ფასებში
დარეკეთ ტელეფ. № 8—81.
0—2 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფონი 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ქ. 288

ექიმი მებრაგიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ. 2—5

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ (კბილის სნეულებათა) კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
[illegible] რჩევა-დარიგება უფასოა. მკურნალობა დაკლებულ ფასებში კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

თბილისის კომუნალური ბანკისგან:

გაზ. „კომუნისტი"-ს გუშინდელ ნომერში მოთავსებულ თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობის განცხადებაში

დაშვებულ იქმნა შემდეგი შეცდომანი:

1) მე-13 სახლი; დაბეჭდილია: „ერციანიხა" უნდა იკითხებოდეს „ერიცანისა".
2) 29-ე სახლი; დაბეჭდილია „შანტვაიხა" და „შანტვაი" უნდა იკითხებოდეს შანტგაისა" და „შანტგაი".

აღმასკომის კეთილ-მომწყობი განყოფილება

აცხადებს, რომ ა. წ. 5 დეკემბერს, დღის 1-ლ საათზე № 328 ში, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

აღმასკომის შენობაში იატაკზე ლინოლეუმის დასაგებად.

კონდიციების მიღება შეიძლება განყოფილების კანცელარიაში, ოთახი № 338.

კეთილ-მომწყობ განყოფილების გამგის
ნ. 270 მოადგილე მთავარი ინჟენერი – ქურდიანი

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

ამით აცხადებს, რომ 30 ნოემბერს 1927 წ. დღით 12 საათზე დანიშნულია ადგილობ. ქონების მდებარეობისა **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ალინა ჯოხაძის: ერთი ერთ სართულიანი ქვითკირის სახლის, რომელიც შეიცავს ცხრა სახოვრებელ ოთახს და ორ სამზარეულოს აგებულს ქ. ქუთაისში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე № 91 მიწაზე ზომით 414 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებულის 3000 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახალხო მეურ. უმაღ. საბჭოს ქუთაისის სავაჭრო კანტორის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი ნ. 270

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 29 ნოემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 43 სარდაფში ნიკოლოზის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. კეჟერაძის და მჭედლიშვილის მოძრავ ქონებას: ღვინის ბოჭკებს, ძმარს და სხვადასხვა სარდაფის მოწყობილობას შეფასებულს 200 მანეთად, საბჭოთა და სავაჭრო კავშირის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 ოქტომბრის 1927 წ. თარიღით, № 3465 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასებიდან ნ. 274

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად. 25—1.

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ექიმი
ვლ. ა. თოხაძე
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.
ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. [illegible]ნტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8 დე კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფოილინის). 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—13

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიქსივენე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის ნ. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5—8 ს.-დე. ქალების 7—8 ს.-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3, 25-2

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ნუსხა რაჟდენ კონსტანტინეს ძე ნაცრიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 270

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ვლადიმერ ივანესძე გერაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 270

დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 71270, ჩ. გ. 599

დაკარგა კომკავშირის მანდატი № 23 6, გაცემული მე-2 რაიკომის მიერ, [illegible] სახელზე, ჩ. გ. 598

დაიკარგა პარტბილეთი № 0861762 მიხეილ ბახტაძეს სახელზე, ჩ. გ. 597

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68